პრეცედენტი

№ 10-11 რედაქციისაგან ნომერი № 10-11

ტფილისი
ბაზ ,,კომუნისტი''-ს გამოცემა.
1933 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკი

№ 10–11

საქ. კომ. პ. (ბ) ც. კ.-ს ყოველთვიური პოლიტიკურ-ეკონომიური ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

1. ლ. ბერია—ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის ბრძოლაში 3
2. უდიდეს გამარჯვებათა 16 წელი . . 12
3. ს. გოდაბრელიძე—საბჭოთა კავშირის ინდუსტრია — ოქტომბრის რევოლუციის მე-16 წლისთავისათვის 22
4. გ. სტურუა—შესრულების შემოწმება —სოც. მშენებლობის მძლავრი ბერკეტია 41

გვ.

5. მ. სკანდაროვი — აგრო-ტექნიკური პროპაგანდა მაღალ საფეხურზე . . 49
6. ნ. ვოზნესენსკი — პროლეტარიატის დიქტატურა და სოციალიზმის ეკონომიკა 58
7. ენგელსი—პროლეტარიატის გალატაკების შესახებ კაპიტალიზმის დროს . 79

კ ო ნ ს უ ლ ტ ა ც ი ა

8. ლ. გ.—კლასების შესახებ საბჭოთა კავშირში 101

ისტორიულ-პარტიული არქივი
Архив К. Грузинского
Академия наук Грузинской ССР

გაზეთ „კომუნისტი"-ს გამოცემა
ტ ფ ი ლ ი ს ი — 1933

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.

მთაველიტის რწმუნ. ა № 1233. შეკვეთის № 1957. ტირაჟი 2.500.

ლავრენტი ბერია

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის ბრძოლაში

ორი წლის წინათ, 1931 წლის 31 ოქტომბერს, ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების მოხსენებათა გამო, გამოიტანა სპეციალური გადაწყვეტილება ამიერ-კავკასიის პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

ამ გადაწყვეტილებაში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების წინაშე დასვა მთელი რიგი ამოცანები ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში და მოგვცა მოქმედების გაშლილი პროგრამა, ამასთან მოითხოვა გადაჭრით გამოგვესწორებინა ის შეცდომები და გადახვევები, უმთავრესად სოფლად, რომლებსაც იმ პერიოდში ადგილი ჰქონდათ ამიერ-კავკასიაში.

„ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა და ნაცკომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა,—ნათქვამი იყო ამ გადაწყვეტილებაში,—გააჩაღეს რა თვალსაჩინო მუშაობა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის, უმთავრესად ყურადღება მიაქციეს მუშაობის ტექნიკურ მხარეს და ვერ უზრუნველყვეს გლეხობის (ღარიბ-საშუალო გლეხთა მასების) მართებული პოლიტიკური ხელმძღვანელობა“.

სწორედ ამ შეცდომების და მეტად უხეში გადახვევების შედეგად, „სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისაკენ ამიერ-კავკასიის გლეხობის ძირითადი მასების შემობრუნების მიუხედავად, კულაკურ და ანტი-საბჭოთა ელემენტებს მიეცათ შესაძლებლობა გამოეყენებინათ მთელი რიგი შეცდომები და გადახვევები სოფლად თავისი გავლენის გაცხოველებისათვის“ (საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებიდან).

ჩვენი ამოცანა ის იყო, რომ გამოგვესწორებინა ეს შეცდომები და გვებრძოლნა არა სიტყვით, არამედ საქმით ც. კ-ის დირექტივების რეალიზაციისათვის.

ჩვენი ამოცანა ის იყო, რომ გაგვემტკიცებინა ამიერ-კავკასიის ფედერაცია და ამავე დროს გაგვეშალა რესპუბლიკების ფართო თვითმოქმედება და სამეურნეო ინიციატივა, დაგვერაზმა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციები სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების შესრულებისათვის და აღმოგვეფხვრა „ატამანშჩინის“ და ჯგუფობრიობის ყოველგვარი ელემენტი.

საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის უაღრესად სწრაფმა ზრდამ, მანქანათმშენებლობის, საავტომობილო და საავიაციო მრეწველობის განვითარე-

ბაში მიღწეულმა წარმატებებმა, სოფლის მეურნეობის სოციალისტურმა რეკონსტრუქციამ, მოითხოვეს ნავთის ამოღების და გადამუშავების მნიშვნელოვნად გადიდება. ამ ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობამ დიდ წარმატებებს მიაღწია. თუ 1932 წელს „აზნავთის" მიერ ამოღებულ იქნა 12.631 ათასი ტონა, სამაგიეროდ 1933 წელს ნავთის მრეწველობა არა თუ წარმატებით ართმევს თავს წლიური გეგმის შესრულების— 14.400 ათასი ტონის ამოღების ამოცანას, არამედ ამასთან ერთად ასრულებს მთავრობის დამატებით დავალებასაც 500 ათასი ტონის რაოდენობით. თუ ა. წ. იანვარში ნავთის ყოველდღიური საშუალო ამოღება სარეწაოებში მხოლოდ 30.385 ტონას უდრიდა, სამაგიეროდ ოქტომბერში იგი ავიდა 52 ათას ტონამდე. ასეთი დიდძალი რაოდენობა „აზნავთს" ჯერ არასოდეს არ ამოუღია: მაქსიმალური საშუალო ყოველდღიური ამოღება 1932 წელს შეადგენდა 35.962 ტონას (აპრილი), ხოლო 1931 წელს—39.706 ტონას (აგვისტო).

რამოდენიმე თვის განმავლობაში ვაჩნდენ ახალი სარეწაოები (ლოკ-ბატანი, კალა), რომლებიც თავისი სიმდიდრით უკვე ცნობილი გახდენ არა მარტო ამიერ-კავკასიისთვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისათვისაც.

აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის ეს წარმატებანი წარმოადგენენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და პირადად ამხ. სტალინის ყოველდღიური ხელმძღვანელობის და ოპერატიული დახმარების შედეგს, ბაქოს პროლეტარიატის და ბაქოს ბოლშევიკების გმირული ბრძოლის და ნავთისათვის ბრძოლაში ამიერ-კავკასიის მთელი პარტიული ორგანიზაციის ჩაბმის შედეგს.

ეს წარმატებანი კიდევ უფრო გვავალებენ ჩვენ ვებრძოლოთ აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ დეფექტებს.

სულ ამ ცოტა ხნის წინათ ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა აღნიშნა, რომ „აზნავთის" აპარატის გარდაქმნა ქვანახშირის მრეწველობის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ მიღებულ დადგენილების საფუძველზე დღემდის თავის მნიშვნელოვან ნაწილში ფორმალურად სრულდება. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში მოცემული მითითება მუშაობის გარდაქმნაში „აზნავთის" სამეურნეო ხელმძღვანელობის უაღრესი სიზანტის შესახებ, თავის აქტუალობას მთლიანად ინარჩუნებს. კონსერვატიზმი ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. ვერ იჩენენ უნარს გაბედულად გადაჭრან ტექნიკური რეკონსტრუქციის საკითხები, საკმარისად არ არის გაშლილი ბრძოლა ტექნიკის ათვისებისათვის, განსაკუთრებით ბურღვის დარგში; ცენტრალური კომიტეტის დავალება იმის შესახებ, რომ 1933 წლის დამლევისათვის გეგმის ზევით გაბურღეულიყო 300 ახალი ჭაბურღილი, არადამაკმაყოფილებლად სრულდება. „300"-ის რიცხვიდან ბურღვის პროცესშია 70 ჭაბურღილი, აქედან საექსპლოატაციოდ გადაცემულია მხოლოდ 20. ასეთი მდგომარეობა სერიოზულ შიშს იწვევს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის საბრძოლო დავალების შესრულებისათვის, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ გახზრახულია 1934 წელს ნავთის ამოღების გეგმის თვალსაჩინოდ გადიდება.

ჩვენ 1934 წელს შეგვიძლია და უნდა მივცეთ ქვეყანას 22 მილიონი ტონა ნავთი, ნაცვლად 1933 წლის 15 მილიონ ტონისა. ამისათვის აუცილებელია

გადაჭრით ბოლო მოვუღოთ გულდამშვიდების ელემენტებს, რასაც ადგილი აქვს უკანასკნელ პერიოდში როგორც „აზნავთში“, ისე ბაქოს ორგანიზაციის ცალკეულ რკოლებში. ამისათვის აუცილებელია ნამდვილად გარდაიქმნას „აზნავთის“ მთელი მუშაობა, გაჩაღდეს ფართო შემდგომი მუშაობა ნავთის მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის. მაქსიმალურად გამოყენებულ იქნეს არსებული მოწყობილობა, შესრულებულ იქნეს ყოველ მიზეზს გარეშე ახალი ჭაბურღილების ბურღვის გეგმა. მტკიცედ მექანიზირებული ამოღების საფუძველზე მოეწყოს ჭაბურღილების ნორმალური ექსპლოატაცია, უზრუნველყოფილ იქნეს ნავთის გამოხდვა და შენახვა და შესრულებულ იქნეს სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილება, ახალი ნავთიანი ფართობების მომზადებისა და ათვისების შესახებ.

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციის სწრაფმა ტემპებმა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაადიდეს მრეწველობის ხვედრითი წონა ა.-კ. ს. ფ. ს. რ-ის სახალხო მეურნეობაში. ამიერ-კავკასია ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან იქცა ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად.

ამიერ კავკასიის ელექტროსადგურების ძალოვნობა 92 ათას კილოვატიდან (1921 წ.) გაიზარდა 167 ათას კილოვატამდე 1931 წელს, ხოლო 1933 წელს უკვე აღწევს 304.800 კილოვატს. 1933 წელს ამუშავდენ ისეთი მძლავრი ელექტროსადგურები, როგორიც არის ძ ო რ აჭ ე ს ი, რ ი ო ნჰ ე ს ი ს პირველი რიგი და სხ. 1934 წელს უნდა ამუშავდეს კ ა ნ ა კ ი რ ჰ ე ს ი, რ ი ო ნჰ ე ს ი ს და ზ ა ჰ ე ს ი ს მეორე რიგი, ტ ყ ვ ა რ ჩ ე ლ ი ს თ ბ ო ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი და მთელი რიგი სხვ.

მიუხედავად ამისა, ამიერ-კავკასია განიცდის ელექტროენერგიის მწვავე ნაკლებობას. მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ობიექტების (ფერომარგანეცი, ალავერდის სპილენძის მადნები, ჰიათურის მარგანეცის საბადოები, კარაკლისის ქიმკომბინატი, სურამის უღელტეხილი და სხვ.) განვითარება დიდად არის დამოკიდებული ელექტრო-მშენებლობის მოცულობასა და ტემპებზე. თუ ვადაზე არ დავამთავრეთ დაწყებული ელექტროსადგურების მშენებლობა და დაუყოვნებლივ არ შევუდექით ახლების (ხრამის, ტერტერის, მუღანო-სალიანის და სხვ.) მშენებლობას, მთელი რიგი საწარმოები, რომლებიც ახლა შენდება, იძულებული იქნებიან შეზღუდონ თავიანთი საპროექტო ძალოვნობა. ეს განსაკუთრებით შეეხება ისეთ ელექტროტევად საწარმოებს, როგორიც არის ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანა, რომელიც აგებულია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და რომლის გამომუშავება 50 ათას ტონას უდრის. ამ ქარხნის პირველი ორი ელექტროღუმელი უკვე გაშვებულია ექსპლოატაციაში.

საკავშირო მეტალურგიას სულ უფრო მეტად და მეტად ესაჭიროება მარგანეცი. ამიტომ მრეწველობის ამ დარგს განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება. მარგანეცის ყველაზე უხვი საბადო საბჭოთა კავშირში—ჰიათურა აქამდის არადამაყოფილებელ მდგომარეობაშია. მიუხედავად უკანასკნელ პერიოდში ერთგვარი გაუმჯობესებისა (მარგანეცის ამოღების გეგმა მესამე კვარტალში შესრულებულია 96 პრ., ა.-წლის პირველ ექვს თვეში კი შესრულებულ იქნა 67 პროც.), მრეწველობის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დარგის ამაღლებას ჩვენ შეეძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვახდენთ ჰიათურის მაღაროების საფუძ-

ელიან რეკონსტრუქციას ყველა საწარმოო პროცესის ყოველმხრივი მექანიზაციის საფუძველზე.

ერთი სტატიის ფარგლები საშუალებას არ გვაძლევს დაწვრილებით შევჩერდეთ ა.-კ. ს. ს. ფ. რ-ის ინდუსტრიალური განვითარების ყველა უბანზე (ტყვარჩელმშენი, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები, ალავერდისა და კაფანის სპილენძის მადნები და სხვა).

ნავთმა, მარგანეცმა, ქიმიამ, ქვანახშირმა, მანქანათმშენებლობამ და მრეწველობის სხვა დარგებმა შეცვალეს ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახე და დააჩქარეს სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის პროცესი. კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა იმან, რომ ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა და პოლიტგანყოფილებებმა სოფლად გააძლიერეს კოლმეურნეობებზე კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობა. მიმდინარეობს ა.-კ. ს. ფ. ს. რ. კოლექტივიზაციის შემდგომი ზრდა. ასეთი მდგომარეობა იმიტომ შეიქნა შესაძლებელი, რომ სოფლის მეურნეობის ის ტექნიკური რეკონსტრუქცია, რომელსაც პარტია ამიერ-კავკასიაში ატარებს—მჭიდროდ იყო დაკავშირებული გლეხობისადმი—მისი ღარიბ-საშუალოთა მასებისადმი ყოველდღიურ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან. რაიონული და ძირეული აპარატი სოფლად გულმოდგინედ იქნა გადასინჯული და გამაგრებული ახალი შემოწმებული კადრებით. ქალაქიდან რაიონში და რაიონებიდან სოფლად, პერიფერიაში გადასროლილ იქნენ ათასობით საუკეთესო მომუშავეები. არასრული ცნობების მიხედვით, მთელ ამიერ-კავკასიაში რაიონებსა და სოფლებში უკანასკნელ ორ წელს გაგზავნილია დაახლოებით 12 ათასი კაცი, მათ შორის დახლოებით 2.500 სპეციალისტი.

1934 წ. 31 ოქტომბერს გამოტანილ გადაწყვეტილებაში საკ. კომპ. (ბ) ც. კ-მა აღნიშნა, რომ ჩვენი წარმატებანი ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობაში ტექნიკური და სპეციალური კულტურების დანერგვის მხრით, ეს არის „მხოლოდ დასაწყისი იმ უზარმაზარ შესაძლებლობათა გამოყენებისა, რომლებიც ჩამარხულია ამ.-კავ. სოფლის მეურნეობის პირობებში იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირი უზრუნველყოფილ იქნას ძვირფასი ტექნიკური და სპეციფიური კულტურებით".

საკ. კომპ. (ბ) ც. კ-ს ამ მითითებამ მოგვცა ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის მოქმედების გაშლილი პროგრამა. მით განსაზღვრულ იქნა მისი შემდგომი განვითარების გზები. ამიერ-კავკასია **საბჭოთა კავშირის მეორე საბამბო** ბაზად იქცევა. უკვე წლევანდელი საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს აისახა ბამბის მეურნეობაში გადამწყვეტი გარდატეხა, და გულმოდგინედ ჩატარებულმა გამარგვლა-დამუშავებამ ყოველგვარი პირობა შექმნა ბამბის თავის დროზე მოკრეფისა და ბამბის ჩაბარების გეგმის საესებით შესრულებისთვის. შარშანდელი წლისაგან განსხვავებით—1933 წ. ბამბის მოსავლის აკრეფის ტემპები ბევრად უფრო მაღალია. 1932 წ. 15 ნოემბრისთვის აზერბეიჯანში მოკრეფილი იყო სულ 82.242 ტონა ბამბა. 1933 წლის 27 ნოემბრისათვის კი მოკრეფილია უკვე 109 ათასი ტონა ბამბა (გეგმის 85,2). ბამბის კრეფის კამპანიის ნორმალურად დამთავრებისათვის ყოველგვარი პირობა არსებობს.

მაგრამ მუშაობის ამ უმნიშვნელოვანეს უბანზედაც მთელი რიგი დეფექტები გვაქვს: უკანასკნელი დღეების განმავლობაში ბამბის კრეფის ტემპები აზერბეიჯანსა და საქართველოში არადამაკმაყოფილებელია. ჩვენი ამოცანა ისაა, რომ რადაც უნდა დაგვიჯდეს, ამიერ-კავკასიაში ბამბის მთელი მოსავალი აკრეფილ იქნას. ეს ამოცანა შესრულებულ იქნება.

დირექტივა ბამბის შესახებ, მიცემული მიმდინარე წლის გაზაფხულს, საკავშირო კომპ. (ბ) ც. კ-სა და საკავშიროო სახკომსაბჭოს მიერ, აზ. კომპ. (ბ) ც. კ-სა და ასსრ-ს სახკომსაბჭოსადმი—გადაიქცა მოქმედების პროგრამად ამა წლის გეგმის შესრულებისა და მომავალი წლის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მომზადებისათვის.

წინასწარი ცნობები, მიღებული ცალკე რაიონებიდან და კოლმეურნეობებიდან მიმდინარე წლის მოსავლის განაწილების შესახებ—მოწმობს კოლმეურნეობათა შემოსავლიანობის მნიშვნელოვან ზრდას. თუ 1932 წელს აზერბეიჯანის ბამბის რაიონებში კოლმეურნე ღებულობდა შრომა-დღეში 2—3 კილოგრამ ხორბალს; მიმდინარე წელს თითო შრომა-დღეზე 5—10 კილოგრამი ხორბლეული კოლმეურნისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა, ხოლო მთელ რიგ კოლმეურნეობაში შრომა-დღეზე მოდის 15—25 კილოგრამი ხორბლეული. მაგალითად, კარიაგინის რაიონის, სოფ. აიბისალში, ამხ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში თითო შრომა-დღეზე მოდის 13,7 კილო ხორბლეული და 9,4 კილო საკვები, სოფ. ახმედლიში შრომა-დღეზე მოდის 14,3 კილოგრ. ხორბლეული და 9,4 კილოგრამი საკვები. კარიაგინის რაიონის სოფ. აშაღა-საიდახლის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში შრომა-დღეზე მოდის 45,8 კილოგრამი ხორბლეული. აგდამის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოქმედების რაიონში, კომკავშირელმა რამაზანოვმა დამკვრელური მუშაობის შედეგად 8 თვეში გამომუშავებული შრომა-დღეებისათვის მიიღო 203 ფ. პური; ეს მაშინ, როცა შარშან მას ერგო 30 ფ. პური. მან იყიდა ძროხა, ხბო, შინაური ფრინველი, საოჯახო ნივთები და კიდევ აქვს ნაღდად 500 მანეთი. სოფ. გედაკლუს მებამბეობა-მევენახეობის კოლმეურნეობაში (კამარლუს სამანქანო-სატრაქტორო სადგური, სომხეთი) კოლმეურნემ არშაკალოიანმა თავის ოჯახთან ერთად გამოიმუშავა 415 შრომა-დღე და ეს მაშინ, როცა შრომა-დღის ღირებულება 20 მან. 36 კაპ. უდრის. ამრიგად, ერთი წლის განმავლობაში მან თითქმის 8 ნახევარი ათასი მანეთი მიიღო. ამ თანხის ანგარიშში ის ღებულობს მტკიცე ფასით 1.760 კილოგრამ მარცვლეულს, 830 კილოგრამ ყურძენს, 415 კლგ. ლობიოს და სხვ. კოლმეურნეობის შემოსავალი, რომელიც 1932 წელს უდრიდა 501 ათას მანეთს, წელს გაიზარდა 690 ათას მანეთამდე.

ამ მაგალითების შეჯამება შეიძლება მრავალი ანალოგიური ფაქტის აღწერით, რომლებიც თვალსაჩინოდ მოწმობს იმას, თუ სწორად გატარებულ სამეურნეო ღონისძიებათა შედეგად, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის გადამჭრელი ბრძოლით, როგორ ხორციელდება ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის ლოზუნგი იმის შესახებ, რომ გავხადოთ კოლმეურნეობები ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად, ხოლო კოლმეურნენი—შეძლებულებად.

თუ მებამბეობაში აზერბეიჯანი გახდა მეორე ბაზათ, ჩაის დარგში საქართველო წარმოადგენს ერთადერთ რაიონს, რომელიც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მოწოდებულია მეორე ხუთწლედში „დააკმაყოფილოს ძირითადად მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაიზე".

ამ ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში ა.-კ. პარტორგანიზაციებმა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს.

ჩაის პლანტაციების ფართობი 1928 წელს აღწევდა სულ 1900 ჰექტარს. 1933 წელს მან მიაღწია 33.325 ჰექტარს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩატარებულია მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაის პლანტაციების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და იმ შეცდომების გამოსასწორებლად, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1932 წლამდე ჩაის გაშენებასა და მოვლაში. ამ მუშაობის შედეგად 1933 წლის 1 ოქტომბრისათვის აკრეფილა 3.032,5 ათასი კლგ. მწვანე ფოთოლი, რაც მოგვცემს 721 ტონა გამხმარ ჩაის. გარდა ამისა, უხეში ჩაის ფოთლიდან დამზადებულია 430 ტონა დაბალი ხარისხის ჩაი; ჩაის საშუალო მოსავლიანობა 1932 წლის 700 კილოგრამიდან, 1933 წელს გაიზარდა 850 კილოგრამამდე თითო ჰექტარზე.

ჩაის კულტურა იქცა კოლმეურნეობათა არსებობის ძირითად წყაროდ ჩაის რაიონებში და მან საგრძნობლად გააუმჯობესა გლეხური მეურნეობის კეთილდღეობა. თვალსაჩინო მაგალითს ამ მხრივ წარმოადგენს გურია. კოლექტივიზაცია ოზურგეთის რაიონში აღწევს 92,6 პროცენტს; ჩაი ამ რაიონში იქცა სოფლის მეურნეობის ძირითად კულტურად. ჩაის პლანტაციები 1933 წელს აღწევს 7 ათას ჰექტარამდე.

მიაქციეს რა მთავარი ყურადღება მოსავლიანობის გადიდებას, ოზურგეთის რაიონის კოლმეურნეებმა შეძლეს 1933 წ. აეწიათ მწვანე ფოთლის მოსავალი 1.328.870 კილოგრამამდე; შარშანდელი წლის 630.000 კილოგრამის ნაცვლად, შეასრულეს რა ჩაის ფოთლის ჩაბარების გეგმა ვადაზე 20 დღით ადრე; ხოლო შარშანდელთან შედარებით 35 დღით ადრე. სოფ. ნაგომარი გასულ წლებში თესდა სულ 350 ჰექტარ სიმინდს; მისი მოსახლეობის მეტი ნაწილი მათხოვრულ არსებობას ეწეოდა; ახლა კი მთელი სოფელი, 7 კომლის გამოკლებით, კოლექტივიზირებულია. ნაგომარის კოლმეურნეობას წელს აქვს 265 ჰექტარი ჩაი, 235 ჰექტარი სიმინდი. 5 ჰექტარი თამბაქო და 5—6 ჰექტარი სხვა კულტურები. დამახასიათებელია, რომ 265 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მხოლოდ 20 პროცენტია ათვისებული სიმინდის ფართობის ხარჯზე, დანარჩენი კი ათვისებულია ახალი ფართობის ათვისების გზით. ჩაის პლანტაციების მოსაკრეფი ფართობი 1932 წელს უდრიდა 58 ჰექტარს, რომელმაც მოგვცა 16.200 კილოგრამი ჩაი (270 კილოგრამი ჰექტარიდან). 1933 წელს კი მოსაკრეფმა ფართობმა მიაღწია 140 ჰექტარს და მოგვცა 56.356 კილოგრამი ჩაი (403 კილოგრამი ჰექტარიდან). კოლმეურნეობების ჩამოყალიბებამდე მეურნეობათა დაახლოვებით 60 პროც. უძრახო იყო. ამჟამად კი 248 მეურნეობიდან უძრახოდ დარჩენილია მხოლოდ 22 მეურნეობა. ანალოგიური სურათია რაიონის მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

რაიონში თვალსაჩინო მასშტაბით დაწყებულია ახალი სახლების მშენებლობა. კოლმეურნენი აშენებენ ახალ სახლებს, იძენენ ავეჯს და სხვა საოჯახო ნივთებს. ცალკე კოლმეურნეობათა შეძლებულობამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ნაგომარის კოლმეურნეობას საშუალება მიეცა ეყიდა ავტომანქანა და მოეწყო საავტობუსო მოძრაობა კოლმეურნეობასა და რაიონულ ცენტრს შორის.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო მენშევიზმის გავლენის ნაშთების ლიკვიდაციას ამ რაიონში, რომელიც წარსულში ქართველი მენშევიკების სიმაგრეს წარმოადგენდა.

ჩაიმ მკვიდრად მოიკიდა ფეხი დასავლეთ საქართველოს გლეხური მეურნეობის ეკონომიკაში; ამავე გზაზე იმკოფება ციტრუსოვანების კულტურა (მანდარინა, ლიმონი, ფორთოხალი), თუმცა ჩვენ მიერ მიღწეული წარმატებები მხოლოდ პირველი ნაბიჯია ამ კულტურების განვითარებისათვის ამიერ-კავკასიის სუბტროპიკულ რაიონებში. მიმდინარე წელს ციტრუსების გეგმა შესრულებულია. ციტრუსების მოსავალი შეგროვებულ იქნება 80 მილიონ ცალამდე (მანდარინა და სხვა).

ჩვენ უნდა განვახორციელოთ ამხ. სტალინის მითითება და შევქმნათ ისეთი პირობები, როცა აჭარისტანის, აფხაზეთის, საქართველოს და ლენქორანის სუბტროპიკული რაიონების ყოველი გლეხი გააშენებს ციტრუსოვან ნარგავებს, თუნდაც მინიმალური რაოდენობით (30 40 ბუჩქი მეურნეობაზე). მაშინ რამოდენიმე უახლოეს წელში ჩვენ შევძლებთ ციტრუსოვანი ნაყოფების ისეთ რაოდენობის მოცემას, რომელიც ამ მხრივ ძირითადად დააკმაყოფილებს საბჭოთა კავშირის მშრომელი მოსახლეობის მოთხოვნას. ამისათვის აუცილებლად ხელი უნდა შევუწყოთ ციტრუსოვანი კულტურების ფართოდ დანერგვას სუბტროპიკული ზოლის ყველა გლეხურ მეურნეობაში.

ციტრუსოვანი კულტურების მასობრივი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სანერგეების მოწყობას. მხარის პარტორგანიზაციები, პირველ რიგში აჭარისტანის და აფხაზეთის ორგანიზაციები, უკვე შეუდგენ ამ მუშაობას, როგორც საერთო საკავშირო მნიშვნელობის უმნიშვნელოვანეს საბრძოლო სამეურნეო დავალების შესრულებას.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები შესძლებენ გაამართლონ ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის ამ დარგს აქცევს ჩვენი პარტიის ბელადი ამხ. ს ტ ა ლ ი ნ ი.

ჩაის, ციტრუსოვანი ნარგავების და მთელი რიგი სხვა სპეციალური და ტექნიკური კულტურების შემდგომი განვითარების პერსპექტივა დამოკიდებულია იმ სამუშაოთა წარმატებაზე, რომლებიც ვითარდება ამჟამად ე.-წ. კოლხიდის დაბლობის ამოსაშრობად მდინარე რიონის ნაპირებზე, ფოთის ნესტიანი სუბტროპიკების რაიონში. 200 ათასზე მეტი ჰექ. ამოსაშრობი ჭაობი შეადგენს მოსავალში იმ მასივს, რომელზედაც ფართოდ განვითარდება ჩაი, მანდარინა, ლიმონი და სხვა.

ამიერ კავკასიის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია აგრეთვე თამბაქო. მთელს ამიერ-კავკასიაში 1933 წელს თამბაქოს უკავია 24.472 ჰექტარი, საიდანაც უნდა მივიღოთ 14.580 ტონა თამბაქო. აფხაზეთი,

რომელიც მაღალხარისხოვან თამბაქოს ძირითად მასას იძლევა, გარეშე ბაზარზე წარმატებით უწევს კონკურენციას თურქეთის საუკეთესო თამბაქოს. თამბაქოს სეზონი უკვე დამთავრდა და დაწყებულია დამზადება. უკანასკნელის მსვლელობა გვაძლევს რწმენას, რომ მუშაობის ამ უბანზე ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაცია შეასრულებს მის წინაშე პარტიის მიერ დასმულ ამოცანებს.

სწრაფად იზრდება ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. იქმნება ახალი ტექნიკური ბაზა კომბაინები, რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები უკვე მუშაობენ ამიერ-კავკასიის მინდერებზე. 1933 წლის შემოდგომისათვის მოქმედობდა 67 სამანქანო-სატრაქტორო სადგური 4.131 ტრაქტორით (1931 წელს კი იყო 1.409 ტრაქტორი).

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე მოპოვებულ მიღწევებთან ერთად, ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს „ფორმით ნაციონალური, ხოლო შინაარსით სოციალისტური“ კულტურისათვის ბრძოლაში. საყოველთაო პირველდაწყებითი სწავლების განხორციელებამ, საბავშვო დაწესებულებების, სკოლების, კულტურული კერების ქსელის ზრდამ სოფლად და ქალაქად, უმაღლესი განათლების განვითარებამ, რომელმაც უკანასკნელ წლებში უკვე მისცა ადგილობრივ ეროვნებათაგან ამიერ-კავკასიის მრეწველობას და სოფლის მეურნეობას, ინჟინერები, აგრონომები, მასწავლებლები მუშებისაგან და მუშა-ქალებისაგან, კოლმეურნეებისა და კოლმეურნე-ქალებისაგან, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების—მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის შრომების გადათარგმნა ნაციონალურ ენებზე, ხელოვნების (თეატრი, კინო, მუსიკა, მხატვრობა) განვითარებამ—უფრო მაღალ საფეხურზე ასწია ამიერ-კავკასიის კულტურული მშენებლობა.

ეს ზრდა წარმოებს იდეოლოგიურ ფრონტზე გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში.

პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებამ, მათი იდეოლოგიურ-პოლიტიკური დონის ზრდამ გააძლიერა პარტიული სიფხიზლე ყველა ჯურის ოპორტუნისტებთან და, უწინარეს ყოვლისა, ბემარჯვენე ოპორტუნისტებთან ბრძოლაში—პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლაში, კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში ჩვენი მუშაობის კონკრეტულ უბნებზე.

ყველაფერმა ამან გამოიწვია მთელი ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური დონის ზრდა და მრისხანე ნაშთები ჯგუფობრივობისა და უპრინციპო ბრძოლისა, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხელს უშლიდა ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების საქმიან მუშაობას.

შესაძლებელია თვიდან-თვემდე თვალი გავადევნოთ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის კონკრეტული საკითხებისადმი კომუნისტების ყურადღების გაძლიერებასთან ერთად, თუ როგორ მატულობს მათი მნიშვნელობა საწარმოო პროცესში, იზრდება მათი ავანგარდული როლი.

ახორციელებდენ რა ამხ. ლენინის ანდერძს და ამხ. სტალინის მითითებებს, რომლებიც მან პარტიის მეთექვსმეტე ყრილობაზე ახალი სიძლიერით დასვა ნაციონალურ პოლიტიკის საკითხების შესახებ, საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა და რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებმა კიდევ უფრო

განამტკიცეს ამიერ-კავკასიის მშრომელთა ძმური სოლიდარობა, კიდევ უფრო გაამაგრეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია და ამავე დროს გაშალეს რესპუბლიკების სამეურნეო ინიციატივა და თვითმოქმედება.

როცა წარმატებებზე ვლაპარაკობთ, ოდნავადაც არ ვივიწყებთ, რომ ძალიან ბევრი რამ ჩვენ სათანადოთ არ გაგვიკეთებია, რომ ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მრავალ დეფექტს, რომლებსაც თვითეულ ცალკე შემთხვევაში ექცევა მთელი პარტორგანიზაციის კონკრეტული ყურადღება—გადაჭრით მათი გამოსწორებისათვის.

ჩვენი დეფექტების გადაჭრით გამოსწორებით, ნავთის, ბამბის, ჩაის, თამბაქოს, ციტრუსების საკითხებისადმი დიდი ყურადღების მიპყრობით, ამხ. სტალინი ჩვენ დაგვეხმარა, რომ მოგვეპოვებინა გამარჯვება და მიღწევები, რომლებითაც ამჟამად ამაყობს და რომელთა განმტკიცებისათვისაც იბრძვის ამიერ-კავკასიის ორგანიზაცია.

ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაცია—საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ერთ-ერთი უერთგულესი რაზმი—პარტიის მეჩვიდმეტე ყრილობას ხვდება ერთიანი, მონოლიტური და იდეურად შემჭიდროებული ლენინური ცენტრალური კომიტეტის და ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის გარშემო.

უდიდეს გამარჯვებათა 16 წელი

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა გმირული და სალკლდოვანი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით 16 წლის წინათ უდიდესი გადატრიალება მოახდინა კაცობრიობის ისტორიაში. მან ექსპლოატატორთა და მჩაგვრელთა სახელმწიფო დაამხო და პროლეტარების დიქტატურა შექმნა. პროლეტარიატის დიქტატურამ კაცობრიობის ისტორიაში საფუძველი ჩაუყარა ახალ ერას—ესაა ერა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის; თანაც ეს დიქტატურა იმავდროულად მსოფლიო რევოლუციური მუშათა მოძრაობის დასაყრდენს და ფორპოსტს წარმოადგენს. ოქტომბრის რევოლუციამ მთელი მსოფლიო ორ სისტემად გათიშა: ერთია სისტემა მომაკვდავი, ლპობის პროცესში მყოფი კაპიტალიზმისა, მეორე კი ძლევამოსილი და ტრიუმფით წინმიმავალი სოციალიზმის სისტემას წარმოადგენს. პროლეტარიატის დიქტატურის შექმნა იმავე დროს ნიშნავდა იმ კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის დასაწყისს, რომელსაც არ ძალუძს აღადგინოს თავისი ომის წინადროინდელი მდგომარეობა და რომელიც სულ უფრო და უფრო იხლართება თავის საკუთარ ანტაგონიზმებში.

ოქტომბრის რევოლუციამ გაანთავისუფლა დაჩაგრული ერები და მათ უდიდესი გასაქანი მისცა ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური აყვავებისათვის. საფუძველი ჩაეყარა ერთიან და შეურყეველ ძმობას საბჭოთა კავშირის იმ მრავალრიცხოვან ხალხებს შორის, რომლებმაც საბჭოთა კავშირის მეგობრული ოჯახი შექმნეს; ამით საბჭოთა კავშირმა კონკრეტულად უჩვენა მთელ ქვეყანას ნაციონალური საკითხის ლენინურ-სტალინური გადაჭრა.

დიდმა ოქტომბერმა გაანადგურა ბურჟუაზიის ხელისუფლება, დაანგრია მისი ეკონომიური ბატონობა და ამით შეანგრია წარმოების კაპიტალისტური წესის საფუძვლები. მაგრამ ამით არა თუ დასრულდა პროლეტარული რევოლუციის ამოცანა, არამედ, პირიქით, იგი კიდევ უფრო მწვავედ დაისვა მუშათა კლასის წინაშე. მუშათა კლასი, რომელიც „საზოგადოების უმსხვილეს საწარმოო ძალას წარმოადგენს“ (მარქსი), ოქტომბრის რევოლუციის შედეგად სახელმწიფოებრივად გაბატონებული კლასი გახდა. მას უნდა მოეხდინა კაპიტალისტური საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა და აეშენებია ახალი სოციალისტური საზოგადოება. „კაპიტალისტები და მემამულენი განადგურებულ იქნენ, მაგრამ არა საბოლოოდ მოსპობილნი“ (ლენინი). მათ ყველა ძალები მოიკრიბეს და საერთაშორისო ბურჟუაზიისა და მისი ლაქიების—სოციალ-ფაშისტების—შემწეობით ცდილობდენ დაემხოთ პროლეტარული დიქტატურა და აღედგინათ დაკარგული ბატონობა.

პროლეტარიატმა, რომელსაც მშრომელი გლეხობა თანმიყავა, შეინარჩუნა სამოქალაქო ომში საბჭოთა სახელმწიფო, მოიგერია მსოფლიო იმპერიალიზ-

მის და შინაურ კონტრრევოლუციის რამოდენიმე გამოლაშქრება, განამტკიცა პროლეტარიატის დიქტატურა და ლ ე ნ ი ნ უ რ ი პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით გადავიდა სამეურნეო მუშაობაზე.

სამეურნეო ფრონტზე მოელოდა მას უძნელესი და ურთულესი ბრძოლა სოციალიზმისათვის. მიიღო რა ყოფილი მეფური იმპერიის ჩამორჩენილი მეურნეობა, რომელიც შვიდი წლის იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით ამოგდებული იყო კალაპოტიდან, პროლეტარიატი შეუდგა სახალხო მეურნეობის აღდგენას. ლ ე ნ ი ნ ი ს პარტიის გენიალური ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის გმირულმა პროლეტარიატმა წარმატებით შესცვალა მუშაობის სამხედრო მეთოდები და შემოიღო ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც ნავარაუდევი იყო „სოციალიზმის გამარჯვებაზე კაპიტალისტურ ელემენტებთან ბრძოლაში“ (ს ტ ა ლ ი ნ ი). ღარიბი გლეხობის დარაზმვით და მათზე დაყრდნობით საბჭოთა სახელმწიფომ მარჯვედ მოახდინა კლასობრივი ძალების გადაჯგუფება, განამტკიცა კავშირი საშუალო გლეხობასთან და, შეინარჩუნა რა თავის ხელში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის „მბრძანებელი მწვერვალები“, მწყობრად გაემართა წინ ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის გზით უკლასო სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად.

პროლეტარიატის დიქტატურამ ძლევამოსილად დაამთავრა მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენა, მიუხედავად მსოფლიო იმპერიალიზმის ეკონომიური ბლოკადისა. ბურჟუაზიული მსოფლიო, რომელიც დამარცხდა სამოქალაქო ომში, დაუღალავად უწეოდა ეკონომიურ ბრძოლას საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ, ცდილობდა რა მის დახრჩობას ბლოკადის მეოხებით და სოციალისტური მშენებლობის ჩაშლას. მაგრამ ბოლშევიკური პარტიისა და მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა პროლეტარიატის რკინისებურმა ნებისყოფამ, იმ პროლეტარიატის ნებისყოფამ, რომელსაც მშრომელი გლეხობა თან მიყავს,—გააცამტვერა იმპერიალისტების ყოველივე ცდა. მიაღწია რა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში სოფლის მეურნეობის აღდგენისა და ქალაქსა და სოფელს შორის სასაქონლო გაცვლა-გამოცვლის ფრონტზე წარმატებებს, პარტიამ ჩქარა წასწია წინ მძიმე მრეწველობა და დააძთავრა მისი და მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენა ოქტომბრის რევოლუციის მეცხრე წელზე.

პარტიამ მუშათა კლასის უდიდესი თეორეტიკოსისა და საყვარელი ბელადის—ამხ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს მეთაურობით დაამსხვრია ტროცკისტული თეორია ჩვენს ქვეყანაში ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობისა და სოციალისტური საზოგადოების აშენების შეუძლებლობის შესახებ. მან მობილიზაცია უქნა მუშათა კლასს და ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით მშრომელ გლეხობას და წარმატებით განახორციელა ჩვენი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქტიულ პერიოდზე გადასვლა. ამ რეკონსტრუქციის საფუძველს და მთავარ რგოლს წარმოადგენდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. მხოლოდ მძიმე ინდუსტრიისა და მისი სულისა და გულის—მანქანათმშენებლობის სწრაფი ტემპებით განვითარებას შეეძლო ლ ე ნ ი ნ ი ს და ს ტ ა ლ ი ნ ი ს ლოზუნგის განხორციელების უზრუნველყოფა იმ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების „დაწევისა და გასწრების“ შესახებ, რომლებსაც ჩვენ ჩამოვრჩით ტექნიკურ-ეკონომიური მხრივ 50—100 წლით და ეს მანძილი

უნდა გაგვერბინა მინიმალურ ვადებში. ამას მოითხოვდა სოციალიზმის სრული გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, ამას გვიკარნახებდა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ინტერესები.

პროლეტარიატის დიქტატურამ შესძლო უდიდესი მუშაობის გაშლა მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის, მან შექმნა უდიდეს ისტორიულ სამუშაოთა გეგმა გეგმა, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალურ ქვეყნად გადაქცევისა, დაქუცმაცებული, წვრილ-გლეხური სოფლის მეურნეობის მსოფლიოში ყველაზე მსხვილ სოციალისტურ სოფლის მეურნეობად გარდაქმნისა, გეგმა სოციალისტური ეკონომიკის ფუნდამენტის აშენებისა და საკითხის „ვინ—ვის“ გადაჭრისა „მთლიანად და საბოლოოდ ქალაქშიც და სოფლადაც კაპიტალიზმის წინააღმდეგ და სოციალიზმის სასარგებლოდ“.

პარტიამ ყველა ძალების მობილიზაცია მოახდინა ამ გრანდიოზული გეგმის განსახორციელებლად, გაანადგურა მემარჯვენე ოპორტუნიზმი და „მემარცხენე გადახვევები,“ დარაზმა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ფართო ინიციატივა და იგი პირველი ხუთწლედის ამოცანების გადასაწყვეტად მიმართა.

ხუთწლედის ოთხი წლის განმავლობაში წარმატებითი შესრულების მსვლელობაში ჩვენ უკვე გადავჭერით პროლეტარული რევოლუციის ერთი უძნელესი ამოცანათაგანი—ამოცანა მშრომელი გლეხობის მობრუნებისა სოციალიზმისაკენ. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ლენინური ხელმძღვანელობით და ამხ. სტალინის მეთაურობით გაშლილ იქნა მთლიანი კოლექტივიზაცია, ხოლო ამ უკანასკნელის საფუძველზე—კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია.

საკითხის „ვინ—ვის“ გადაჭრით მრეწველობის დარგში უზრუნველყოფილ იქნა სოციალისტური წყობის გადაჭარბებული მდგომარეობა მთელ სახალხო მეურნეობაში. პარტიისა და მუშათა კლასის ბელადი—ამხ. სტალინი ამ მდგომარეობიდან გამოდიოდა, როდესაც მან უკვე პარტიის XVI ყრილობაზე აღნიშნა ჩვენი შესვლა სოციალიზმის პერიოდში. სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში ჩვენ ხუთწლედის უკვე მეორე და მესამე წელს შევასრულეთ და გადაჭარბებითაც კი შევასრულეთ სოციალიზმის მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა. ხუთწლედის მესამე წელს აშენებულ იქნა სოციალისტური ეკონომიკის ფუნდამენტი და პარტიამ XVII კონფერენციაზე უკვე აღნიშნა საკითხის „ვინ—ვის“ უეჭველი და საბოლოო გადაჭრა მთელს სახალხო მეურნეობაში. სოციალისტური სექტორი აბსოლუტურად გადაჭარბებული მდგომარეობის მქონე და გაბატონებული გახდა საბჭოთა ქვეყნის მთელ სახალხო მეურნეობაში.

*
* *

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მტკიცე განხორციელების შედეგად ჩვენ უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ საბჭოთა ინდუსტრიის დარგში. 1932 წლის ბოლოსთვის სამრეწველო პროდუქცია 334%-ით გავადიდეთ შედარებით ომის წინადროინდელ მრეწველობასთან, ხოლო 219%-ით კი 1928 წელთან შედარებით. შეიცვალა საწარმოო საშუალებათა წარმოების ხვედრითი წონა საერთო

სამრეწველო წარმოებაში. მარტო პირველი ხუთწლედის პერიოდში მან აიწია 44,3%-დან 52,5%-დე. შეიცვალა მრეწველობის შინაგანი სტრუქტურა მძიმე ინდუსტრიის სასარგებლოდ; ჩვენ პირველი ხუთწლედის 4 წელში მანქანათმშენებლობა—ეს სული და გული მძიმე მრეწველობისა—გავადიდეთ 4,5-ჯერ, ხოლო 1913 წელთან შადარებით—10-ჯერ. ჩვენ ახლად შევქმენით მრეწველობის ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგები, რომელთა შესახებაც ოცნებობაც კი არ შეეძლო ძველ რუსეთს. სამრეწველო პროდუქციის ხვედრითმა წონამ 48%-დან 70%-დე აიწია სოფლის მეურნეობასთან შეფარდებით ამ უკანასკნელის განუწყვეტელ ზრდასთან ერთად. „კაპიტალისტური ელემენტები გამოძევებული არიან საბოლოოდ და დაუბრუნებლად, ხოლო სოციალისტური მრეწველობა კი ინდუსტრიის ერთადერთი ფორმა გახდა საბჭოთა კავშირში“ (სტალინი).

ამრიგად, საბჭოთა კავშირი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიალურ ქვეყნად, რომელიც დამოუკიდებელია კაპიტალიზმის კაპრიზებისაგან და რომელსაც შეუძლია თავი დაიცვას კაპიტალისტური მსოფლიოსაგან. ყოველივე ამან შეუდარებლად განამტკიცა სოციალიზმის პოზიციები საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოში.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წარმატებითი მსვლელობის, პროლეტარული დიქტატურის განმტკიცების და მუშათა კლასის მშრომელ გლეხობასთან კავშირის შემდგომი განმტკიცების შედეგად, პარტიამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია სასოფლო-სამეურნეო ხუთწლედის,—კოლექტივიზაციის ხუთწლედის,—შესრულების საქმეში. პარტიამ სულ რაღაც 3 წლის განმავლობაში მოაწყო 5 ათასი საბჭოთა მეურნეობა და აგრეთვე 200 ათასი კოლმეურნეობა, რომელშიდაც 15 მილიონზე მეტი ღარიბი და საშუალო გლეხური მეურნეობაა გაერთიანებული; ამასთან ერთად მან მოაწყო 2446 სამანქანო-სატრაქტორო სადგური, რომელთაც ჩვენი კოლმეურნეობანი ახალი ტექნიკის რელსებზე გადაყავთ. კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი ჩვენი ქვეყნის მთელი სათესი ფართობის დაახლოებით 80%-ს მოიცაეენ და მათ უკვე შესძლეს გაედიდებიათ მთელი ნათესი ფართობი 4 წლის განმავლობაში 21 მილ. ჰექტარით.

პარტიის გენერალური ხაზის მტკიცე გატარების საფუძველზე მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც მთავარი საშიშროების, წინააღმდეგ, „მომემარცხენო“ გადახრების, კონტრრევოლუციური ტროცკიზმის და მაენებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ „მივაღწიეთ იმას, რომ კულაკობა, როგორც კლასი, განადგურებულია, თუმცა საბოლოოდ არაა მოსპობილი, რომ მშრომელი გლეხობა განთავისუფლებულია კულაკური კაბალისა და ექსპლოატაციისაგან და რომ საბჭოთა ხელისუფლებისათვის მტკიცე ეკონომიური ბაზაა შექმნილი სოფლად, ბაზა კოლექტიური მეურნეობისა“ (სტალინი). ზემოაღნიშნულ წარმატებათა საფუძველზე „საბჭოთა კავშირი უკვე გარდაქმნილია წვრილ-გლეხური მეურნეობის ქვეყნიდან ყველაზე მსხვილ სოფლის მეურნეობად მსოფლიოში“ (სტალინი). ამ მიღწევებმა ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა წარმატებით გადაგვეჭრა ხორბლეულის პრობლემა და სწრაფად ვახდენთ მესაქონლეობის დარგშიც სიძნელეთა ლიკვიდაციას. მათ უზრუნველყვეს და განაგრძობენ უზრუნველყონ მუ-

შათა კლასისა და საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა მასის მატერიალური მდგომარეობის არნახული გაუმჯობესება.

პროლეტარიატის დიქტატურამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. სწორედ კაპიტალისტური მეურნეობის უღრმესი კრიზისისა და უმუშევრობის გაუგონარი ზრდის პერიოდში ჩვენ შევძელით უკვე სამი წლის წინათ მოგვეხდინა უმუშევრობის ლიკვიდაცია და კოლექტივიზაციის საფუძველზე საშუალო გლეხობის დონემდე აგვეწია სიღატაკე-სიდუხჭირეში მყოფ ღარიბთა მასა. კოლმეურნე გლეხობა სულ ახალ და ახალ წარმატებებს აღწევს შეძლებულობის მოპოების გზაზე.

მუშა-მოსამსახურეთა წლიური ხელფასი 1932 წლის ბოლოსთვის 67%-ით გაიზარდა შედარებით 1928 წელთან. უაღრესად გაიზარდა სოცდაზღვევის ფონდი (292%-ით) და საშუალებანი კულტურულ მშენებლობისათვის და სხვ.

საგრძნობლად გადიდდა მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი. ოთხი წლის განმავლობაში იგი ორჯერ გაიზარდა შედარებით 1928 წელთან და მუშათა კლასმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია საკუთარი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის შექმნის საქმეში. მარტო ოთხი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა შევსებულ იქნა 284 ათასი მაღალი და საშუალო კვალიფიკაციის ინჟენერ-ტექნიკური ძალებით, ხოლო საბფარიკო-საქარხნო სასწავლებლებმა 450 ათასი კაცი მოგვცა. გაშლილ იქნა შრომის სოციალისტური მეთოდები—სოცშეჯიბრება, დამკვრელობა და სხვ. სოციალიზმის უდიდესი მშენებლობა და სოციალისტურ საწარმოო ძალთა განვითარება იმავე დროს წარმოადგენს ახალი საზოგადოების ისეთი ადამიანების შექმნასაც, რომელნიც ძველი საზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნას ასრულებენ და სოციალიზმის მშენებლობის საფუძველზე თავიანთი თავის გარდაქმნასაც ახდენენ.

მთელი ფრონტით სოციალისტური შეტევის შედეგად ჩვენ გავდევნეთ კაპიტალისტური ელემენტები მრეწველობიდან, გავანადგურეთ კულაკობა როგორც კლასი მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე და „გავაძევეთ საბჭოთა საქონელთა-ბრუნვიდან კერძო ვაჭრები და ყოველი სახის შუამავლები“ (სტალინი). პარტიის მე-16 ყრილობიდან საწარმოო კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის არსებული კავშირის ძირითად ფორმად იქცა და ჩვენ გავშალეთ საბჭოთა ვაჭრობა, რომელიც მოცემულ ეტაპზე სოციალისტური წარმოების ერთადერთ სწორ ფორმას წარმოადგენს.

პირწავარდნილი ოპორტუნიზმი იქნებოდა, რომ დავკმაყოფილებულიყავით ზემოაღნიშნული წარმატებებით კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში და მეორე ხუთწლედის პერიოდი ჩაგვეთვალა „მწყობრი განვითარების“ პერიოდად, ისეთ პერიოდად, სადაც ადგილი არ უნდა ქონდეს კლასობრივ ბრძოლას და იმ კაპიტალისტური ელემენტების მხრივ წინააღმდეგობის გაწევას, რომელთაც ჩვენ საბოლოოდ უშვებით ლიკვიდაციას. კლასობრივ მტრებს იარაღი არ დაუყრიათ, მათ მხოლოდ ბრძოლის ტაქტიკა და მეთოდები შეიცვალეს ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ, ისინი ცდილობენ შეძვრენ ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში, ტრანსპორტში, კოლმეურნეო-

ბებსა, სამ.-სატრ. სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში და მოაწყონ იქ მავნებლობა, ჭურდობა და დატაცება საზოგადოებრივი ქონების. ცხადია, რომ ჩვენ უნდა გავაძლიეროთ კლასობრივი სიფხიზლე, გამოვამჟღავნოთ კლასობრივი მტრების მახინაციები და გადაჭრით დავარტყათ მათ. „კლასების მოსპობის მიღწევა ხდება არა კლასობრივი ბრძოლის მინელების, არამედ მისი გაძლიერების გზით“ (ს ტ ა ლ ი ნ ი). გასაგებია, რომ არ შეიძლება ლაპარაკი სახელმწიფოს კვდომაზე და სახელმწიფოებრივი ძალაუფლების შესუსტებაზე მეორე ხუთწლედში. სახელმწიფოებრივი ძალაუფლების შესუსტება სურთ უკლასობრივ მტრებს და ყოველი სახის ოპორტუნისტებს, ცდილობენ რა თავიდან მოიცილონ პროლეტარიატის დიქტატურა და გაშალონ კონტრრევოლუციური მუშაობა სოციალიზმის წინააღმდეგ. „სახელმწიფოს კვდომა მოვა არა სახელმწიფოებრივი ძალაუფლების შესუსტების, არამედ ამ ძალაუფლების გაძლიერების მეოხებით, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ მოვსპოთ მომაკვდავი კლასების ნაშთები და მოვაწყოთ თავდაცვა იმ კაპიტალისტური გარემოცვის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ სრულიადაც არაა მოსპობილი და არც ისე ჩქარა იქნება მოსპობილი“ (ს ტ ა ლ ი ნ ი).

აქედან ცხადია, რომ მეორე ხუთწლედის წარმატებითი შესრულების უმთავრეს პირობას წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურისა და მისი ხელმძღვანელი ბოლშევიკური პარტიის ყოველმხრივი განმტკიცება, ორ ფრონტზე ბრძოლის შემდგომი გამახვილება, როგორც მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, რომელიც მთავარი საფრთხეა თანამედროვე ეტაპზე, ასევე „მემარცხენე“ გადახვევების მიმართ.

* * *

პროლეტარიატის დიქტატურის 16 წლის არსებობის მანძილზე და განსაკუთრებით პირველი ხუთწლედის წარმატებით შესრულების შედეგათ საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასი შეუდარებლად გაიზარდა როგორც რიცხობრივად, ისე თვისებრივად. საშუალო და ღარიბი გლეხობის ძირითადი მასა გაერთიანდა კოლმეურნეობებში და ამით მან გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა სოციალისტური გარდაქმნის გზაზე. განადგურებულ იქნა კაპიტალისტური ელემენტები. ყველაფერი ეს ნიშნავდა სათანადო ბაზისის შექმნას კაპიტალისტური ელემენტების და საზოგადოდ კლასების სრული მოსპობისათვის მეორე ხუთწლედში, რაც ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ხუთწლედის ძირითად პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს. ხოლო საბჭოთა მძიმე ინდუსტრიის—რომელიც უკვე შევიდა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ინდუსტრიის პირველ რიგში—უდიდესმა მიღწევებმა მოამზადეს ბაზა მთელი სახალხო მეურნეობის სრული ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის; ეს უკანასკნელი კი მეორე ხუთწლედის ძირითად სამეურნეო ამოცანას შეადგენს.

პირველი ხუთწლედის განმავლობაში ჩვენ ძველი ფაბრიკების და ქარხნების ძირფესვიანი რეკონსტრუქცია მოვახდინეთ და საბჭოთა ქვეყანაში უამრავი ახალი ფაბრიკა და ქარხანა ავაშენეთ. მეორე ხუთწლედის დასაწყისში მძიმე მრეწველობის მომქმედი ძირითადი კაპიტალის 62% ხვდება ახალს, რომელიც

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაშია შექმნილი მრეწველობის ზოგიერთ მნიშვნელოვან დარგებში განახლებული და ახლად შექმნილი ძირითადი კაპიტალის ხვედრითი წონა 80—90%-ს აღწევს. ეს კი სწორედ იმ დროს, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში უკვე მეხუთე წელია, რაც სულ ახალი და ახალი საწარმოები გამოდიან მომქმედ საწარმოების რიგებიდან იმ ღრმა ეკონომიურ კრიზისის გამო, რომელიც იქ მძვინვარებს.

„პირველი ხუთწლედის პერიოდში ჩვენ შევძელით მოგვეწყო ახალი მშენებლობის ენთუზიაზმი, პათოსი და გადამწყვეტ წარმატებებს მივაღწიეთ..... ახლა ეს საქმე ჩვენ უნდა შევავსოთ ახალი ქარხნების და ახალი ტექნიკის ათვისების ენთუზიაზმით, პათოსით, შრომის ნაყოფიერების სერიოზული აწევით, თვითღირებულების სერიოზული შემცირებით.

ესაა ახლა მთავარი“ (სტალინი)

ასე განსაზღვრა მთავარი ამოცანა სოციალისტური მშენებლობის მოცემულ ეტაპზე და მეორე, ხუთწლედისათვის მუშათა კლასის და პარტიის გენიალურმა თეორეტიკოსმა და საყვარელმა ბელადმა ამხ. სტალინმა. ამ ამოცანითაა გამსჭვალული ოქტომბრის რევოლუციის მეთექვსმეტე წელი, რომელიც იმავე დროს სოციალისტური საზოგადოების აშენების ხუთწლედის პირველ წელს წარმოადგენს.

„მდიდარია მოვლენებით ეს წელი,—წელი დიდი ოქტომბრის მეთექვსმეტე წლის თავისა,—როგორც საბჭოთა ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბითაც, მაგრამ მოვლენათა ამ მრავალსახეობას წითელი ზოლივით გასდევს ერთი საერთო ხაზი—ხაზი სოციალიზმის გიგანტური ზრდისა ქვეყნის შიგნითაც და ორი სამყაროს ბრძოლის ასპარეზზეც“. პარტიამ ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და ამხ. სტალინის მეთაურობით მობილიზაცია უქნა მუშათა კლასს და კოლმეურნე და მშრომელ ინდივიდუალურ გლეხობას მეორე ხუთწლედის ამოცანათა განხორციელებისათვის, ახალ საწარმოთა ათვისების გიგანტური პათოსის გაშლისათვის, სოციალისტური ინდუსტრიისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის ტექნიკის დაუფლებისათვის. სოციალისტური ქარხნების, ფაბრიკების, საბჭოთა მეურნეობების, საძანქანო-სატრაქტორო სადგურების და კოლმეურნეობების ტექნიკის დაუფლებისათვის ბრძოლა ნიშნავს იმავე დროს ბრძოლას მაღალი სოციალისტური კულტუროსნობისათვის, სოციალისტური საზოგადოების მუშაკის საბოლოო გამოსაჭედათ, კოლმეურნის სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ მონაწილედ გარდასაქმნელად.

„ახალ საწარმოთა და ახალი ტექნიკის ათვისება გაცილებით მეტ სიძნელეს წარმოადგენს, ვიდრე ძველი ან განახლებული ქარხნების გამოყენება“ (სტალინი).

ჩვენ უკვე შევძელით გაგვეშალა მუშათა კლასის და კოლმეურნეთა ფართო ენთუზიაზმი ამ ძნელი ამოცანის გადასაჭრელად.

პროლეტარიატის დიქტატურის მეთექვსმეტე წლის აღნიშვნა ხდება მძიმე ინდუსტრიის—განსაკუთრებით მანქანათმშენებლობის—შემდგომი განვითარების საქმეში უდიდესი წარმატებებით. ამუშავებულ იქნა ისეთი გიგანტები, როგორიცაა „ურალმაშსტროი“, ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანა და სხვ.

ჩვენ უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ ახალი ქარხნების და ახალი ტექნიკის ათვისების საქმეში. მთელმა რიგმა ქარხნებმა აითვისეს დაპროექტებული სიმძლავრე და მას კიდევაც გადააჭარბეს. სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა, ხარკოვის სატრაქტ. ქარხანა კაგანოვიჩის სახელობის ბურთობ-საკისურების ქარხანა და სხვა. ლენინური ც. კომიტეტის ხელმძღვანელობით და ამხ. სტალინის მეთაურობით მეტალურგიამ უკვე დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ სახალხო-სამეურნეო დავალების შესრულების გზით. სრულიად საკავშირო „კაჩეგარკა“ დონბასი თითქმის უკვე ასრულებს გეგმით დავალებას.

ამხ. სტალინის ექვსი ისტორიული მითითების და დონბასის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც.კ-ის და სახკომსაბჭოს ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის წარმოებული ბოლშევიკური ბრძოლის შემწეობით ჩვენ უკვე გადაჭარბებით შევასრულეთ მეურნეობის ზოგიერთ დარგებში გეგმითი დავალება შრომის ნაყოფიერების აწევის მხრივ და სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლების მიმართაც. დიდი ბელადის—ამხ. სტალინის ლოზუნგი ახალ საწარმოთა და ახალი ტექნიკის ათვისების შესახებ წარმატებით ხორციელდება ცხოვრებაში მუშათა კლასის და კოლმეურნეთა მილიონიანი მასების მიერ.

პარტიამ მობილიზაცია უყო ყველა ძალებს რკინისგზისა და ტრანსპორტის მუშაობის გარდასაქმნელად. მიუხედავად მატერიალურ-ტექნიკური ბაზისის ზრდისა, ტრანსპორტი ჩამორჩა სახალხო მეურნეობის დანარჩენ დარგებს, რითაც საფრთხეში ჩავარდა სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების საქმე. ამ ფაქტის მთავარი მიზეზი იყო ხელმძღვანელობის კანცელარულ-ბიუროკრატიული მეთოდები, რომელთაც მაგრად მოიკიდეს ფეხი რკინისგზის ტრანსპორტის აპარატში. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს ისტორიულმა გადაწყვეტილებამ რკინისგზის ტრანსპორტის შესახებ საბრძოლო პროგრამა გაშალა სახალხო მეურნეობის ამ ერთერთ უმნიშვნელოვანეს დარგში მუშაობის გარდასაქმნელად. გადასროლილ იქნა რკინისგზის მეურნეობაში გამობრძმედილ ბოლშევიკთა მთელი არმია, რომელმაც უკვე მიაღწია ერთგვარ გარდატეხას რკინისგზის მუშაობაში.

მრეწველობის და ტრანსპორტის საბრძოლო ამოცანა—ესაა კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობის ამოცანა, ესაა ტექნიკის დაუფლებისათვის პროლეტარული ენთუზიაზმის შემდგომი გაშლა. ესაა ფართო მასების კიდევ უფრო მეტი დარაზმვა ამხ. სტალინის 6 ისტორიული პირობის ბოლშევიკური განხორციელებისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ც. საკ. კომისიის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა და ამხ. სტალინის მითითებათა საფუძველზე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს მოსავლიანობის აწევისა და სახელმწიფოს წინაშე თავიანთ ვალდებულებათა შესრულების საქმეში. ჩვენ ა/წლის 20 ოქტომბრისათვის პროლეტარული სახელმწიფოს განკარგულებაში უკვე იმდენი პურეული ხორბალი მივიღეთ, რამდენიც მთელი გასული წლის განმავლობაში. პოლიტგანყოფილებათა მუშაკების მთელმა არმიამ დიდი მუშაობა გაშალა ყველა კოლმეურნეობის ბოლშევიკურ მეურნეობად, ხოლო ყველა კოლმეურნის—შეძლებულად გადაქცევის საქმეში.

კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ორგანიზაციულ-საწარმოო განმტკიცება, კოლმეურნეთა მასების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების მუშების მობილიზაცია მომავალი წლის უკეთესი მოსავლისათვის, კლასობრივი მტრების წინააღმდეგობის საბოლოო დაძლევისათვის და ს ტ ა ლ ი ნ ი ს ლოზუნგების ბოლშევიკური განხორციელებისათვის—აი სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავეთა ცენტრალური ამოცანა.

ჩვენი სოფლის მეურნეობის ეს მიღწევები ნათლად გვიჩვენებენ სოციალისტური მიწათმოქმედების უპირატესობას კაპიტალისტური მიწათმოქმედების წინაშე. კაპიტალისტური ქვეყნების სოფლის მეურნეობა უკვე მეხუთე წელია რაც შეპყრობილია აგრარული კრიზისით, რომელიც შეუბრალებლად ანადგურებს ღარიბ და საშუალო გლეხობას, აყენებს მას შიმშილით კვდომის მდგომარეობაში და უაღრესად ანგრევს მიწათმოქმედების საწარმოო ძალებს.

მიაღწია რა დიდ წარმატებებს სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის და სოცრეკონსტრუქციის დარგში—პარტიამ სწრაფად წასწია წინ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის და მშრომელი მასების მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება. თუ კაპიტალიზმი ანადგურებს უმნიშვნელოვანეს საწარმოო ძალას და მას საშიმშილოდ სწირავს, სამაგიეროდ პროლეტარიატის დიქტატურა თვით წარმოადგენს მუშათა კლასის ორგანიზებულ ბატონობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში და იგი უზრუნველყოფს მუშებისა და მშრომელი გლეხობის მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის განუწყვეტელ ზრდას. პარტია ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად სთვლის ბრძოლას მუშათა კლასის და მშრომელთა მასების მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. „არ არსებობს უფრო საპატიო ამოცანა ბოლშევიკ-რევოლუციონერისათვის, როგორიცაა მუშებისათვის დახმარების საქმე, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმე“ (კაგანოვიჩი).

პროლეტარული რევოლუციის მეთექვსმეტე წლის აღნიშვნა ხდება სოციალიზმის უდიდესი გამარჯვებით მთელ ფრონტზე. ეს წელი იმავე დროს წარმოადგენს საბჭოთა ქვეყნის ძლევამოსილ სვლას უკლასო სოციალისტური საზოგადოების უშუალო აშენების გზაზე.

გახდა რა ინდუსტრიალური ქვეყანა, საბჭოთა კავშირმა უაღრესად განამტკიცა თავისი ტექნიკურ-ეკონომიური და სამხედრო სიძლიერე. მსოფლიო რევოლიუციონურ პროლეტარიატს, რომელიც კაპიტალისტური ჩაგვრის, ფაშიზმის და სოციალ-ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძვის, საბჭოთა კავშირი კონკრეტულ გზას უჩვენებს სოციალიზმისაკენ, თანაც იგი იმავდროულად ძლიერ დასაყრდენს წარმოადგენს მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ძალებისათვის. საბჭოთა კავშირში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებამ და მთელ მსოფლიოში მუშათა რევოლუციური მოძრაობის შემდგომმა გაძლიერებამ არნახულად გაამაგრეს სოციალიზმის პოზიციები, განამტკიცეს საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა.

ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა; იგი პროლეტარული სა-

ხელმწიფოს დიდი გამარჯვებაა. მაგრამ სოციალიზმის ძალთა ზრდა აძლიერებს აგრეთვე იმპერიალისტების ავანტურისტულ გამოსვლებს, რომელნიც ესწრაფიან რაც შეიძლება ჩქარა დაესხან თავს საბჭოთა ქვეყანას და გასრისონ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ეს ციტადელი. საბჭოთა მთავრობა მშვიდობიანობის ურყევ პოლიტიკას აწარმოებს, მაგრამ თუ მას თავს დაესხმიან იმპერიალისტური მტაცებლები, მაშინ „ჩვენი ამოცანა მხოლოდ ერთი იქნება— მოწინააღმდეგის სრული განადგურება და ჩვენი არმიის გამარჯვება“ (მოლოტოვი).

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ლენინური ხელმძღვანელობითა და ამხ. სტალინის მეთაურობით პარტიამ თავისი გენერალური ხაზისათვის ბრძოლაში ყოველი ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ პირველი ხუთწლედის განხორციელებას ოთხ წელში მიაღწია და მან გრანდიოზული გეგმა შეადგინა ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის. აჯამებენ რა მეთექვსმეტე წლის—მეორე ხუთწლედის პირველი წლის განმავლობაში ჩატარებულ მუშაობას, პროლეტარიატი და კოლმეურნე გლეხობა წარუდგებიან პატაკით ლენინური პარტიის XVII ყრილობას და ეტყვიან, რომ მეორე ხუთწლედის დავალებანი მათ წარმატებით შეასრულეს და ასრულებენ.

ა/კ-ის და კერძოთ კი საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს როგორც ცალკე რესპუბლიკების, ისე მთელი ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო და პოლიტიკურ-კულტურული ზრდის საქმეში. მათ შეუძლიათ საკ. კ.პ. (ბ) XVII ყრილობას პატაკით წარუდგენ და განუცხადონ, რომ ჩატარებულია უდიდესი მუშაობა „ამიერკავკასიის პარტორგანიზაციათა მუშაობის შესახებ“ საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი ს 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის, რომ ისინი მიდიან და აწიც იელიან მებრძოლთა პირველ რიგებში პარტიის გენერალური ხაზისათვის, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გასატარებლად, აწარმოებენ რა ბრძოლას ყოველი ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ.

„ლენინის და სტალინის დროშით საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა და კოლმეურნე გლეხობამ ძლევამოსილად დაამთავრა პირველი ხუთწლედი. ამავე დროშით და მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელი ბელადის—ამხ. სტალინის მეთაურობით მუშათა კლასი ასევე ძლევამოსილად დაამთავრებს მეორე ხუთწლედსაც და წარმატებით გაიყვანს ყოველივე სიძნელეს უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების გზაზე“. ამავე დროშით გაიმარჯვებს ოქტომბერი მთელ მსოფლიოში.

ს. გოდაბრელიძე

საბჭოთა კავშირის ინდუსტრია

ოქტომბრის რევოლუციის მე-16 წლისთავისათვის

16 წელი მოკლე ვადაა ჩამორჩენილი ტექნიკის ქვეყნის გადასაქცევად ინდუსტრიალურ, ტექნიკურ-ეკონომიური მხრივ მოწინავე ქვეყნად, „იმპერიალისტური ქვეყნების ნება-სურვილებისაგან“ დამოუკიდებელ ქვეყნად. საბჭოთა კავშირმა, რომელიც უმძიმეს პირობებში აშენებს სოციალიზმს, უდიდეს წარმატებებს მიაღწია.

პირველი წლები მთლიანად შეიწირა სამოქალაქო ომმა. რამდენიმე წელი დაჭირდა დანგრეული მეურნეობის აღდგენას და უკანასკნელი 4—5 წლის განმავლობაში გაიშალა უდიდესი მშენებლობა. და მიუხედავად ქვეყნის შიგნით კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ზრდისა და მტრული კაპიტალისტური გარემოცვისა, ლენინური ბოლშევიკური პარტიის და მისი ბელადის ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით, მრავალმილიონიანი მასის ენტუზიაზმის მეოხებით შენდება უკლასო სოციალისტური საზოგადოების დიადი შენობა. ორი სისტემის ბრძოლაში სამუდამოდ განმტკიცებულია სოციალისტური სისტემის უპირატესობანი კაპიტალისტურის წინაშე. პირველ მუშურ სახელმწიფოს წარმატებანი ყველა ქვეყნების მუშათა კლასის რევოლუციურ ძალებს რაზმავს მომაკვდავ კაპიტალიზმთან საბრძოლველად.

განვლილი პერიოდის მანძილზე საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის უდიდესი ყურადღება სამეურნეო მშენებლობის დარგში კონცენტრაციაქმნილი იყო მძიმე მრეწველობისათვის საბრძოლველად. ვინაიდან, როგორც ლენინი მიგვითითებდა, მძიმე მრეწველობის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ ვერავითარი მრეწველობის აგებას, „უამისოდ ჩვენ საერთოდ დავიღუპებით როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა. რუსეთისათვის ხსნას წარმოადგენს არა მარტო კარგი მოსავალი,—ეს კიდევ ცოტაა, და არა მარტო კარგი მდგომარეობა მსუბუქი მრეწველობისა, რომელიც გლეხობას ფართო მოხმარების საგნებს აწვდის,—ესეც კიდევ ცოტაა, —ჩვენთვის აუცილებელია აგრეთვე მძიმე მრეწველობა“. პარტიამ უკუაგდო ინდუსტრიალიზაციის ამოცანების უკანა რიგში დაყენების ანტირევოლუციური პოლიტიკა, საწარმოო საშუალებათა წარმოების ზრდის შეფერხების პოლიტიკა. „ყოველივე ამას შედეგად მოყვა ის, რომ საბჭოთა კავშირი სუსტი და თავდაცვისათვის მოუმზადებელი ქვეყნიდან გადაიქცა ძლიერ ქვეყნად თავდაცვაუნარიანობის აზრით, ისეთ ქვეყნად, რომელსაც ძალუძს მასობრივი მასშტაბით დაამხადოს თავდაცვის ყველა თანამედროვე იარაღი... ჩვენ არა მარტო შევქმენით მრეწველობის ახალი უზარმაზარი დარგები, არამედ შევქმენით ისინი ისე-

თი მასშტაბით და ოდენობით, რომლის წინაშე ფერმკრთალი ხდება ევროპის ინდუსტრიის მასშტაბი და ოდენობა" (სტალინი).

კაპიტალიზმის ლპობა უფროდაუფრო მწვავე ფორმებს ღებულობს. კაპიტალიზმი ნთქავს თავის საკუთარ წარმონაშობს—საწარმოო ძალებს. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მსოფლიო სამრეწველო წარმოება შემცირდა 30 პროც., მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირში სამრეწველო პროდუქცია უჩვეულოდ იზრდება, საბჭოთა კავშირის წილი მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში 4,7 პროც-დან 15 პროცენტამდე გაიზარდა. საბჭოთა კავშირმა გაუსწრო ევროპის ყველა ქვეყანას და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ მეორე ადგილი დაიჭირა მსოფლიოში.

რამდენიმე წლის განმავლობაში შექმნილია მრეწველობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დარგები უდიდესი მასშტაბით (მანქანათმშენებლობა, საავტოტრაქტორო და საავიაციო მრეწველობა, მეტალურგია).

მანქანათმშენებლობა

განსაკუთრებით ძლიერ განვითარდა მანქანათმშენებლობა. მრეწველობის არცერთ დარგს არ ჰქონია ზრდის ისეთი მაღალი ტემპები, როგორც მანქანათმშენებლობას. საკ. კ. პ. (ბ) მე-17 კონფერენციის გადაწყვეტილებებში მითითებულია, რომ „ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრებაში წამყვანი როლი ეკუთვნის საბჭოთა მანქანათმშენებლობას". „სოციალიზმის ერთადერთი მატერიალური საფუძველი შეიძლება იყოს მსხვილი სამანქანო მრეწველობა" (ლენინი). ძირითადად მანქანათმშენებლობაზეა დამოკიდებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარება და ხელახალი შეიარაღება. მანქანათმშენებლობა თამაშობს გადამწყვეტ როლს ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვებაში. უკანასკნელი წლების განმავლობაში საბჭოთა მანქანათმშენებლობის წარმატებებით წყდება ამოცანა საბჭ. კავშ. გადაქცევისა მანქანა-მოწყობილობათა შემომტანი ქვეყნიდან მანქანა-მოწყობილობათა მწარმოებელ ქვეყნად.

„ხუთწლიანი გეგმის ძირითად რგოლს შეადგენდა მძიმე მრეწველობა მისი მთავარი ძარღვით—მანქანათმშენებლობით, ვინაიდან მხოლოდ მძიმე მრეწველობას შეუძლია რეკონსტრუქცია და ფეხზე დაყენება მრეწველობისაც საერთოდ, ტრანსპორტისაც და სოფლის მეურნეობისაც" (სტალინი).

საბჭოთა მანქანათმშენებელი მრეწველობის პროდუქციამ მოკლე ხნის განმავლობაში 9—10 ჯერ გადააჭარბა ომამდე გამოშვებას და მოგვცა შემდეგი ზრდა (26—27 წ. უცვლელ ფასებში):

1913 წ.	611 მილ. მან.
1925 წ.	566 მილ. მან.
1928 წ.	1.382 მილ. მან.
1930 წ.	2.928 მილ. მან.
1931 წ.	4.152 მილ. მან.
1933 წ.	6.800 მილ. მან.

„ამ რაოდენობრივ ზრდას თან სდევდა უდიდესი ხარისხობრივი წინსვლა მანქანათმშენებლობაში. ამ ხნის განმავლობაში ათვისებულია პროდუქციის ახალ სახეთა უდიდესი რაოდენობა, შექმნილია წარმოების მთელი ახალი დარგები, ათვისებულია წარმოების ახალი მეთოდები, გამოუკლებლივ ყველა ქარხანაში გაუმჯობესებულია წარმოების ტექნიკა და ორგანიზაცია. ყოველმა მანქანამ, რომელსაც ახლა ჩვენი ქარხნები ამზადებენ, განიცადა ტექნიკური ცვლილება და გაუმჯობესება თანდათანობით ზრდადი რეკონსტრუირებული სახალხო მეურნეობის მოთხოვნათა მიხედვით. მანქანების ტიპები და კონსტრუქციები დაახლოვებულია უმეტესად გაუმჯობესებულ სახეებთან, რომლებიც კი მოიპოვება მსოფლიო ტექნიკაში, ხოლო ცალკე შემთხვევებში აღემატებიან კიდეც მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ტექნიკის დონეს“ (კუიბიშევის მოხსენებიდან საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმზე).

ჩვენს მანქანათმშენებლობას ამჟამად შეუძლია უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგი და მაქსიმალურად შეამციროს იმპორტი. მიმდინარე წლის თებერვალში მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. ორჯონიკიძემ გამოსცა ბრძანება, სადაც აღნიშნავდა, რომ „პირველი ხუთწლედის წარმატებებს მა ჩვენი მანქანათმშენებლობა ისეთ სიმაღლეზე აიყვანა, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავაპროექტოთ და დავამზადოთ ჩვენს საბჭოთა ქარხნებში რომელიც არ უნდა იყოს მანქანა“. ამ ბრძანებით იმპორტიდან მოხსნილ იქნა რამდენიმე ათეულ მილიონ ოქროს მანეთად ღირებული ურთულესი მოწყობილობა. დაკვეთები ამ მოწყობილობაზე საბჭოთა ქარხნებს გადაეცა. ის, რაც აქამდის ჩვენ შემოგვქონდა, ახლა წარმატებით მზადდება კავშირშიეე. თუ მაგნიტოგორსკისა და კუზნეცკის მეტალურგიული ქარხნებისათვის შემოტანილ იქნა საზღვარგარეთული ბლიუმინგები, ახლა ისინი ჩვენში მზადდება. თუ დნეპროსტროის პირველი გენერატორები უცხოეთის იყო, მსოფლიოში ამ უდიდესი ჰიდროსადგურის უკანასკნელი გენერატორები საბჭოთა ნაწარმოებს წარმოადგენენ.

საბჭოთა მანქანათმშენებლობამ ევროპაში პირველი ადგილი დაიჭირა. კაპიტალისტურ ქვეყნებში კრიზისის შედეგად სამანქანათმშენებლო მრეწველობა კატასტროფულად შემცირდა. ცალკე ქვეყნებში მთლიანად დაქვეითებულია მანქანათმშენებლობის ისეთი დარგები, როგორიცაა ორთქლმავალ ვაგონების მშენებლობა (ჩ. ა. შ., გერმანია), სასოფლო-სამეურნეო მანქანების მშენებლობა. თუ ავიღებთ სამანქანათმშენებლო მრეწველობის 1929 წ. პროდუქციის დონეს 100 პროცენტად,—1932 წელს საბჭოთა კავშირს აქვს 324 პროც., საფრანგეთს—80 პროც., ინგლისს—70 პროც., გერმანიას—40 პროც. ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებს, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში მანქანათმშენებლობა ყოველწლობით მცირდება. საბჭოთა კავშირის ხვედრითი წონა მსოფლიო მანქანათმშენებლობაში 1925 წ. შეადგენდა 1,6 პროც., ხოლო 1932 წ.—21 პროც., ხვედრითი წონის მიხედვით საბჭოთა კავშირს ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს.

საბჭოთა კავშირში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შექმნილია მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა-გიგანტები. მძიმე მანქანათმშენებლობის ურალის ქარხანა, რომელიც მიმდინარე წელს ამუშავდა, მსოფლიოში ერთერთ

უმსხვილეს ქარხანას წარმოადგენს, პირველი რიგის ქარხნის სიმძლავრე შეადგენს სხვადასხვა მანქანებისა და მოწყობილობის 100 ათას ტონა წლიურ პროდუქციას. ამ ქარხანას აქვს ყველაზე უმძლავრესი მოწყობილობა ევროპაში (მაგ., ონკანი, 250—300 ტონის სიმძლავრის ოდენობით), ქარხანა ნავარაუდევია 10 ბრძმედის, 40 მარტენისა და 24 გასაგლინავი დაზგებისთვის. ურალის ქარხნის მშენებლობის ღირებულება შეადგენს 150 მილიარდ მანეთს.

მეორე გიგანტის—კრამატორსკის მანქანათმშენებელი ქარხნის (მშენებლობის პროცესშია) სიმძლავრე უდრის 150 ათას ტონას. იგი, ისევე როგორც ურალის ქარხანა, ნავარაუდევია მეტალურგიული ქარხნებისათვის მოწყობილობის დასამზადებლად.

დაზგათმშენებლობა მანქანათმშენებლობის საფუძველს წარმოადგენს. დაზგათმშენებელი მრეწველობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1913 წ. დაზგების წარმოება შეადგენდა 3327 ათას მან., 1929 წ.—8500 ათ. მან., ხოლო 1932 წ.—50 მილიონ მანეთს. აგებულია ისეთი უმსხვილესი საწარმოები, როგორიცაა რევოლვერებს დაზგების მოსკოვის ქარხანა, წელიწადში 6—7 ათასი დაზგის სიმძლავრით; საფრეზერო დაზგების გორკის ქარხანა (სიმძლავრე—8 ათასი დაზგა); საბურღავი დაზგების ხარკოვის ქარხანა. რეკონსტრუირებულია ქარხანა „კრასნი პროლეტარი“ და სპეციალიზირებულია სახარატო დაზგების საწარმოებლად 20 მილ. მან. წლიური პროდუქციით.

ხელსაწყო-იარაღის მრეწველობაც ძლავრ დარგად გადაიქცა. თუ 1922 წ. ამ მრეწველობის პროდუქცია არ აღემატებოდა 6,5 მილ. მან., 1929 წ. მან მოგვცა 54 მილ. მანეთის პროდუქცია, ხოლო 1932 წ.—168 მილ. მანეთისა. ხელსაწყო-იარაღების წარმოების მხრივ საბჭოთა კავშირს უჭირავს პირველი ადგილი ევროპაში და თვით გერმანიასა და ინგლისსაც კი გაუსწრო. მოსკოვში აშენებულია ახალი ისეთი საწარმოები—ქარხანა „ფრეზერი“, 45 მილ. მან. წლიური პროდუქციით, და „კალიბრი“, 60 მილ. მან. მეტი წლიური პროდუქციით. ეს ქარხნები მოწყობილია მსოფლიო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და ევროპაში მათი ბადალი არ მოიპოვება. სვერდლოვსკში აგებულია მჭრელი იარაღის ქარხანა 65 მილ. მანეთის პროდუქციით. ამავე დროს კაპიტალისტურ ქვეყნებში ხელსაწყო-იარაღის მრეწველობა მცირდება. ხელსაწყო-იარაღის ქარხნები დატვირთულია არა უმეტეს ვიდრე 20 პროც. გერმანიამ, რომელიც გაბატონებული იყო ხელსაწყო-იარაღის მსოფლიო ბაზარზე, ხელსაწყო-იარაღის ექსპორტი სამი წლის განმავლობაში 120 მილ. მარკიდან (1929 წ.) 50 მილ. მარკამდის (1932 წ.) შემცირა. თუ წინათ გერმანიის ხელსაწყო იარაღის მრეწველობა უშვებდა წელიწადში 400 მილიონ მანეთის პროდუქციას, ახლა ეს ციფრი 100 მილ. მარკამდე შემცირდა. ინგლისის ხელსაწყო-იარაღის მრეწველობამ 1924 წ. გამოუშვა 8421 ათ. გირვ. სტერლინგის პროდუქცია, ხოლო 1932 წ. არა უმეტეს ვიდრე 3 მილ. გირვ. სტერლინგისა.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის დარგში საბჭოთა კავშირი წავიდა იმაზე შორს, რაც იცოდა უცხოეთის ტექნიკამ. ჩვენში წარმოებს ისეთი მანქანების გამოშუშავება, რომლებიც ემსახურება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ურთულეს პროცესებს. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობამ მაღალი ტექ-

ნიკური ბაზა შეუქმნა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას და უზრუნველყო მსხვილ სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლა.

სას.-სამ. მანქანათმშენებლობის პროდუქცია რევოლუციის წინადროინდელ რუსეთში შეადგენდა 1913 წ. 70 მილ. მან., 1914 წ.—54 მილ. მან. და 1916 წ. —12 მილ. მ.

რევოლუციის შემდეგ იწყება სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის აღორძინება და 1924—25 წ. იგი იძლევა 42 მილ. მან. პროდუქციას, 1927—28 წ. —153 მილ. მან., ხოლო 1933 წ. პროდუქცია აღწევს—550 მილ. მანეთამდის. ჩატარდა მომქმედი ქარხნების („კრასნაია ზვეზდა", „სერპ ი მოლოტ", „კომუნარი") საფუძვლიანი რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც ამ ქარხნებმა მიიღეს მოწინავე მოწყობილობა, შესცვალეს წარმოების ნომენკლატურა და გაუსწრეს ევროპისა და ამერიკის სათანადო მოწინავე ქარხნებს.

აგებულია სასოფლო-სამ. მანქანათმშენებლობის ოთხი ახალი გიგანტი: „როსტელმაშ" 200 მილ. მან. წლიური სიმძლავრით, სარატოვის კომბაინების ქარხანა 15 ათასი კომბაინის წლიური სიმძლავრით, ტაშკენტის სასოფლო-სამ. მანქანათმშენებლობის ქარხანა 50 მილ. მან. პროდუქციით ბამბის მეურნეობის მექანიზაციისათვის მოწყობილობის დასამზადებლად, გომელის ქარხანა საკვების დასამუშავებელი ინვენტარის გამოსაშვებად. მთავრდება კომბაინმშენებლობის გიგანტის შენება ციმბირში.

წარმოების დონის მიხედვით საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობამ 1929 წ. გაუსწრო გერმანიას, 1932 წ. უკან მოიტოვა ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატებიც და ამ ჟამად მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. ამერიკა ამ დარგში თვალსაჩინო როლს თამაშობდა მსოფლიოში, მაგრამ კრიზისის შედეგად სას.-სამ. მანქანათმშენებლობის პროდუქციის ტემპი 1929—1931 წ. შემცირდა 607 მილ. დოლარიდან 210 მილ. დოლარამდე, ამასთან შემცირდა ყველაზე უფრო მეტად გაუმჯობესებულ მანქანათა წარმოება.

ავტო-სატრაქტორო მრეწველობა

„ჩვენ არ გვქონდა სატრაქტორო მრეწველობა. ჩვენ ახლა გვაქვს იგი. ჩვენ არ გვქონდა საავტომობილო მრეწველობა. ჩვენ ახლა გვაქვს იგი" (**სტალინი**). საბჭ. კავშირის ერთი უბრწყინვალესი სამეურნეო გამარჯვებათაგანია მსხვილი ავტო-სატრაქტორო მრეწველობის შექმნა. ს.ს.რ. კ-ს ავტოსატრაქტორო მრეწველობა ამჟამად საბჭოთა მანქანათმშენებლობის ერთერთი უმძლავრესი დარგია, იგი წარმოადგენს ერთერთ წამყვან დარგს და თამაშობს უდიდეს როლს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში. ავტო-სატრაქტორო მრეწველობაში ამჟამად ჩაბმულია 100 ათასზე მეტი მუშა.

რევოლუციის წინადროინდელ რუსეთს გააჩნდა ერთი საავტომობილო ქარხანა რიგაში (რუსეთ-ბალტიის ავტოქარხანა), რომელმაც 6 წლის განმავლობაში გამოუშვა 451 სამგზავრო და 10 საბარგო მანქანა. 1915 წ. ამ ქარხანამ მიაღწია მხოლოდ 140 მანქანის გამოშვებას. არსებითად ეს იყო მექანიკურ-შესაკ-

რები სახელოსნო, ვინაიდან მუშაობდა უმთავრესად შემოზიდული მასალებით, დეტალებით და აგრეგატებით.

ახლა საბჭოთა კავშირს აქვს შვიდი უმსხვილესი ავტო-სატრაქტორო ქარხანა, 3 სატრაქტორო ქარხანა (სტალინგრადის, ხარკოვის და ჩელიაბინსკის მგრაგნელიანი ტრაქტორების გიგანტი), 4 საავტომობილო ქარხანა (მოსკოვის, გორკის, იარსლავლის და „კრასნი პუტილოვეცი"). გარდა ამისა, კიდევ ორი ავტოშესაკრები ქარხანა მოსკოვსა და გორკიში, 15 სათადარიგო ნაწილების ქარხანა („ვატოზაპჩასტ") გადაკეთებულია ძველი ქარხნებიდან, მთელი რიგი ახალი მონათესავე წარმოება, რომლებიც მომსახურებას უწევს ავტო-სატრაქტორო ქარხნებს (ელექტრომოწყობილობის, საშოფერო ხელსაწყო-იარაღის, არმატურის, სათვლელ-საზომი ხელსაწყოების ქარხანა, უტეხავი მინის ქარხანა და სხვ.).

რამდენიმე წლის განმავლობაში საბჭოთა სატრაქტორო ქარხნებმა გამოუშვეს პროდუქცია შემდეგი რაოდენობით:

1928 წ.	874 ტრაქტორი
1929 „	3267 ტრაქტორი
1930 „	14250 ტრაქტორი
1931 „	38083 ტრაქტორი
1932 „	50250 ტრაქტორი
1933 „	60000 ტრაქტორი

მომავალ 1934 წ. ჩვენი ქარხნები გამოუშვებენ 100 ათას ტრაქტორს. ამავე პერიოდში ტრაქტორების წარმოება ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებში შემცირდა 175 ათასი ცალიდან (28 წ.) 50 ათასამდის (32 წ.), ხოლო გერმანიაში 7,5 ათასი ცალიდან 2,2 ათასამდის. ამრიგად, საბჭოთა ტრაქტორმშენებლობამ მსოფლიოში პირველი ადგილი დაიპირა. აშენებულია ორი ახალი გიგანტი—სტალინგრადის და ხარკოვის სატრაქტორო ქარხნები 100 ათ. ტრაქტორის სიმძლავრით. როდესაც ამუშავების პირველ წელს სტალინგრადის ქარხანა ვერ მუშაობდა ნორმალურად „საყმაწვილო სენთა" გამო, კაპიტალისტური ქვეყანა სიხარულით ცას ეწეოდა და მიუთითებდა მის უვარგისობაზე. მაგრამ ამუშავების პირველი პერიოდის შემდეგ ქარხანამ მოაგვარა წარმოება და თუ 1930 წ. მან გამოუშვა 1000 ტრაქტორი, სამაგიეროდ 1931 წ. გამოუშვა 17.670 ტრაქტორი, 1932 წ.—29.700, ხოლო მიმდინარე 1933 წ. ქარხანა ფაქტიურად იძლევა 40 ათას ტრაქტორს.

ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა აშენდა ერთი წლის განმავლობაში ცარიელ ადგილზე. მიმდინარე წელს იგი გადაჭარბებით ასრულებს წლიურ პროგრამას და ამცირებს ტრაქტორის თვითღირებულებას 4659 მანეთიდან (32 წ.) 3401 მანეთამდე (33 წ.).

მიმდინარე წლის პირველ იულისს ამუშავდა სატრაქტორო მრეწველობის გიგანტი—ჩელიაბინსკის ამხ. სტალინის სახ. ქარხანა. მისი სრული წლიური წარმოებაა 40 ათასი ცალი მგრაგნელიანი ტრაქტორი 60 ცხენის ძალის სიმძლავრით (ქარხანას შეუძლია გააუართოვოს წარმოება 60 ათას ცალამდე). ეს ქარ-

ხანა უფრო დიდია, ვიდრე მსოფლიოში უმსხვილესი ამერიკული ქარხანა ჰგრაგნელიანი ტრაქტორებისა, რომელიც წელიწადში აწარმოებს არა უმეტეს 5—6 ათასი ტრაქტორისა. ჩელიაბინსკის ტრაქტორი უფრო დიდია, რითაც ერთიორად ჩქარდება სამიწადმოქმედო სამუშაოები. 8 საათის განმავლობაში იგი ხნავს 23 ჰექტ. მაშინ, როდესაც სტალინგრადის ქარხნის ტრაქტორი—მხოლოდ 10 ჰექტ.

ავტომობილების წარმოება ჩვენ დავიწყეთ ნულიდან. საბჭოთა საავტომობილო წარმოება რამდენიმე წლის განმავლობაში შეიქმნა. საბჭოთა კავშირში გამოშვებულ იქნა ავტომობილი:

1924	წ.	20 ც.
1928	„	700 „
1930	„	8500 „
1931	„	20000 „
1932	„	25000 „
1933	„	40000 „

ამავე დროის განმავლობაში თითქმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ავტომობილების წარმოება ძლიერ მცირდება. მაგ., ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატებში 1932 წ. გამოშვებულ იქნა 70 პროცენტით უფრო ნაკლები, ვიდრე 1928 წ., კანადაში—75 პროცენტით, საფრანგეთში—22 პროცენტით, გერმანიაში—64 პროცენტით, იტალიაში—50 პროცენტით.

აშენებულია მოლოტოვის სახ. ახალი საავტომობილო ქარხანა გორკიში, რომლის ყველა რიგის სიმძლავრე წელიწადში უდრის 140 ათას მანქანას. ამ ქარხანამ თავის მუშაობის მეორე წელს დიდ წარმატებებს მიაღწია. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ქარხანამ გამოუშვა 6507 მანქანა გეგმით გათვალისწინებულ 6400 ნაცვლად, სამგზავრო მანქანა 2620 გეგმით გათვალისწინებულ 2500 ნაცვლად. ამას გარდა, გამოშვებულია 7703 მოტორი კომბაინისათვის და სათადარიგო ნაწილები—29,5 მილ. მანეთ. საბარგო მანქანის თვითღირებულება შემცირებულია 43,6 პროცენტით. მთლიანად დამთავრებულია სამგზავრო მანქანების ათვისება. 1932 წ. მე-4 კვარტალის 25 ცალიდან სამგზავრო ავტომობილების წარმოება 1933 წ. I-ლ კვარტალში 700 ცალამდე ავიდა.

რეკონსტრუირებულია მოსკოვის საავტომობილო ქარხანა სტალინის სახელობის (ამო). არსებითად აგებულია ახალი ქარხანა. „რეკონსტრუქციის“ შემდეგ ძირითადი კაპიტალი 9 მილიონ მანეთიდან გაიზარდა 53,5 მანეთამდე. 1928 წ. ამ ქარხნის პროდუქცია შეადგენდა 13 მილ. მანეთს, ხოლო 1933 წ. 200 მილიონ მანეთს აღემატებოდა. ქარხნის სიმძლავრე უდრის 25 ათას მანქანას ერთ ცვლაში. ამხ. სტალინის სახ. ქარხანაში მანქანის თვითღირებულება უახლოვდება ამგვარიეე მანქანების თვითღირებულებას, რომლებსაც უშვებს ფირმა „ჯენერალ მოტორი“ ამერიკაში, მიუხედავად იმისა, რომ ლითონის ღირებულება ჩვენში უფრო დიდია, საზღვარგარეთ 2 ნახევ. ტონიანი ავტოკარი ღირს 4600 მან. ოქროთი, ხოლო „ამოს“ საბარგო ავტომობილი 4755 მან. საბჭოთა ფულით. სტალინის სახელობის ქარხანა ამჟამად ფართოვდება და იგი მოგვცემს 70 ათას

სამღერძიან საბარგო ავტომობილს და 10 ათას შვიდადგილიან სამგზავრო ავტომობილს.

მძიმე საბარგო ავტომობილების იაროსლავლის ქარხანა წელიწადში ამზადებს 2 ათას მანქანას (უმთავრესად სამტონიანს). 1918 წ. იაროსლავლში შეკრებილ იქნა ავტომობილების შემკეთებელი სახელოსნოების მოწყობილობა, რომლის ბაზაზეც ახლა გაიზარდა საავტომობილო ქარხანა. ამჟამად მთავრდება იაროსლავლის ქარხნის რეკონსტრუქცია, რის შემდეგ ქარხანა გამოუშვებს წელიწადში 10 ათას მძიმე საბარგო მანქანას. უკვე ახლა, როდესაც ქარხანა ამზადებს ორი ათას მანქანას, იგი ითვლება უმსხვილეს საწარმოდ ევროპაში. ევროპის დიდი ქარხნები საუკეთესო წლებში უშვებდენ არა უმეტეს 5 ათასი მძიმე საბარგო მანქანისა. უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ ქარხნებმა შეამცირეს თავისი პროდუქცია რამდენიმე ასეულ მანქანამდე წელიწადში.

ლენინგრადის ქარხანა „კრასნი პუტილოვეცი"—საბჭოთა ტრაქტორმშენებლობის პიონერი—ტრაქტორების წარმოებიდან გადავიდა პირველხარისხოვან მრავალტირაჟიან სამგზავრო ავტომობილების „ლ—1" დამზადებაზე.

ავტო-სატრაქტორო მრეწველობასთან ერთად შექმნილია ავიომშენებლობის მსხვილი მრეწველობა. აგებულია ახალი ქარხნები საავიაციო მოტორების საწარმოებლად, რაც საბჭოთა კავშირს შესაძლებლობას მისცემს საჰაერო ტრანსპორტის მხრივ პირველ რიგებში იდგეს.

მნიშვნელოვნად გაიზარდა სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის პროდუქცია. თუ 1920 წ. ორთქლმავლების წარმოება 90 ც. აღწევდა 28 წ. იგი ადის უკვე 604 ც. დე, ხოლო 33 წ. აღემატება 1175 ცალს, რაც ორჯერ მეტია იმაზე, რაც ომის წინათ იყო. 1920 წ. მზადდებოდა 854 ცალი, 1928 წ. —11740 და 1933 წ.—34400 ცალი.

უკანასკნელ წლებში სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა გადავიდა მოძრავი შემადგენლობის უფრო მძლავრი სახეების წარმოებაზე—16 ტონიანი საბარგო ვაგონების ნაცვლად მზადდება 20—25 ტონიანი ვაგონები და 51—70 ტონიანი ოთხღერძიანი ვაგონები. დაწყებულია ზემძლავრ საბარგო ორთქლმავლების „ფდ" და მძლავრ სამგზავრო ორთქლმავლების „ის" წარმოება.

ლუგანსკში ძველი ქარხნის გვერდით აგებულია ახალი დიდი ორთქლმავალთმშენებელი ქარხანა, ნავარაუდევი სერია „ფდ" 1080 მძლავრი ორთქლმავლის გამოსაშვებად. ამ ქარხნის მშენებლობის ღირებულება უდრის 185 მილ. მანეთს. შენდება ახალი ორთქლმავალთმშენებელი ქარხანა ნოვოჩერკასკში, ორსკში—თბომავლების ქარხანა, კავშირში ელექტრომავლების ქარხანა, ტაგილში—მძლავრი სავაგონო კომბინატი ნავარაუდევი 64 ათას დიდ საბარგო ვაგონის გამოსაშვებად წელიწადში, და სამგზავრო ვაგონების მშენებელი ქარხანა ყაზანში.

ელექტროტექნიკური წარმოება

ელექტროტექნიკური მრეწველობა რამდენჯერმე გაიზარდა. 1913 წ. ამ მრეწველობის პროდუქცია შეადგენდა 75 მილიონ მანეთს, 1928 წ.—220 მ-ნ მან., 1932 წ.—1218 მილიონ მან. საბჭოთა ელექტროტექნიკამ პროდუქციის

მხრივ დაიჭირა მესამე ადგილი მსოფლიოში ამერიკისა და გერმანიის შემდეგ, ხოლო სტრუქტურის მხრივ იგი ყველაზე წინ დგას, უშვებს რა რთულ მოწყობილობას ძალოვანი მეურნეობისათვის. მზადდება 50 ათას კილოვატიანი დიდი ტურბინები 3250 ცხ. ძალის სიმძლავრის დიზელები. მიმდინარეობს 10 ათას ცხ. ძალიანი დიზელების წარმოების ათვისება. ქარხანა „ელექტროსილამ" გამოუშვა უმსხვილესი 62 ათას კილოვატიანი ჰიდროგენერატორი დნეპროჰესისათვის. საბჭოთა ელექტროტექნიკურმა მრეწველობამ აითვისა მაღალვოლტიან ზეთის ამომრთველების, მაღალვოლტიან ტრანსფორმატორების და სხვ. წარმოება.

ლენინგრადის ქარხანა „ელექტროსილა" გერმანელ კაპიტალისტის სიმენს-შუკერტის წვრილ შემკრებ სახელოსნოებიდან გაიზარდა ელექტრომანქანათა მშენებელ მოწინავე გიგანტად, რომელიც აწარმოებს მსოფლიოში უმსხვილეს და ურთულეს გენერატორებს და აგრეგატებს. ქარხნის პროდუქცია 1928 წელს შეადგენდა 22 მილიონ მან., 1932 წ.—81 მილიონ მან. წარმოებაში მუშაობს 757 ინჟენერი. მოსკოვის ელექტროქარხანაც აგრეთვე წარმოადგენს ელექტროტექნიკური მრეწველობის უმსხვილეს საწარმოს, რომლის პროდუქციაც წელიწადში 189 მილ. მან. შეადგენს. მიმდინარე წელს ამუშავდება ხარკოვის ტურბინების ქარხანა, რომელსაც აქვს უმძლავრესი მოწყობილობა, რაც მას შესაძლებლობას მისცემს დაამზადოს 160 ათას კილოვატიანი გენერატორები ერთ აგრეგატში.

საბჭოთა კავშირში ელექტროტექნიკური მრეწველობის უდიდესი განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ელექტროფიკაციის გეგმის განხორციელებასთან უმსხვილეს კაპიტალისტურ ქვეყნებში ელექტროტექნიკური მრეწველობა მცირდება. მაგ., ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატებში 1929 წ-დან 1931 წ-მდე პროდუქცია შემცირდა 40 პროც., გერმანიასა და ინგლისში—44 პროც. მსოფლიოში უმსხვილეს ამერიკულ ელექტროტექნიკურ კონცერნს „ჯენერალ ელექტრიკს" 1929 წ. ჰქონდა 579 დოლარის დაკვეთები, 1930 წ.—342 მილ., ხოლო 1931 წ.—252 მილ. დოლარის. გერმანიაში სიმენსის უმსხვილეს ელექტროტექნიკურ კონცერნში 1929 წ. მუშაობდა 99 ათასი მუშა, ხოლო 1931 წ.—73 ათასი,

მანქანათმშენებელი მრეწველობა საქართველოში 1921 წლამდე არ ყოფილა. იყო წვრილი კუსტარული სახელოსნოები და ომის დროს ტფილისში მოეწყო პატარა სარემონტო სახელოსნო. ახლა ამ სახელოსნოების ბაზაზე შექმნილია მანქანათმშენებელი ქარხნები, რომლებიც ამზადებენ მანქანებსა და მოწყობილობას, რაც აქამდე საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა.

26 კომუნარის სახ. ქარხანა, ოდესლაც პატარა სარემონტო სახელოსნო, ამჟამად უკვე ნამდვილ მანქანათმშენებელ ქარხანას წარმოადგენს. იგი ამზადებს მოწყობილობას მთელი საბჭოთა კავშირის აბრეშუმის და ჩაის მრეწველობისათვის მიმდინარე წელს ქარხანა სპეციალიზირებულია საფეიქრო მანქანათმშენებლობაზე. ქარხანა ამზადებს ამოსახვევ მანქანებს თურქეთის საფეიქრო კომბინატისათვის.

ორჯონიკიძის სახ. ქარხანა ამზადებს მოწყობილობას კავშირის ღვინის მრეწველობისათვის. კალინინის სახ. ქარხანა ამზადებს მეტიზის ნაწარმოებს, ელექტრომობილ ხელსაწყოებს, ელექტროშემდუღებელ აპარატებს და სხვ. ლითონის კონსტრუქციათა ქარხანა ამზადებს რკინის კონსტრუქციებს გადასაცემი ხაზებისათვის, სხვადასხვა მოწყობილობას ჰიდროსადგურებისათვის (ფარები, ანგარები და სხვ.). ბათომის თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა მიმდინარე წელს გადავიდა ჩაის მრეწველობისათვის მოწყობილობის დამზადებაზე (როლერები, ჩაის სახმობი ღუმელები და სხვ.). ბათომში შენდება ჩაის მანქანათმშენებლობის ახალი ქარხანა ნავარაუდევი 15—20 მილიონ მან. პროდუქციისათვის.

ტფილისში აგებულია ნავთის საბურღავი მოწყობილობის და საგეოლოგო-ძიებითი დაზგების მსხვილი ქარხანა, რომლის სრული წლიური სიმძლავრე უდრის 55 მილ. მან. ქარხანა საექსპლოატაციოდ გადაეცემა ამ წლის დამლევს. ავჭალაში შენდება მსხვილი ფოლად-თუჯის ჩამოსასხმელი ქარხანა („ცენტროლიტი"), რომლის პირველი რიგის წლიური სიმძლავრე იქნება 20 ათ. ტონა სხმული, რაც შემდეგში აყვანილი იქნება 70 ათას ტონამდე, აქედან 10 ათასი ტონა მილების სხმული. ამ ქარხნის ფოლადის ჩამოსასხმელი საამქრო საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1934 წ. დასაწყისში.

საბჭოთა კავშირში არსებითად მეტად ხანმოკლე პერიოდში განხორციელდა თავისი გრანდიოზულობით არნახული პროგრამა ახალი მძლავრი მეტალურგიის შექმნისა. „ჩვენ არ გვქონდა შავი მეტალურგია, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველი. ჩვენ ახლა იგი გვაქვს... ჩვენ გვქონდა მხოლოდ ერთადერთი ქვანახშირ-მეტალურგიული ბაზა უკრაინაში, რომელსაც დიდი გაჭირვებით ვართმევდით თავს. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ არა მარტო აეწიეთ ეს ბაზა, არამედ შევქმენით აღმოსავლეთში ქვანახშირის და მეტალურგიის კიდევ ახალი ბაზა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სიამაყეს შეადგენს" (ს ტ ა ლ ი ნ ი).

პარტია და საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მეტალურგიას და მხოლოდ ამის შედეგად გვაქვს ჩვენ საბჭოთა მეტალურგია, რომელიც თანამედროვე ტექნიკის საუკეთესო მიღწევებს იყენებს. დღევანდელი მეტალურგია სულ სხვაგვარად გამოიყურება.

საბჭოთა კავშირმა პეშმარიტად სარეკორდო ტემპები გვიჩვენა მეტალურგიული გიგანტების მშენებლობის საქმეში. ომის წინა დროში დნეპრის მეტალურგიული ქარხანა 15 წლის განმავლობაში შენდებოდა. მაგნიტოგორსკის და კუზნეცკის ქარხნები აშენებულ და ამუშავებულ იქნენ ორ წელზე უფრო ნაკლები დროის განმავლობაში. ამბ. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე მ ამასთან დაკავშირებით პარტიის XVII კონფერენციაზე განაცხადა: „სანამ ჩვენ შესაძლებლობა გვექნებოდა გაგვეჩაღებია ბრძოლა, საჭირო იყო მაგნიტოგორსკის ქარხანაზე დაგვეხარჯა 250 მილ. მანეთზე მეტი, საჭირო იყო უდიდესი მუშაობის ჩატარება და იგი ჩატარებულ იქნა წლინახევრის განმავლობაში. ასევე კუზნეცკის ქარხნის მიმართაც—იქ ჩატარებულ იქნა კოლოსალური მუშაობა. ჩვენ იგი ნათლად ვერც კი წარმოგვედგენია".

თუჯისა და ფოლადის გამოდნობის საქმეში ჩვენ შემდეგი ხარისხობრივი ზრდა გვაქვს:

	თუჯი	ფოლადი
1913 წ.	4200 ათ. ტონა	4231 ათ. ტონა
1927-28 წ.	3283 „ „	4176 „ „
1932 წ.	6206 „ „	5885 „ „
1933 წ.	9000 „ „	8900 „ „

თუჯის გამოდნობა მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოში 1928 წლიდან მოკიდებული 1932 წლამდე შემცირდა 85,4 მილ. ტონიდან 32,8 მილ. ტონამდე, ხოლო ფოლადის კი—107 მილ. ტონიდან—44 მილ. ტონამდე. ასეთი სასტიკი შემცირება ყველა მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყანას შეეხო (ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი და ბელგია). მარტო 1932 წლის განმავლობაში თუჯის გამოდნობა შემცირდა: ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში—54%-ით, გერმანიაში—40%-ით, ხოლო საფრანგეთში—37,4%-ით. უკანასკნელი წლების განმავლობაში თითქმის არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არაა ახალი ბრძმედები აშენებული. პირიქით, მომქმედ ბრძმედთა რიცხვიც კი საგრძნობლად შემცირდა. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1929 წელს მოქმედებაში იყო 212 ბრძმედი, ხოლო 1932 წელს—60; ინგლისში 1929 წელს—145, ხოლო 1932 წელს—69.

1928 წელს საბჭოთა კავშირს თუჯის გამოდნობის საქმეში მთელს მსოფლიოში მეექვსე ადგილი ეჭირა, ხოლო ფოლადის გამოდნობაში—მეხუთე ადგილი. 1932 წელს საბჭოთა კავშირმა როგორც თუჯის, ისე ფოლადის გამოდნობაში მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიოში, ხოლო პირველი ადგილი—ევროპაში. 1933 წელს საბჭოთა კავშირმა თუჯის გამოდნობის დარგში პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოში, გაუსწრო რა თვით ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. ევროპის სახელმწიფოებიდან (ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი) არცერთი არ იძლევა 1933 წელს 5. მილიონ ტონაზე მეტ თუჯსა და ფოლადს. საბჭოთა კავშირი კი მიმდინარე წელში ასრულებს თუჯის გამოდნობის პროგრამას 9 მილიონი ტონის რაოდენობით, ხოლო ფოლადის გამოდნობის პროგრამას—8,9 მილ. ტონის რაოდენობით.

თუ 1928 წელს საბჭოთა კავშირის ხვედრითი წონა თუჯის მსოფლიო გამოდნობაში 3,8%-სუდრიდა, ამჟამად იგი 18—19%-ს შეადგენს. ასევე მკვეთრად აიწია მისმა ხვედრითმა წონამ ფოლადის გამოდნობის ხაზითაც (3,8%-დან 12%-დე).

უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირში აშენებულ იქნა რამოდენიმე მსხვილი მეტალურგიული ქარხანა (მაგნიტოგორსკის, კუზნეცკის, ნიჟნი ტაგილის, მარიუპოლის, ნოვოტულის და სხვ.). 1933 წელს შენდება 6 მსხვილი ქარხანა, რომელთა საერთო სიმძლავრე 8-9 მილ. ტონას უდრის და, ამას გარდა, მშენებლობაშია 11 სპეციალური მეტალურგიული ქარხანა.

ძირითადი რეკონსტრუქცია განიცადეს (რის შედეგადაც საგრძნობლად გაიზარდა სიმძლავრე) უკრაინაში ძერჟინსკის და ვოროშილოვის ქარხნებმა, ხო-

ლო ურალზე—ზლატოუსოვის, ნადეჟდინსკის, ჩუსოვსკის, ვერხნოუსტინსკის... და ბელორეცკის ქარხნებმა.

შავი მეტალურგიის მშენებლობაზე ყოველწლიურად დიდი თანხები იხარჯება. 1929 წელს დაბანდებულ იქნა 235 მილ. მანეთი, 1932 წელს—1382 მილ. მანეთი, ხოლო 1933 წელს 2 მილიარდზე მეტი იხარჯება.

1928 წელს საბჭოთა კავშირში მუშაობდა 69 ბრძმედის და 202 მარტენის ღუმელი. 1933 წლის ბოლოსთვის მუშაობს 117 ბრძმედი და 305 მარტენის ღუმელი. ბრძმედთა რიცხვის იმავდროულ ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება მათი სიმძლავრე, ვინაიდან 1913 წელს ერთ ბრძმედს უწევდა საშუალო-წლიური გამოდნობა 60 ათასი ტონის რაოდენობით, 1928 წელს 82 ათ. ტონა, ხოლო 1932 წ.—145 ათ. ტონა.

1928 წელს კავშირის ყველაზე დიდ ბრძმედს ძერჟინსკის სახელობის ქარხანაზე ქონდა სასარგებლო მოცულობა დაახლოებით 700 კუბ. მეტრი. 1932 წელს ჩვენ გვაქვს 10 ასეთი ბრძმედი. ამჟამად მარტო მაგნიტოგორსკის ბრძმედს აქვს 1180 კუბ. მეტრი. მაგნიტკის პირველი ორი ბრძმედი დღე-ღამის განმავლობაში უშვებს 2500 ტონა თუჯს. 1932 წელს ისინი მეტ პროდუქციას იძლევიან, ვიდრე ურალის ყველა ბრძმედი ერთად აღებული (47). ევროპაში ყველაზე დიდი ბრძმედის მოცულობა არ აღემატება 914 კუბ. მეტრს. მაგნიტკის სრული წლიური სიმძლავრე 2,8 მილიონ თუჯს შეადგენს, ხოლო კუზნეცკის მეტალურგიული ქარხნის—1,2 მილ. ტონას. ისინი შავი მეტალურგიის მსოფლიო გიგანტებია.

ჩვეულებრივი ლითონის გამოშვების უდიდეს ზრდასთან ერთად საგრძნობ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა კავშირმა ისეთი ხარისხობრივი ფოლადის წარმოების ორგანიზაციის საქმეში, რომელიც აუცილებელია მანქანათმშენებლობისათვის, სააეტოტრაქტორო, საავიაციო მრეწველობისა და სხვა დარგებისათვის. თუ 1928 წელს ხარისხობრივი ნატკეცი 69 ათ. ტონას შეადგენდა, 1933 წელს ჩვენ გვაქვს 885 ათასი ტონა. ათვისებულია სპეციალური ლეგნირებული ფოლადის) უუმაღლესი, დაუჟანგებელი, სწრაფმჭრელი, ცეცხლმძლე და სხვ.) წარმოება. განსაკუთრებით დიდი განვითარება მიიღო ელექტრომეტალურგიამ. 1932 წელს ელექტროფოლადი მთელი გამოდნობილი ფოლადის მიმართ საბჭოთა კავშირში აღწევს 2%-ს, მაშინ როდესაც ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს შეფარდება უდრის 1,5 პროცენტს, ხოლო გერმანიაში—1,2%-ს. შექმნილია ელექტრო-თერმიული ფერო-შემდნობი მრეწველობა და ჩვენ უკვე გვაქვს კავშირის ახალ ფერო-შემდნობ ქარხნებში (ჩელიაბინის, დნეპრის და ზესტაფონის) საბჭოთა ფერო-შენადნობი (ფერომარგანეცი, ფეროსილიციუმი, ფეროქრომი, ფეროვანადი და სხვ. ფეროშენადნობები).

საქართველოში რიონჰესის ენერგიისა და ჭიათურის მარგანეცის სამადნეების საფუძველზე აშენებულ და ექსპლოატაციაში გაშვებულ იქნა ყველაზე მსხვილი ქარხანა ფერომარგანეცის საწარმოებლად. მისი საბოლოო წლიური სიმძლავრე 200 ათ. ტონას შეადგენს. ზესტაფონის ქარხანა ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ საწარმოთაგანია მსოფლიო ელექტრო-თერმიულ ფერო-შემდნობ მრეწველობაში. იგი წარმოადგენს ბაზას ამ რაიონში მსხვილი ელექტრო-მეტალურ-

გიული მრეწველობის განვითარებისათვის. ისეთი მნიშვნელოვანი საწარმოს აშენება, როგორიც ზესტაფონის ფერო-შემდნობი ქარხანაა, საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ლენინური ნაციონალური პოლიტიკის შედეგად ნაციონალურ რესპუბლიკებში მსხვილი ინდუსტრია ვითარდება.

საბჭოთა მრეწველობის მნიშვნელოვან მონაპოვართა რიცხვს ეკუთვნის მსხვილი ალიუმინის წარმოების შექმნა.

ალიუმინს, როგორც მსუბუქ ლითონს, დიდი მომავალი აქვს. იგი განსაკუთრებული თვისებების მქონეა, რაც მას მნიშვნელოვან უპირატესობას აძლევს მძიმე ლითონებთან (რკინა, სპილენძი) შედარებით. მსუბუქი ლითონების—ალიუმინის, მაგნიუმის და სხვათა—როლი კოლოსალურად იზრდება. ისინი ქმნიან ახალ ტექნიკურ ეპოქას, რომელიც მძიმე ლითონების (რკინის) ეპოქის შემცვლელია. ალიუმინს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციისა და მისი თავდაცვაუნარიანობის განმტკიცებისათვის. საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციის, აეროფიკაციის და ავტომობილიზაციის არაჩვეულებრივი გაშლა ალიუმინის ლითონის მოხმარების უდიდეს ზრდას იწვევს. სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგი საჭიროებს ალიუმინს.

1932 წლამდე საბჭოთა კავშირში სრულიად არ არსებობდა ლითონური ალუმინის წარმოება. საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ალუმინზე იმპორტის საშუალებით იფარებოდა. 1932 წელს ამოქმედებულ იქნა ვოლხოვის ალიუმინის ქარხანა (ვოლხოვის ჰიდროსადგურზე) 12 ათასი ტონა სიმძლავრით და ქარხანა დნეპრზე, 20 ათასი ტონა სიმძლავრით. უკვე 1933 წელს საბჭოთა კავშირი ალიუმინის წარმოების დარგში მეორე ადგილს იკავებს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს შემდეგ.

სამეცნიერო-კვლევითმა მუშაობამ, რომელიც გასაბჭოების შემდეგ გაიშალა, გამოამჟღავნა ამიერკავკასიაში ნედლეული ბაზა ლითონური ალიუმინის წარმოებისათვის. კერძოთ აზერბეიჯანში, განჯის მახლობლად აღმოჩენილ იქნა ალუნიტების საბადოები; ეს ალუნიტები სრულიად რენტაბელურ ნედლეულს წარმოადგენენ ალიუმინისათვის. ტყიბულის ფიქალთა ნაცრების მიმართ ცდებმა გვიჩვენეს, რომ ეს ნაცარი შეიცავს ალუმინის ჟანგს 40%-ის რაოდენობით. ფიქალის უდიდესი მარაგი (92 მილ. ტონა) შესაძლებლობას გვაძლევს განვავითაროთ ამ ბაზაზე ალიუმინის მსხვილი მრეწველობა. ყველა ამ გამოკვლევის ჩატარება შესაძლებელი იყო მხოლოდ საბჭოთა პირობებში, როდესაც განაპირა ქვეყნები ფართოდ ინდუსტრიალიზირდებიან.

ფერადი მეტალურგიის დარგში ჩვენ სპილენძის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს მთელ საბჭოთა კავშირში.

გამოდნობილია სპილენძი:

1913 წელს		32.244 ტონა
1929	„	37.034 „
1931	„	48.446 „
1932	„	65.000 „

ეს ზრდა შედეგია როგორც სპილენძის გამომდნობი ძველი ქარხნების რეკონსტრუქციისა და გაფართოებისა, ისე ახალი მსხვილი ქარხნების ამუშავები-

სა. 1932 წელს ამუშავებულ იქნა კრასნო-ურალის კომბინატი. შენდება ყველაზე მსხვილი პრიბალახშის სპილენძის კომბინატი კაზაკსტანში. ამავე დროს ადგილი აქვს სპილენძის გამოდნობის შემცირებას კაპიტალისტურ ქვეყნებში. მთელმა მსოფლიომ, საბჭოთა კავშირის გარეშე, 1929 წელს გამოადნო 1912 ათასი ტონა, ხოლო 1931 წელს—1255 ათასი ტონა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კიდევ უფრო შემცირდა სპილენძის გამოდნობა.

თუთიის გამოდნობა ომის წინადროინდელ რუსეთში—1913 წელს—შეადგენდა 2950 ტონას. ამჟამად თუთიის ძველად არსებული ერთი ქარხნის ნაცვლად ოთხი ქარხანა მუშაობს; მათი წლიური სიმძლავრე 28 ათას ტონა თუთიას უდრის (ეს ქარხნებია: ბელოვსკის, კონსტანოვსკის, ალაგირის, ორჯონიკიძის ქალაქში და ჩელიაბინის). ამავე დროს თუთიის წარმოება კაპიტალისტურ ქვეყნებში შემცირდა 1473 ათ. ტონიდან (1929 წელს) 1025 ათას ტონამდე (1931 წელს).

უკლასო საზოგადოების აშენების ამოცანის განხორციელება შესაძლებელია „მთელი სახალხო მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის გაშლილი ტექნიკური რეკონსტრუქციის საფუძველზე. სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს იმ უახლესი ენერგეტიული ბაზის შექმნა, რომელიც ემყარება მრეწველობისა და ტრანსპორტის უფართოეს ელექტროფიკაციას და ელექტროენერგიის თანდათანობით დანერგვას სოფლის მეურნეობაში, წყლის ენერგიისა, ქვანახშირის ბუდობების უდიდესი რესურსების გამოყენებით“... (XVII პარტკონფერენცია).

ელექტროფიკაციის წამყვანი მნიშვნელობა უდაოა, განსაკუთრებით ახლა, როცა საბჭოთა კავშირში ვითარდება წარმოების სრულიად ახალი დარგები, რომელთა ტექნოლოგიური პროცესებიც მთლიანად ელექტროფიცირებული არიან. მაგალითად, ალიუმინის წარმოება ელექტროენერგიის დიდძალ რაოდენობას ხმარობს. ლითონის ალიუმინის ერთ ტონაზე საჭიროა ენერგიის 25—30 ათ. კლტ. საათამდე. ლითონის მაგნიუმი ასევე ელექტროენერგიის დიდ რაოდენობას მოითხოვს. ხარისხობრივი ფოლადების საწარმოებლად ფართოდ ვითარდება ელექტრო-მეტალურგია (ფერომარგანეცი, ფეროქრომი, ფერომოლიბდენი, ფეროსილიციუმი, ფეროვორფრომი). ელექტროენერგიის დიდი მომხმარებლებია აგრეთვე ისეთი ახალი წარმოებანი, როგორიცაა სინთეთური კაუჩუკი და სხვა ამის მსგავსი. ელექტროფიკაცია, უშვებს რა შრომის პროცესებს მექანიზაციას, სწყვეტს შრომის ნაყოფიერების მაქსიმალური ზრდის ამოცანას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუშა-ძალის დეფიციტის არსებობის პირობებში.

ელექტროფიკაციის პირველი გეგმა—გოელრო—შედგენილ იქნა ლ ე ნ ი ნ ი ს უშუალო ხელმძღვანელობით. ლ ე ნ ი ნ ი ამ გეგმას პარტიის მეორე პროგრამას უწოდებდა. ელექტროფიკაციის ლენინური გეგმის განხორციელების შედეგად ჩვენ გვაქვს ელექტრო-ენერგიის გამომუშავების მნიშვნელოვანი ზრდა:

1913	წელს	1945 მილ.	კილოვატ საათი.
1924	„	1100	„
1928	„	5003	„
1930	„	8231	„
1932	„	13100	„
1933	„	16300	„

საბჭოთა კავშირში ელექტროენერგიის გამომუშავების ასეთი უდიდესი ზრდის დროს კაპიტალისტურ ქვეყნებში საწინააღმდეგო მოვლენას აქვს ადგილი, ე. ი. ენერგიის გამომუშავების სასტიკ შემცირებას. ასე, მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 113000 მილ. კლტ. საათიდან (1928 წელს) გამომუშავება შეამცირა 76000 მილ. კლტ. საათამდე (1932 წელს); გერმანიამ —27870 მილ. კლტ. საათიდან—23209 მილ. საათამდე, ხოლო კანადამ 17331 მილ. კლტ. საათიდან—16000 მილ. კლტ. საათამდე.

„ელექტრონის ენერგიის წარმოების მხრივ ჩვენ უკანასკნელი ადგილი გვეჭირა. ახლა ჩვენ ერთერთ პირველ ადგილზე წამოვიწიეთ".

ყველა ელსადგურების საერთო სიმძლავრე 1913 წელს—ომის წინადროინდელ რუსეთში—შეადგენდა 1098 ათ. კლტ. საათს; 1933 წელს ეს სიმძლავრე აღემატება 5700 ათ. კლტ. ს.

განსაკუთრებით დიდათ იზრდება ძლიერი ელექტრო-სადგურების მშენებლობა. „1929 წლამდე ჩვენ არ გვქონდა არცერთი სადგური 100ათ. კლტ. ს. სიმძლავრით. ყველაზე დიდი სადგური იყო 75 ათ. კლტ.-ით. 1913 წელს არცერთი სადგური არ იყო 25 ათ. კლტ. საათზე მეტი სიმძლავრის მქონე. ამჟამად ჩვენში მუშაობს 10 სადგური 100 ათ. კლტ. საათზე მეტი სიმძლავრით". (კუიბიშევი საკ. კ. პ. (ბ) იანვრის პლენუმზე).

აშენებული და ამუშავებულია მსოფლიოში ყველაზე უდიდესი დნეპრის ჰიდროელსადგური 558 ათ. კლტ-ის სიმძლავრით. დნეპროჰესი უდიდესი ნაბიჯია, წინგადადგმული, საბჭოთა კავშირის ელექტრიფიკაციის ლენინური გეგმის განხორციელების საქმეში. ამ სადგურის მშენებლობას თვით მტრებიც კი მოყავს განცვიფრებაში. ეს საუკეთესოდ ამტკიცებს საწარმოო ძალთა განვითარების უმაგალითო ტემპებს პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. დნეპროჰესი არა მარტო ელექტროსადგურია, რომელიც 16 მილ. მუშა-ძალის თანასწორ ენერგიას იძლევა, არამედ ეს წყლის არტერიის გასაღებია, რომელმაც დნეპრი ერთიან სანაოსნო მდინარედ აქცია. დნეპროჰესის დამთავრების შემდეგ საკ. კ. პ. (ბ). ცენტრ. კომიტეტისა და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით დაწყებულ იქნა უდიდესი ჰიდროსადგურების მშენებლობა ვოლგაზე.

ჰიდროსადგურის წყლის ენერგიაზე მშენებლობა თანდათან დიდ გაქანებას პოულობს საბჭოთა კავშირში. 1928 წლისათვის ყველა ჰიდროსადგურთა სიმძლავრე 112 ათ. კლტ ს შეადგენდა, ხოლო ამჟამად იგი 800 ათ. კლტ ს აღემატება. საბჭოთა გეგმიანი მეურნეობისათვის შესაძლებელი ხდება უფრო ეფექტიურად გადასჭრას საკითხი წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების შესახებ. ჰიდრომშენებლობა სწყვეტს საკითხს არა მარტო ელექტრო-ენერ-

გიის მიღების შესახებ, არამედ იგი სწყვეტს ნაოსნობის, მდინარეთა რეგულირების, მორწყვათა და სხვა ასეთების საკითხებსაც.

ამიერკავკასიაშიც, ისე როგორც საბჭოთა კავშირში, ელექტრომშენებლობამ ფართო გასაქანი ჰპოვა. სომხეთში აგებულია ძორაჰესი, შენდება კანაკირის ჰიდროსადგური. სწყდება ისეთი პრობლემა, როგორიცაა მაღალმთოვანი ტბის —სევანის გამოყენება, რაზედაც რევოლუციამდე თავს იმტვრევდენ, მაგრამ არაფერი არ ყოფილა გაკეთებული. აზერბეიჯანში—ბაქოში—აგებულია რამდენიმე ძლიერი ელსადგური. შენდება ტერტერის ჰიდროსადგური.

თუ რამდენად დიდი გაქანება მიიღო საბჭოთა საქართველოში ელექტრომშენებლობამ, ეს ნათლად სჩანს შემდეგი შედარებიდან: 1913 წელს მთელ მეფურ რუსეთში რაიონული გამოყენების ელსადგურთა სიმძლავრე შეადგენდა 17 ათ. კლტ-ს, ხოლო საქართველოში ამჟამად არსებულ და ექსპლოატაციაში შემავალ რაიონულ სადგურთა სიმძლავრე 90 ათ. კლტ-ს უდრის. ჰიდროსადგურების სიმძლავრის მხრივ საქართველო კავშირის ისეთ რაიონებს უსწრებს, როგორიცაა შუა ვოლგის მხარე, ყაზაკსტანი, შორეულ აღმოსავლეთის მხარე, შუა აზია, დასავლეთის ოლქი და სხვ.

გასაბჭოების შემდეგ საქართველოში აშენდა ზაჰესი, რიონჰესი, აბჰესი და სხვ. შენდება აჭარის ჰიდროსადგური აჭარის წყალზე, ალაზანჰესი კახეთში, სოხუმჰესი, ტყვარჩელის თბოსადგური აფხაზეთში. მომავალ წელში იწყება მსხვილი ჰიდროსადგურის მშენებლობა მდ. ხრამზე.

ამ ელექტრო-სადგურთა ბაზაზე ჩვენში ჩნდება ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიცაა ზესტაფონის ფეროშარგანეცის ქარხანა. სწარმოებს ამიერკავკასიის რკინისგზების მაგისტრალური ხაზის ელექტროფიკაცია.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა ნავთის მრეწველობის მიმართ დიდ მოთხოვნილებებს აყენებს. ნავთი ინდუსტრიალიზაციის მთავარი ფაქტორია. დიდი მასშტაბით მრეწველობის ისეთი დარგების შექმნა, როგორიცაა ავტო-სატრაქტორო და საავიაციო დარგები, მნიშვნელოვნად ადიდებს მოთხოვნილებას თხევად საბომბ მასალაზე (ბენზინი, ნავთი, კვალიფიციური საცხები ზეთი და სხვ.). ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ნავთის მრეწველობა დიდ ზრდას იძლევა როგორც ნავთის ამოღების, ისე მისი გადამუშავების მხრივ.

საბჭოთა კავშირში ნავთის ამოღება გაზებითურთ შემდეგ ციფრებს იძლევა:

1913 წ.	9,2	მილ. ტონა
1920 წ.	3,0	„
1924 წ.	6,7	„
1928 წ.	11,7	„
1932 წ.	22,0	„
1933 წ.	24,0	„

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ნავთის ამოღება 123,5 მილ. ტონიდან (1928 წელს) შემცირდა 107,2 მილ. ტონამდე (1932 წელს); მექსიკაში იგი შემცირდა 7,5 მილ. ტონიდან 3,2 მილ. ტონამდე. ნავთის ამოღებაში საბჭოთა კავშირს მეორე ადგილი უჭირავს მსოფლიოში. მსოფლიო მარაგიდან

საბჭოთა კავშირს თავის წიაღში 38%-ი აქვს—დაახლოებით 3 მილიარდ ტონამდე. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების, მექსიკის და რუმინეთის ნავთის მარაგი თანდათან იწურება. ჩვენში კი თანდათან გამომჟღავნებულია და მჟღავნდება თანდათან ნავთიანი რაიონები.

საბჭოთა ხელისუფლების ხელში გადასვლის მომენტში ნავთის მრეწველობა წარმოადგენდა უაღრესად დანგრევისა და გაპარტახების სურათს. 21 წლიდან დაწყებული ნავთის ძირითად რაიონში (ბაქოში) ნავთის ამოღება სწრაფად იზრდება. ძველი სამრეწველოებიდან ნიშანიც კი აღარ დარჩა. ჩატარებულ იქნა ნავთის ამოღების, ბურღვის და დამუშავების მთლიანად ახალი შეიარაღება და ტექნიკური რეკონსტრუქცია. შემოღებულია ბრუნვითი ბურღვის გაუმჯობესებული მეთოდები. ნავთის მრეწველობაში მიღწეული ბრწყინვალე ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები ტექნიკური დონის მხრივ საბჭოთა ნავთის მრეწველობას პირველ ადგილზე აყენებენ მსოფლიოში. ნავთის დამუშავების დარგში აშენებულია: 30 მილებრივ დაიადგარზე მეტი, რომელთა სიმძლავრე 12—13 მილ. ტონა ნავთისა და 23 კრერინგი 3,2 მილ. ტ. სიმძლავრით. ნაციონალიზაციის მომენტში ნავთგადამმუშავებელი ქარხნების სიმძლავრე შეადგენდა 5 მილ. ტონამდე, 1932 წელს ჩვენ გვაქვს ქარხანა, რომლის სიმძლავრეც 12 მილ. ტონას უდრის. დაწმენდილი პროდუქტების (ბენზინი და სხვ.) გამოსვლამ აიწია 2,7 პროცენტიდან 1913 წელს 13,4 პროცენტამდე 1931 წელს, რაც დიდ ხარისხობრივ ძვრებზე ლაპარაკობს.

დაიწყო ნავთის ახალი რაიონების (სახალინი, ტურკმენია, ემბა და სხვ.) ექსპლოატაცია. საბჭოთა კავშირის ნავთის ახალი რაიონების რიცხვს ეკუთვნის საქართველოს ნავთის საბადოები (შირაქი, მირზაანი). ხანგრძლივი წლების განმავლობაში საქართველოს ნავთის საბადოები ხელუხლებელი რჩებოდენ. მეფური რუსეთი მათ გამოკვლევას და დამუშავებას ზღუდეს უდებდა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ფართო მასშტაბით გამოკვლევების ჩატარება. 3-4 წლის გამოკვლევებმა ნავთის დიდი მარაგი გამოამჟღავნეს. გეოლოგები ამ მარაგს 400 მილიონი ტონის რაოდენობით ანგარიშობენ. დაწყებულია მირზაანის და შირაქის ნავთის სარეწაოთა ექსპლოატაცია. სწარმოებს ნავთის ძიება ღრმა ბურღვის საშუალებით ნავთლუღსა და გურიაში. ნავთის მრეწველობის მოსაწყობად რამდენიმე წლის განმავლობაში დაბანდებულ იქნა 30 მილიონ მანეთზე მეტი.

ძლიერ განვითარებას აქვს აგრეთვე ადგილი საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობაში. ამოღების ზრდა იძლევა აღმავალ მრუდეს.

1913 წ.	23,9	მილ. ტონა
1920 წ.	7,7	„
1928 წ.	35,8	„
1932 წ.	64	„
1933 წ.	84	„

ეს წარმატებანი ქვანახშირის მრეწველობაში მიღწეულ იქნა არსებული მაღაროების ძირითადი ტექნიკური რეკონსტრუქციით და რამდენიმე ათეული

ახალი მძლავრი მაღაროს ექსპლოატაციაში შეყვანით. მიმდინარე წელს ამოღებულ 84 მილიონი ტონიდან ახალ მაღაროებზე, რომელთა ექსპლოატაციაც საბჭოთა პერიოდში დაიწყო, მოდის 50 მილიონ ტონაზე მეტი ქვანახშირი. მარტო მიმდინარე 1933 წლის განმავლობაში ექსპლოატაციაში შედის 70 მაღარო.

შექმნილია ქვანახშირის მრეწველობის ცენტრები (კუზბასი, ყარაგანდა). მნიშვნელოვნად აიწია ნახშირის მარაგმა. თუ ომამდე ქვანახშირის მარაგი ნაანგარიშევი იყო 221 მილიარდი ტონის რაოდენობით, ამჟამად მარაგის ციფრი 1073 მილიარდ ტონაში გამოიხატება.

საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა ტყიბულის ქვანახშირის ამოღება. 1913 წელს ტყიბულში ამოღებულ იქნა 71 ათასი ტონა, ხოლო მიმდინარე 1933 წელში—180 ათასი ტონა.

ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების შესახებ საკირხის გადაჭრა მხოლოდ საბჭოთა პირობებში შეიძლებოდა. ტყვარჩელში ქვანახშირის ამოღების მოსაწყობად რამდენიმე ათეული მილიონი მანეთია დაბანდებული.

ამ წლის ბოლოს იწყებს ტყვარჩელი ექსპლოატაციაში შესვლას.

ძიებით აღმოჩენილ იქნა ახალი ამიერკავკასიისათვის მსხვილი მურა-ნახშირის ახალციხის ბუდობი, რომლის გეოლოგიური მარაგიც გამოანგარიშებულია 180 მილიონ ტონის რაოდენობით. საბჭოთა კავშირის ტორფის მრეწველობაც ასევე გადაიქცა სათბობი მრეწველობის ერთერთ მსხვილ დარგად. 1913 წელს რუსეთში ტორფის ამოღების რაოდენობა შეადგენდა 1,7 მილ. ტონას, ხოლო 1933 წელს კავშირში სწარმოებს 17,7 მილ. ტონის ამოღება. ეს წარმატებანი მთლიანად გამომდინარეობს იქიდან, რომ ტორფის ამოღების ტექნიკა აყვანილია მაღალ დონეზე (ამოღება მექანიზირებულია 70%-ით).

ქიმიური მრეწველობის განვითარება და ქვეყნის ქიმიზაციის ფორსირება წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ერთერთ უმნიშვნელოვანეს სამეურნეო პოლიტიკურ ამოცანას. ქიმია უდიდეს, გადამწყვეტ როლს თამაშობს სახალხო მეურნეობის უმრავლესი დარგების განვითარების საქმეში, განსაკუთრებით კი იგი დიდ როლს თამაშობს სოფლის მეურნეობისათვის მოსავლიანობის აწევის დარგში.

რევოლუციამდე ქიმიური მრეწველობა ფაქტიურად არ იყო. რევოლუციის წლებში შექმნილია მსხვილი ქიმიური მრეწველობა თითქმის ცარიელ ადგილზე. აშენებულია მსოფლიო ქიმიური მრეწველობის გიგანტები: ბერეზნინის კომბინატი, ბობრიკოვის კომბინატი, ჩერნორეჩინსკის კომბინატი, სოლიკამსკის კალაქვის სამადნე, ნევის კომბინატი, ვოსკრესენსკის კომბინატი, ხიბინსკის აპატიტის სამადნე; სინთეთური კაუჩუკის ქარხანა იაროსლავში და ვორონეჟში, იაროსლავის რეზინის კომბინატი, კოქსო-ქიმიური კომბინატები მაგნიტოგორსკის, მაკეევსკის, კუზნეცკის და გორლოვსკის.

ჩვენ გვაქვს უდიდესი ზრდა მრეწველობის არა მარტო ისეთი დარგებისა, რომლებიც უკვე ცნობილია კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორც, მაგალითად, აზოტის, გოგირდმჟავას, სუპერფოსფატის, ანილინის საღებავის, ლაქ-საღებავის, ფარმაცევტული მრეწველობა, მრეწველობა ხელოვნური ბოჭკოსი და პლასტ-

მასისა, არამედ ისეთი დარგებისაც, როგორიცაა სინთეთური კაუჩუკი, რომელიც არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არაა. აშენებულია რამდენიმე ქარხანა სინთეთური კაუჩუკის გამოსამუშავებლად და შენდება მსხვილი სინთეთური ქარხანა ერევანში სევანის ჰიდროსადგურების ბაზაზე.

ამრიგად, საბჭოთა სისტემამ შექმნა პირობები საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალთა უდიდესი განვითარებისათვის. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და მის ხელმძღვანელს ამხ. ს ტ ა ლ ი ნ ს მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტებთან განუხრელი ბრძოლით ქვეყანა ახალ გამარჯვებებისაკენ მიყავთ. ის, რაც შექმნილია, წარმოადგენს უფართოეს ბაზას უფრო დიდი განვითარებისათვის.

ზ. სტურუა

შესრულების შემოწმება—სოციალისტური მშენებლობის მძლავრი ბერკეტია

„უპასუხისმგებლობა, ჩინოვნიკური თვითკმაყოფილება, პარტიისა და მთავრობის დირექტივების ზუსტი და გარკვეული შესრულების უქონლობა ბიუროკრატიზმის ყველაზე საშიშ და ბოროტ სახეს წარმოადგენენ. დაუზოგავი ბრძოლა ამ მოუთმენელ ბოროტებასთან, შესრულების შემოწმების აუცილებელი დაყვანა ბოლომდე, უნდა გახდეს გენერალურ მიზანდასახულობათ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში“.

(საკ. კ.პ. (ბ) მე-XVI ყრილობის რეზოლუციიდან).

არ არსებობს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის არც ერთი უჯრედი, სადაც ჩვენ შეგვეძლოს, შესრულების შემოწმების გარეშე მუშაობა. ამიტომ სრულიად გასაგებია და შემთხვევითი არაა, როდესაც ლენინი და მასთან ერთად ამხ. სტალინი ასე კატეგორიულად, დაჟინებით და უსიტყვოდ მოითხოვდენ და მოითხოვენ ყველა ორგანიზაციიდან და ყველა მუშაკებიდან შესრულების შემოწმებას.

ყველასათვის ცნობილია, რომ პარტიისა და მთავრობის ყველა ღონისძიება მიმართულია საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისაკენ. ამისთვის პარტიას და მთავრობას მოეპოება ყოველგვარი ბერკეტები და ფორმები იმ ორგანიზაციათა, რომელთა მოქმედებაც მთლიანად და სავსებით მიმართული და დაქვემდებარებულია ერთი მიზნისადმი—წარმატებითი სოციალისტური მშენებლობისადმი. ამ მიზანდასახულობის საფუძველზე ჩვენ კვალდაკვალ გავყვეთ შესრულების შემოწმების იმ განსაკუთრებულ როლს, რომელსაც ეს შემოწმება ასრულებს, როგორც მშენებლობის მძლავრი ბერკეტი.

შესრულების შემოწმების როლი და მნიშვნელობა თვალსაჩინოდ მოსჩანს იქიდან, რაც XVII პარტკონფერენციამ ამხ. ორჯონიკიძის მოხსენებასთან დაკავშირებით გამოტანილ რეზოლუციაში აღნიშნა, სახელდობრ ის, რომ

„მრეწველობის წლიური გეგმის შეუსრულებლობის ერთ ძირითად მიზეზთაგანს 31 წელში წარმოადგენდა შესრულების არასაკმარისი შემოწმება“.

როგორია ჩვენში საქმის ვითარება შესრულების შემოწმების დარგში?

ამ კითხვაზე ამხ. პოსტიშევი შემდეგნაირად უპასუხებს:

„ძლიერ ხშირად შესრულების შემოწმების დარგში მუშაობას ისეთი სახით აწყობენ, რომ გარდა დამატებით ქაღალდების წერისა არაფერი არ გამოდის. გამოიტანენ რეზოლუციას, ხოლო შემდეგ ამ პირველი რეზოლუციის შესრულების

შემოწმების სახით გამოიტანენ მეორე რეზოლუციას; შემდეგ კი გამოყოფენ კომისიას ორივე რეზოლუციის შესრულების შესამოწმებლად და ყველაზე ხშირად ივიწყებენ იმას, რომ ეს კომისია შეკრიბონ და მას მოუსმინონ".

როგორ გვასწავლიან ამხ. ლენინი და ამხ. სტალინი შესრულების შემოწმების გაგებას?

„შესრულების ბოლშევიკური შემოწმება ნიშნავს: შეუდრეკლად და დაჟინებით ჩასჭიდე ხელი ამა თუ იმ ოპერატიულ ამოცანას, კვალდაკვალ მისდიე, თუ როგორ მიდის მისი შესრულება, მოიცილე გზიდან ყველაფერი, რაც კი მის შესრულებას ხელს უშლის, და ერთი წუთითაც ნუ შესწყვეტ ამ ოპერატიულ შემოწმებას, სანამ ამოცანა მთლიანად არ იქნება შესრულებული. ნუ დაიფანტები წვრილმანებში, არამედ საკონტროლოდ აიღე რაც მთავარია, გადამჭრელია, რაც რგოლს წარმოადგენს და შეასრულე ეს შემოწმება არა რეზოლუციის გამოტანის წესით, არამედ სწორედ ოპერატიული კონკრეტული ხელმძღვანელობის სახით, ამ ოპერატიული ამოცანის უწვრილმანეს დეტალებში უშუალო შეჭრისა და იმის შემოწმებით, არის თუ არა მისი ყველა შესაძლებლობა ამოწურული. შეამოწმე არა საანგარიშო შეჯამებათა მიხედვით, არამედ წადი ადგილზე და ადგილობრივად შეამოწმე, თუ რაა კონკრეტულად გაკეთებული და როგორია ამ მუშაობის შედეგები".

(ამხ. პროსტიშევის მოხსენებიდან კომკავშირელთა მოსკოვის აქტივზე).

მაშასადამე, შესრულების შემოწმება წარმოადგენს ბრძოლას გეგმის შესასრულებლად.

მაგრამ გეგმის შესრულება არ შეიძლება წარმოვიდგინოთ შრომის ნაყოფიერების აწევისა, პროლეტარული სახელმწიფოს შინა რესურსების მობილიზაციისა, და ნამდვილი სამეურნეო ანგარიშის დანერგვისა და სხვათა გარეშე.

რას გვეუბნება ამ მხრივ საკ. კ.პ. (ბ) ცეკას პლენუმის გადაწყვეტილება ამხ. შკირიატოვის მოხსენებასთან დაკავშირებით? აი რას გვეუბნება:

„...აუცილებელია კონცენტრაცია ვუყოთ ჩვენს მოქმედებას სახალხო მეურნეობის გეგმის ამოცანათა შესრულების სისტემატიურ შემოწმებაზე... ვაწარმოებთ რა გადამჭრელ ბრძოლას სამეურნეო ანგარიშის ნამდვილი დანერგვისათვის, შრომის ნაყოფიერების აწევისათვის, შინა რესურსების გამომჟღავნებისა და მობილიზაციისათვის, თვითღირებულების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მრეწველობაში, ტრასპორტზე და სოფლის მეურნეობაში ამხ. სტალინის 6 პირობის საფუძველზე".

მაშასადამე, შესრულების შემოწმება წარმოადგენს ბრძოლას შრომის ნაყოფიერების ასაწევად.

მაგრამ შრომის ნაყოფიერების აწევა, შინა რესურსების მობილიზაცია და სხვ. წარმოუდგენელია ფართო მშრომელი მასების დისციპლინისა და სოციალისტური აღზრდის გარეშე. ამაზე ლენინი სწერდა:

„...ჩვენ პირველად მივადექით ისტორიის ისეთ წინასწარ პუნქტს, როდესაც ახალი დისციპლინა, შრომითი დისციპლინა, ამხანაგური კავშირის დისციპლინა. საბჭოთა დისციპლინა მართლაც მუშავდება მშრომელთა მილიონების მიერ..."

(ლენინი, ტ. XV, გვ. 283).

გასაგებია, რომ მშრომელთა ეს მილიონიანი მასები კოლექტიური შრომითი პროცესისა და ამხანაგური კავშირის პირობებში გარდაიქმნებიან ახალი ცხოვრების, ახალი მშენებლობის—სოციალისტური მშენებლობის მიხედვით.

მაშასადამე, შესრულების შემოწმება წარმოადგენს ბრძოლას შრომითი დისციპლინისა და მშრომელთა მასის აღზრდისათვის.

მაგრამ არ კმარა გეგმების შესრულება, შრომის ნაყოფიერების აწევა, შრომის დისციპლინისა და სხვ. მოგვარება; ამასთან ერთად ჩვენ აუცილებლად უნდა მოვაგვაროთ აღრიცხვა და ანგარიშგება, ურომლისოთაც შეუძლებელია გეგმიანი მუშაობის წარმოება, ვინაიდან

„საქმის დაყენება და ანგარიშგება, მაგალითად, ძირითადი საგანია ყველა სხვადასხვა სახის უწყებებსა და დაწესებულებებში“ (ლენინი. ტ. XXVII).

ამიტომაც ამბ. ლენინი შემდეგს მოითხოვდა:

„განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ (და უაღრესად ზუსტი წესებით მოვაგვაროთ) და ასევე უფრო ფართოდ ვაწარმოოთ მუშათა და გლეხთა ინსპექციის კონტროლი პროდუქტთა, საქონელთა, საწყობთა, იარაღთა, მასალათა, სათბობის და სხვათა (სასადილოების და სხვ. განსაკუთრებით) აღრიცხვის მიმართ“.

(ლენინის წერილი ამბ. სტალინისადმი მუშათა და გლეხთა ინსპექციის დებულების დამუშავების თაობაზე).

მაშასადამე, შესრულების შემოწმება წარმოადგენს ბრძოლას სოციალისტური ქონების აღრიცხვისათვის.

ხოლო რას ნიშნავს გარდა ამისა აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორი დაყენება?

იგი ნიშნავს ბრძოლას უპასუხისმგებლობასთან, ქურდობასთან, სოციალური ქონების დატაცებასა და განიავებასთან და სხვ. და სხვ.

შესრულების შემოწმება მოითხოვს საქმის ბოლომდე მიყვანას, სხვაფრივ იგი თავის წინააღმდეგობად გადაიქცევა, ბიუროკრატიზმისა და ქაღალდის მომაბეზრებელ მჯღაბნელობაში ჰპოვებს გამოხატულებას.

უნდა ვაღიაროთ ის მწარე სინამდვილე, რომ ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურებისა და მასის გახრწნის ერთ ყველაზე ცუდ სახეს ჩვენთვის ის წარმოადგენს, რომ ვატარებთ გამოკვლევებს, შემდეგ ვმსჯელობთ მათ შედეგებზე, ვღებულობთ გადაწყვეტილებებს, ხოლო შემდეგ .. შემდეგ კი ვეღარ ვადევნებთ თვალყურს, როგორც ეს საჭიროა, მათ შესრულებას. ცხადია, ასეთი მუშაობა გრომადაც არ ღირს, და რომ ეს ასეა, შემდეგიდან სჩანს:

„საქმის გაჭიანურებაში შემიძლია თქვენც გაგამტყუნოთ: „სამი წელია ვიძახით“, „როგორც სჩანდა, თითქმის ათჯერ მიეყვანე საქმე ბოლომდე“-ო, სწერთ თქვენ. მაგრამ საქმეც სწორედ იმაშია, რომ თქვენ ვერ მიეყვანეთ საქმე ბოლომდე „როგორც სჩანდა“-ს გარეშე.

(ლენინის წერილიდან ამბ. საჟოვისადმი „საწყობის საქმეზე“).

მაშასადამე, შესრულების ნამდვილი შემოწმება წარმოადგენს ბრძოლას საქმის ბოლომდე მიყვანისათვის.

ყველასათვის ნათელია, რომ საქმის ბოლომდე მიყვანა მოითხოვს არა მარტო თავგანწირულ, დაძაბულ, ყოველდღიურ მედგარ მუშაობას თითოეულისა და ყველას მიერ, არამედ ამისთვის აუცილებელია, რომ საბჭოთა აპარატი, როგორც სისტემა, როგორც იარაღი კლასობრივი ბრძოლისა,— მუშაობდეს გარკვეულად და წესიერად.

როგორც ვიცით, ამხ. ლენინი ამბობდა, რომ

„უაპარატოთ ჩვენ დიდი ხანია დავიღუპებოდით, ხოლო აპარატის გაუმჯობესებისათვის სისტემატიური შეუდრეკელი ბრძოლის გარეშე ჩვენ უეჭველად დავიღუპებით".

ამხ. სტალინი, იხილავს რა ლენინის ამ ადგილს, ამბობს:

„ეს ნიშნავს, რომ გადამჭრელი და სისტემატიური ბრძოლა სიზანტესთან, ბიუროკრატიზმთან, საქმის გაჭიანურებასთან ჩვენს აპარატებში მუშათა კლასის პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთა ერთ არსებით ამოცანათაგანს წარმოადგენს".

(წერილი მუშგლეხინის საჩივართა ბიუროს ამოცანების შესახებ. „პრავდა", 1932 წლის 6 აპრილის თარიღით).

რას ნიშნავს ბრძოლა საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებისათვის?

ეს უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ

„კომუნისტები თვითონ ფლობდენ იმ აპარატებს, სადაც ისინი არიან დაყენებულნი, და არა ისე, როგორც ეს ჩვენში ხშირად ხდება, როცა ეს აპარატი ფლობს მათ".

(ლენინი, ტ. XXVII).

ამხ. ლენინის ამ სიტყვის შემდეგ, 1922 წლიდან მოყოლებული დღემდე ჩვენი საბჭოთა აპარატი გიგანტურად გაიზარდა, გამაგრდა და მიუვალ სიმაგრეს წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი გვაქვს ჩვენი აპარატის მუშაობაში, რაც აუცილებლად აღმოფხვრილი უნდა იქნას სისტემატიური ყოველდღიური ბრძოლით ჩვენი აპარატის გასაუმჯობესებლად.

მაშასადამე, შესრულების შემოწმება ნიშნავს ბრძოლას საბჭოთა აპარატისათვის, ურომლისოდაც პროლეტარულ სახელმწიფოს არ შეუძლია იოლად წავიდეს.

ეს ბრძოლა ჩვენს ორგანოებში მუშაობის გაუმჯობესებისათვის ამ ორგანოებში მუშების, გლეხების და მშრომელი მასების ჩაბმის გზით იმავე დროს უმნიშვნელოვანესი საშუალებაა იმისათვის, რომ ყველა მშრომელმა მონაწილეობა მიიღოს ჩვენი დიადი სახელმწიფოს მმართველობაში.

აქედან სრულიად ნათელია, რომ ჩვენი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესება წარმოუდგენელია შესრულების ნამდვილი შემოწმების გარეშე, შემოწმებისა საქმით და არა სიტყვებით, ამიტომაც—შესრულების შემოწმება ნიშნავს ბრძოლას ფართო მშრომელი მასების მო-

ზიდვისათვის პროლეტარული სახელმწიფოს მმართველობის საქმეში.

ამ ბრძოლის პრაქტიკულად განხორციელებით ჩვენ ვასრულებთ ერთ იმ უმნიშვნელოვანეს ამოცანათაგანს, დასახულს ლენინის მიერ, რომელიც ამბობდა, რომ

„მუშაობის შესწავლა,—ეს ამჟამად საბჭოთა რესპუბლიკის მთავარი, ნამდვილი სახალხო ამოცანაა".

(ლენინი, დაუსრულებელი რეცენზიიდან ერმანსკის წიგნის—„შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და ტეილორის სისტემა"—მიმართ).

მასების აღზრდა, მათი ჩაბმა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში, მუშაობის სწავლება და სხვ. ჩვენს პირობებში ნიშნავს იმაზე, რომ გავშალოთ მთელი გაჭანებით საქმიანი თვითკრიტიკა, რომელიც ჩვენ ისე გვჭირდება, როგორც ადამიანს ჰაერი, რათა ამ თვითკრიტიკის გზით გამოვამჟღავნოთ ჩვენი ნაკლი მუშაობაში და აღმოვფხვრათ იგი. აქ თვითკრიტიკა და შესრულების შემოწმება თითქმის თანაემთხვევიან ერთმანეთს, რამდენადაც ნაკლის გამომჟღავნება შესაძლებელია ჩვენი მშენებლობის საერთო სისტემაში ყოველი ცალკე მუშაობის შესრულების შემოწმების მეოხებით.

მაშასადამე, შესრულების შემოწმება უმნიშვნელოვანესი წინამძღვარია საქმიანი ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლისათვის.

ამხ. სტალინი, ეხება რა საკითხს ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ, ამბობს:

„ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში პარტიის ბრძოლა ოთხი ხაზით მიმდინარეობს: თვითკრიტიკის გაშლის ხაზით, შესრულების შემოწმების საქმის ორგანიზაციის ხაზით, აპარატის წმენდის ხაზით, ბოლოს, მუშათა კლასიდან თავდადებული მუშაკების ქვევიდან აპარატში დაწინაურების ხაზით".

(მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე).

ჩვენი სინამდვილის მთავარ ბოროტებასთან—ბიუროკრატიზმთან—ბრძოლის საქმეში ამხ. სტალინი მთავარ ადგილს უთმობს შესრულების შემოწმებას, ამიტომ ეს უკანასკნელი არის ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და მასების მობილიზაცია ამ ბრძოლის ირგვლივ.

მაგრამ ჩვენ შესრულების ყოველი შემოწმება როდი გვჭირდება, არამედ ისეთი შემოწმება, რომელიც ჩვენ დავალებათა თავის დროზე შესრულების გარანტიას გვაძლევს, რომელიც ჩვენ მოგვეხმარება თავის დროზე მოვსპოთ დაბრკოლებანი დასახული ამოცანის შესრულების გზაზე, ერთი სიტყვით, ჩვენ გვჭირდება შესრულების თავის დროზე შემოწმება, როგორც ამის შესახებ ამხ. ლენინი ამბობდა:

„შემოწმების უმთავრესი მიზანია—არა შემოწმება თავისთავად, არამედ ის, რომ გამოვასწოროთ საქმე თავის დროზე.

მუშგულეხინის ამოცანას მარტო ან იმდენად ის კი არ შეადგენს, რომ იგი „იშერდეს", „ამხელდეს" (ეს ამოცანაა სასამართლოსი, რომელსაც მუშგულეხინი უა-

ხლოვდება, მაგრამ რომლის იდენტიურიც ის არაა), რამდენადაც ის, რომ იგი ასწორებდეს; მოხერხებული გამოსწორება თავის დროზე—აი მუშაკლეხინის მთავარი ამოცანა" (ლენინი, ტ. XXVII).

აქედან ნათელია, რომ შესრულების შემოწმება არის ბრძოლა ნაკლის თავის დროზე გამოსამჟღავნებლად და მისი აღმოფხვრა იმ დაბრკოლებათა აღმოფხრასთან ერთად, რომელნიც ხელს გვიშლიან ვადაზე და კარგად შევასრულოთ პარტიისა და მთავრობის დავალება.

შესრულების შემოწმების ბოლშევიკურ განხორციელებას ჩვენ მივყევართ არაჩვეულებრივად მნიშვნელოვან შედეგამდე იმ მხრივ, რომ ჩვენ განვთავისუფლდებით მშრომელთა იმ მრავალი საჩივრებისაგან, რომელნიც გვახრჩობენ და გვაცდენენ პირდაპირი, პრაქტიკული და შემოქმედებითი მუშაობის შესრულებაში. „საუკეთესო საშუალებაა არ დაგვჭირდეს საჩივარი, მივაღწიოთ ზუსტ პასუხს და შესრულებას დაუყოვნებლივ"—ამბობს ამხ. ლენინი ამხ. კურსკისადმი მინაწერ წერილში „საქმის გაჯიანურების მოსპობის თაობაზე სახკომსაბჭოს მიერ გამოცემული დეკრეტისადმი დამატებებში".

ყველასათვის კარგად ცნობილია, რომ პარტია და ხელისუფლება იძულებული არიან იყოლიონ მუშაკლეხინთან სპეციალური აპარატი—საჩივართა ბიუროს სახით, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა ორგანიზაციისა და ცალკე მოქალაქეთა საჩივრების განხილვას, მაგრამ დღემდე არვის არ გამოუანგარიშნია (და არც შეიძლება ამის გამოანგარიშება), თუ რა დიდ დროს, უამრავ საშუალებას და მრავალ ხალხს გვართმევს ეს მუშაობა სრულიად არაპროდუქტიულად. შესრულების ნამდვილი შემოწმება კი ჩვენ ამას ყველაფერს საგრძნობლად თავიდან აგვაცილებდა.

მაშასადამე, შესრულების შემოწმება წარმოადგენს ბრძოლას იმ ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჯიანურების აღმოსაფხვრელად, რომელნიც იწვევენ მშრომელთა დაუსრულებელ საჩივრებს და საშუალებათა და ადმიანთა ძალების არაპროდუქტიულ ხარჯვას.

როდესაც ჩვენ ვეხებით საბჭოთა კანონების შესრულებას და მათ ცხოვრებაში გატარებას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სფეროში შესრულების შემოწმება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს, ვინაიდან თუ პროლეტარული სახელმწიფოს კანონები მუდამ დაუმახინჯებლად და გარკვევით გატარდებოდენ, ჩვენც საგრძნობლად უფრო სწრაფად გავექანებოდით წინ სოციალისტური მშენებლობის დარგში, რადგანაც ყველა ჩვენი კანონები ამ მიზანს ემსახურება.

„თანახმად ლენინისა და ლენინური პარტიის მიერ არაერთხელ მოცემული მითითებებისა გავაძლიეროთ საბჭოთა კანონების შესრულების შემოწმება; უზრუნველვყოთ მუშებისა და გლეხების შემწეობით მთავრობის ყველა უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარების მასიური შემოწმება და დავაწესოთ იმ პირების და ორგანოების უსასტიკესი პასუხისმგებლობა, რომელნიც დამნაშავენი არიან მთავრობის კანონების შეფერხებასა და „შეუსრულებლობაში"

(საკ. კ. პ. (ბ) XV ყრილობის რეზოლუციიდან ცაკ-სა და მუშგლეხინის მოხსენების გარშემო).

აქედან ცხადია, რომ შესრულების შემოწმება წარმოადგენს ბრძოლას პროლეტარული სახელმწიფოს კანონების ცხოვრებაში სწორი გატარებისათვის.

ზემოაღნიშნული მომენტები გვეუბნება იმას, რომ შესრულების შემოწმება „ჩვენი სახელმწიფოს ყოველი უჯრედის, ყოველი ცალკეული მუშაკის“ (პოსტიშევი) და ყველა ორგანიზაციის — გამოუკლებლად — მუშაობის მთელი სისტემაა და არა შემთხვევითი მოვლენა.

ამით უნდა ავხსნათ ის, რომ ამხ. ლენინი და ამხ. სტალინი და ასევე ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებანიც მოითხოვდენ და მოითხოვენ ყველასაგან, რათა შესრულების შემოწმება გამოყენებული იქნეს ყველა მოქმედებისა და ღონისძიების მიმართ ყოველი დაწყებული საქმის ბოლომდე მისაყვანად.

აქამდე ჩვენ მუდამ ვლაპარაკობდით შესრულების შემოწმების როლსა და მნიშვნელობაზე, როგორც მუშაობის სისტემაზე, რომელიც აუცილებელია სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

ახლა ჩვენ შევეხოთ იმ უმთავრესს, ურომლისოდაც მუშაობის არცერთ სისტემას, თუნდაც ის უაღრესად სრულყოფილი იყოს, არ შეუძლია წინ წასვლა. ესაა—სწორი ბოლშევიკური ხელმძღვანელობა და ცოცხალი ადამიანები, რომელნიც პრაქტიკულად ახორციელებენ უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებას.

ასეთი ადამიანების შესახებ ლენინი ამბობდა: „ჩვენთვის საჭიროა ადამიანების ვარგისობის შემოწმება, შემოწმება ფაქტიური შესრულებისა... შემოწმება ადამიანებისა და შემოწმება საქმის ფაქტიური შესრულებისა—აი ამაშია და მხოლოდ ამაში ამჟამად მთელი მუშაობის, მთელი პოლიტიკის არსი“ (ლენინი, სიტყვა მელითონელთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე 1922 წლის 7 მარტს. თხზ., ტ. XXVII).

მაშასადამე, მთელი მუშაობის და მთელი პოლიტიკის არსი მდგომარეობს ცოცხალ, მომქმედ ადამიანებში, მაგრამ ჩვენ, რასაკვირველია, გვჭირდება არა ყველა ცოცხალი მომქმედი ადამიანი, არამედ „საუკეთესო ელემენტები, რომელნიც არსებობენ ჩვენს სოციალურ წყობილებაში, სახელდობრ: მოწინავე მუშები და ნამდვილად განათლებული ელემენტები, რომელთა შესახებაც ვიცით, რომ არცერთ სიტყვას უსაბუთოდ არ მიიღებენ და არცერთ სიტყვას სინდისის წინააღმდეგ არ იტყვიან, რომ არ შეუშინდებიან არავითარი სიძნელის აღიარებას და არ შედრკებიან არავითარი ბრძოლის წინაშე სერიოზულად დასახული მიზნის მისაღწევად“ (ლენინი: უმჯობესია ცოტა იყოს და კარგი“, ტ. XXVII).

აი როგორი ცოცხალი მომქმედი ადამიანები გვჭირდება ჩვენ კლასობრივ მტრებზე სრული გამარჯვებისათვის.

ამრიგად, ვლებულობთ, რომ შესრულების შემოწმება წარმოადგენს ბრძოლას საუკეთესო ელემენტებისათვის, გასინჯული

ადამიანებისათვის, რომელნიც აუცილებელნი არიან ჩვენი მიზნის მისაღწევად.

დასასრულ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც დაკავშირებულია შესრულების შემოწმებასთან, ესაა ხელმძღვანელობა. ამ მომენტს განსაკუთრებულად უსვამენხაზს საკ. კ. პ. (ბ) ცეკა და საკავშირო სახკომსაბჭო ისტორიულ დადგენილებაში რკინის გზის ტრანსპორტის შესახებ, სადაც ნათქვამია: „შეუძლებელია, ბოლოს, ისეთი მდგომარეობის ატანა, როდესაც რაიონების გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის გზებისა და მმართველობათა ხელმძღვანელებს ხელმძღვანელობის ამოცანა „საერთო“ დირექტივებისა და მრავალრიცხოვანი განკარგულებების მიცემამდე დაყავთ და ვერ ხედავენ იმას, რომ მთავარი ხელმძღვანელობა ამჟამად მდგომარეობს დირექტივებისა და ბრძანებათა შესრულების ფაქტიურ ყოველდღიურ შემოწმებაში ადგილზე, დეპოში, სადგურზე, დისტანციაში“.

აქ სრულიად თვალსაჩინო და ცხადია შესრულების შემოწმების როლი კონკრეტული ბოლშევიკური ხელმძღვანელობის საქმეში ყოველ ცალკე უბანზე და საერთოდ, როლი იმ ჩვენი მუშაობის შემოწმებისა, რომელსაც მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

მაშასადამე, შესრულების შემოწმება წარმოადგენს ბრძოლას კონკრეტული, ბოლშევიკური ხელმძღვანელობისათვის.

ამრიგად, ზემონათქვამიდან ნათელია, თუ როგორი ორგანიული კავშირი არსებობს შესრულების შემოწმებასა და ჩვენი მუშაობის ყველა სახეებს შორის.

ეს მდგომარეობა გვავალდებულებს ყველას ჩვენ, რომ შესრულების შემოწმება პრაქტიკულად გადავაქციოთ მწყობრ სისტემად და ყოველდღიურად განვახორციელოთ იგი ჩვენი მუშაობის პროცესში და განვახორციელოთ ზედმიწევნით ჩვენი დიადი სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

არცერთმა ორგანიზაციამ, არცერთმა მუშაკმა,—სულერთია რომელ უბანზედაც იგი უნდა მუშაობდეს,—არ უნდა დაივიწყონ, რომ ჩვენთვის შესრულების შემოწმება აუცილებელია.

ამიტომ პარტია და მთავრობა მოითხოვს ყველასა და თითოულისაგან თავიანთი მუშაობის შესრულების შემოწმებას, რათა სწრაფად წავიდეთ წინ უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების გზაზე მეორე ხუთწლედში.

მ. სკანდაროვი

აგროტექნიკური პროპაგანდა მაღალ საფეხურზე

სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების ზრდა მთელი სიმკაცრით სვამს კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშათა, ხოლო პირველ რიგში კი ახალგაზრდობის წინაშე ახალი მაღალი—მანქანური ტექნიკის ათვისების ამოცანას.

იმ ღონისძიების განხორციელება, რომელიც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტმა და ცენტრ. საკ. კომისიამ მოგვცა იანვრის პლენუმზე და რომელიც „ახალ საწარმოთა და ახალი ტექნიკის ათვისებას“ შეეხება, სოფლის მეურნეობის დარგში მთავარ საშუალებას წარმოადგენს საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა ყანების მოსავლიანობის აწევისათვის და სოციალისტური მიწათმოქმედების მძლავრი განვითარებისათვის.

სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია ხდება მძიმე ინდუსტრიის საფუძველზე. უკანასკნელ წლებში სოფელში წავიდა თითქმის ორი მილიარდი მანეთის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სხვადასხვა პროცესები სრულდება მექანიკური ძრავების შემწეობით. საბჭოთა კავშირი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიალურ ქვეყნად, მსხვილი მიწათმოქმედების ყველაზე მოწინავე ქვეყნად.

კომუნისტური პარტიის, მისი და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით პირველი ხუთწლედის პერიოდში, ხუთწლედის, რომელიც წარმატებით იქნა შესრულებული ოთხ წელში, მოეწყო 200000 კოლმეურნეობაზე მეტი, 5000 საბჭოთა მეურნეობა და 2446 სამანქანო-სატრაქტორო სადგური, რომელნიც შეიარაღებული არიან სასოფლო-სამეურნეო მანქანებით და იარაღებით; იმავდროულად გაშლილ იქნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის მეცნიერული მეთოდები.

ყველა კოლმეურნეთა შეძლებულებად გადაქცევის შესახებ პარტიის მიერ წამოყენებული ამოცანის გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დაეუფლება კოლმეურნეთა მასა ამ ახალ მანქანურ ტექნიკას და შრომის სოციალისტურ ორგანიზაციას.

„იმისათვის, რომ კოლმეურნენი შეძლებულები გახდენ,—ამბობს ამხ. სტალინი დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ ყრილობაზე,—საჭიროა ამჟამად მხოლოდ ერთი რამ—ვიმუშაოთ კოლმეურნეობაში სინდისიერად, სწორად გამოვიყენოთ ტრაქტორები და მანქანები, სწორად გამოვიყენოთ მუშა-საქონელი, სწორად დავამუშაოთ მიწა, გაეუფრთხილდეთ კოლმეურნეობის საკუთრებას“.

ამხ. სტალინის მითითებანი მოითხოვენ ძალთა და ყურადღების და ასევე ყველა შესაძლებლობათა მობილიზაციას ტექნიკის დაუფლებისა და ახალი საწარმოების ათვისებისათვის, რაც შესაძლებლობას მოგვცემს სწორად გამოვიყენოთ ტრაქტორები და მანქანები, სწორად დავამუშაოთ მიწა და სხვ. და ამით შევასრულოთ საბრძოლო პროგრამა, მოცემული პარტიისა და ამხ. სტალინის მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ ამხ. სტალინის ამ მითითებათა მომენტიდან საკმაო დრომ განვლო, ჩვენ ჯერჯეროებით არა გვაქვს სათანადო გარდატეხა მათი განხორციელებისათვის ბრძოლაში და ძლიერ ცოტაა გაკეთებული სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი ტექნიკის დაუფლებისათვის იმ სისტემების მანქანათა დაუფლებისათვის, რომლებითაც შეიარაღდა და იარაღდება სოციალისტური მიწათმოქმედება.

აგროტექნიკის ათვისება უფრო ხანგრძლივ დროს მოითხოვს ამიტომ ჩვენი ამოცანა უნდა მდგომარეობდეს მუშაობის შემდგომ გაძლიერებაში აგროტექნიკური პროპაგანდისა და სწავლების გასაშლელად, მასში კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშათა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა ფართოდ ჩასამბმელად.

ლენინი ჯერ კიდევ 1921 წელს შემდეგ მოთხოვნილებებს აყენებდა: „უნდა ჩატარებულ იქნას ხანგრძლივი, სისტემატიური, დაჟინებითი, მოთმინებითი, მრავალმხრივი პროპაგანდა, და ჩატარებულ იქნას სახელმწიფოებრივი მაშტაბით, სახელმწიფო დაწესებულებათა სახელით და ხელმძღვანელობით“.

ლენინის ეს კონკრეტული და ნათელი მითითებანი და მოთხოვნილებანი ავალდებულებს სოციალისტური მშენებლობის ყოველ მონაწილეს სოფლად მაქსიმალურად დაეუფლოს ტრაქტორის, კომბაინის, ნამჯის შემკრელი, სანიავებელი მანქანებისა და სხვათა ტექნიკას, დაეუფლოს მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების წარმოების მეცნიერული მეთოდების იმ მაღლობებს, უმრომლისოდაც შეუძლებელია მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებას და სოციალისტური მიწათმოქმედების შემდგომ განვითარებას.

XVII პარტკონფერენციამ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტისა და ცენტრ. საკონტრ. კომისიის იანვრის პლენუმმა მთელი სიმკაცრით წამოაყენა საკითხი შრომის ნაყოფიერების აწევის შესახებ. შრომის ნაყოფიერების აწევა დამოკიდებულია ტექნიკის დაუფლებაზე შრომის სწორი ორგანიზაციისა და სოცშეჯიბრისა და დამკვრელობის ფართოდ გაშლის საფუძველზე.

ამხ. სტალინი მიგვითითებდა, რომ „პირველი ხუთწლედი უმთავრესად ახალი მშენებლობის ხუთწლედი იყო, ამ ახალი მშენებლობის პათოსით; მეორე ხუთწლედი კი უმთავრესად იქნება ახალი საწარმოების და მრეწველობის ათვისების ხუთწლედი“.

ეს კი ნიშნავს, რომ:

„მეორე ხუთწლედმა. თუ მას სურს სერიოზული წარმატების იმედი ჰქონდეს, უნდა შეაესოს ახალი მშენებლობის ახლანდელი ლოზუნგი ახალ საწარმოთა და ახალი ტექნიკის ათვისების ახალი ლოზუნგით“.

რა დასკვნები უნდა გაკეთდეს ჩვენი ბელადის, ამხ. სტალინის ამ ისტორიული მითითებიდან და პარტიის გადაწყვეტილებებიდან?

ბოლშევიკურად უნდა გავშალოთ აგროტექნიკური პროპაგანდა და აგროტექნიკის დაუფლების საქმე შეფარდებით მუშაობის ახალ პირობებსა და ამოცანებთან. უნდა გამოვიჩინოთ ყურადღების მაქსიმუმი ცოცხალი ადამიანებისადმი. უნდა გავაძლიეროთ კონკრეტული—ოპერატიული ხელმძღვანელობა და მუშაკთა ცოცხალი ინსტრუქტაჟი მუშაობის პროცესში. უნდა ავწიოთ მაღლა კლასობრივი სიფხიზლე კლასობრივი მტრის ყოველმხრივი ცდების წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს, ჩაშალოს აგროტექნიკური პროპაგანდის საქმე.

XVII პარტკონფერენციამ, რომელმაც მეორე ხუთწლედში უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების საბრძოლო პროგრამა დასახა, მიგვითითა, რომ „სახალხო მეურნეობის გადაიარაღების ბოლშევიკური ტემპები მოითხოვენ კვალიფიციური შრომის უდიდეს მატებას და მრეწველობის ტექნიკური კადრების სწრაფ ზრდას. ეს უჩვეულო ტემპები და მუშათა და ინჟენერ-ტექნიკური მუშაკების ფართო მასების მიერ—მათ რიცხვში ახალი მუშაკების უდიდესი მასების მიერ—ახალი ტექნიკური პროცესების ათვისების აუცილებლობა საჭიროდ ხდიან, გარდა სტაციონარული სწავლების მთელი სისტემის ხაზით კადრების გეგმიანი მომზადებისა, საწარმოო ტექნიკური პროპაგანდის ფართო განვითარებასაც“.

გადავიდეთ იმაზე, თუ როგორაა დაყენებული საქართველოში აგროტექნიკური პროპაგანდის საქმე.

პირდაპირ უნდა დავადასტუროთ, რომ ამ ფრონტზე ჩვენ ჯერჯერობით არასაკმაო მიღწევები გვაქვს. ჯერ კიდევ საქართველოს მთელ რიგ ისეთ რაიონებში, როგორიცაა, მაგალითად, სამხრეთ-ოსეთი, ლიუქსემბურგის, ბაშკიჩეთის რაიონი და სხვ., ზოგიერთი პარტიული, კომკაშირული, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანიზაციებისა და აგრეთვე სამიწადმოქმედო ორგანოების, სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებათა და, ბოლოს, სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებისა და ინსტიტუტების მხრივ ადგილი აქვს აგროტექნიკური პროპაგანდის არაჯეროვან შეფასებას.

აღნიშნულ დაწესებულებათა მუშაკებს დღემდე ვერ გაუგიათ, რომ საწარმოო გეგმების შესრულება დამოკიდებულია ცოცხალ ადამიანებზე, ე. ი. იმაზე თუ რამდენადაა ამ ცოცხალი ადამიანების მიერ ათვისებული და დაუფლებული ახალი მაღალი ტექნიკა, რომელიც იმავე დროს მოითხოვს საწარმოო საშუალებათა სწორ გამოყენებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწორ ორგანიზაციას.

თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ გვქონდეს არავითარი მიღწევები აგროტექნიკური პროპაგანდის საქმეში. „საქართველოს ჩაიმ“ მიმდინარე წლის საშემოდგომო კამპანიაში გადაჭარბებით შეასრულა თავისი გეგმა კურსების ორგანიზაციის დარგში. ნაცვლად გეგმის მიერ გათვალისწინებულია 1594 კაცისა, მან მოამზადა 1628 კაცი. ასეთივე მიღწევები აქვს ზოგიერთ სხვა

ორგანიზაციასაც. მაგრამ ეს მიღწევები ვერ დაგვაკმაყოფილებს ჩვენი განვითარების მოცემულ ეტაპზე.

მიმდინარე წლამდე აგროტექნიკური პროპაგანდა საქართველოში განსაზღვრული სისტემის გარეშე სწარმოებდა. უპირატეს ფორმას წარმოადგენდენ მოკლევადიანი კურს-კონფერენციები, რომელნიც ყველა რაიონებში როდი ტარდებოდენ. ხოლო სადაც ტარდებოდენ, ეს ჩატარება ხდებოდა სათანადო წინასწარი მუშაობის გარეშე.

საქართველოს მიწსახკომმა კურს-კონფერენციათა მოწყობის დროს საშემოდგომო კამპანიის პერიოდში ვერ შესძლო ყველა რაიონების ოპერატიული ხელმძღვანელობითა და ცოცხალი მომსახურებით უზრუნველყოფა, რის გამოც ნაცვლად ამ კურს-კონფერენციების მიერ 38 რაიონში 5.785 კაცის ჩაბმისა, რაც გეგმით გათვალისწინებული იყო, კურსები გაიარა სულ მხოლოდ 3.294 ვაცმა. სამხრეთ-ოსეთმა, აჭარისტახმა და ლიუქსემბურგის რაიონმა ჩაშალეს კურს-კონფერენციები.

მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა და კერძოთ სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, სასოფ. სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებმა არ გაშალეს ჯერ კიდევ სათანადო მუშაობა აგროტექნიკური პროპაგანდის ფრონტზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მოწოდებულია უხელმძღვანელოს სამეცნიერო-კვლევითი ქსელს საქართველოში და სოფლის მეურნეობის დარგში სხვადასხვა პრობლემების მეცნიერულ დამუშავებას, დღემდე მხოლოდ რამოდენიმე რადიო-ლექცია გადასცა, მაშინ როდესაც ინსტიტუტს თავის აპარატში სპეციალური აგროტექპროპი და კვალიფიციური მუშაკების საკმაო რაოდენობა ყავდა და ყველა შესაძლებლობა ქონდა ფართოდ გაეშალა აგროტექნიკური პროპაგანდა.

რაც შეეხება სასოფ.-სამეურნეო ინსტიტუტს, სუბტროპიკულ კულტურათა საკ. ინსტიტუტს, ზოოვეტინსტიტუტს, მეღვინეობის საკავშირო ინსტიტუტს და სხვა ინსტიტუტებს, თითქმის არავითარი რეალური ღონისძიებანი არ გაუტარებიათ.

ამიტომ უმაღლეს სასწავლებელთა და ინსტიტუტების უახლოესი და გადაუდებელი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოახდინონ ძირითადი გარდატეხა აგროტექნიკური მუშაობის დაყენების საქმეში და თავიანთ მუშაობას საფუძვლად დაუდონ საკ. კ. პ. (ბ.) ა/კ. სამხ. კომიტეტისა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის მიმდინარე წლის 20/X—ის დადგენილება.

ერთ-ერთ პუნქტს, სადაც შესაძლებელია აგროტექნიკურ პროპაგანდის გაშლა, წარმოადგენენ გლეხთა სახლები. მაგრამ იმ გარემოების გამო, რომ სათანადო ადგილობრივი ორგანოები არ აქცევენ შესაფერ ყურადღებას ამ სახლებს, ეს უკანასკნელნი ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას აგროტექნიკური პროპაგანდის საქმეში.

გლეხთა სახლებში უნდა მოეწყოს ხოლმე ლექციები აგროტექნიკის სხვადასხვა საკითხების შესახებ, საუბრები სოფლის მეურნეობის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა პოპულიარიზაციისა და სოციალისტური სასო-

ფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის მიზნით. უნდა მოეწყოს კონსულტაციები აგროტექნიკის ცალკე საკითხებზე, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის და სხვ. საკითხებზე. მოწყობილ უნდა იქნას კუთხეები და გამოფენები სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მიღწევათა შესახებ მემინდვრეობის, მესაქონლეობის, მებაღეობის და სხვ. დარგში.

გლეხთა სახლები უნდა გადაიქცეს მომსვლელ კოლმეურნეებისათვის კულტურული დასვენებისა და მათი აგროტექნიკურ ცოდნათა ამაღლების ადგილებად.

მაღალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და აგრო-ტექნიკის დაუფლების ამოცანა უფრო ხანგრძლივი ხასიათის ამოცანაა და ამიტომ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტმა დაადგინა, გარდა არსებულ მოკლევადიანი კურს-კონფერენციებისა, გაიშალოს აგრეთვე სტაციონარულ აგროტექნიკურ სკოლათა ქსელი. მიმდინარე წელს საქართველოში სასოფ.-სამეურნეო ტექნიკუმებსა, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებსა, ზონალურ სადგურებსა, საცდელ პუნქტებსა და უშუალოდ საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან მოწყობილ უნდა იქნას 180 სადარგო სტაციონარული სკოლა კოლმეურნეთა აქტივისა და საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშებისათვის; ამ სკოლებში უნდა მოთავსდეს 6.300 კაცი. სწავლების ვადა განსაზღვრულია 4 თვით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩამორჩენილ და ნაცუმცირესობის რაიონებს, სადაც სათანადო კვალიფიციური აგროპერსონალის არარსებობის გამო სტაციონარული სკოლების რიცხვი მეტად შეზღუდული იქნება. ამ რაიონებში საჭიროა გაიშალოს მოძრავი აგრო-სკოლების ქსელი. ეს აგრო-სკოლები თითოეულ პუნქტზე დარჩება ერთი თვის განმავლობაში. საქ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილებით ამ წელში ეწყობა 9 ოთხთვიანი და 36 ერთთვიანი ასეთი მოძრავი აგრო-სკოლა, სადაც მოთავსდება 1.080 კაცი. ეს სკოლები უზრუნველყოფილი იქნება მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელებით ცენტრიდან.

კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების, სამანქანო-სატრატორო სადგურების და აგრეთვე მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა აგროტექნიკური სწავლების საქმეში მაქსიმალური ჩაბმისათვის უშუალოდ ბრიგადებში მოწყობილ უნდა იქნას 1.800 ოთხთვიანი წრე სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების, ცალკე კულტურების და ტექნიკის დეტალების მიხედვით, სადაც ჩაბმული იქნება 45.000 კაცი.

სწავლის საქმეში წარმატება დამოკიდებულია კარგ მოსამზადებელ მუშაობაზე და ისეთი ხელმძღვანელების გულდასმითი შერჩევაზე, რომელნიც გამობრძმედილი არიან თვისებრივად, როგორც პოლიტიკურად, ისე აგროტექნიკური ცოდნის მხრივ. მთელ ქსელში ფართოდ უნდა იქნან გამოყენებული რაიონის აგროპერსონალი, სასოფ.-სამეურნეო ტექნიკუმების, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების აგრონომები, ზონალური სადგურების, დასაყრდენი პუნქტების მუშაკები და მომზადებული აგრო-ტექნიკოსები.

საქ. კ.პ. (ბ) ცეკამ აგროტექნიკური პროპაგანდის ფრონტზე დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანა დააკისრა სას.-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებს. ეს უკანასკნელნი მიმაგრებულნი არიან

განსაზღვრულ რაიონებზე იმ მიზნით, რომ დახმარება გაუწიონ ვისაც ჯერ არს აგრო-სკოლების და წრეების მუშაობასა და დაკომპლექტების დარგში.

აგროტექნიკური პროპაგანდის გაშლის საქმეში აქტუალური ადგილი უკავია აგროტექნიკურ წიგნს და პოპულიარულ ლიტერატურას. ამიტომაც საქ. კ.პ. (ბ) ცეკამ ამ საკითხს განსაკუთრებულად სერიოზული ყურადღება მიაქცია.

როგორია საქმის ვითარება აგროტექნიკური სწავლების ქსელისათვის სახელმძღვანელოების და პოპულიარული ლიტერატურის გამოცემის დარგში?

საქართველოს სახელგამმა ჯერ კიდევ ვერ გაშალა სათანადო მუშაობა საჭირო აგროტექლიტერატურის გამოსაცემათ. ამავე დროს სახელგამმა უნდა დაიწყოს სტანდარტული სახელმძღვანელოების შედგენა იმ ანგარიშით, რომ ისინი უახლოეს მომავალში გამოსცეს.

ამ დადგენილების რეალიზაცია მოითხოვს უწინარეს ყოვლისა საქ. მიწსახკომიდან, როგორც აგროტექნიკური სწავლების უშუალო ორგანიზატორისაგან, დიდ მოქნილობას და ოპერატიულობას, დიდ სიცხოველეს და უნარიანობას ფართო საზოგადოებრივობის მობილიზაციის საქმეში.

პარტიისა და კომკავშირის საოლქო და სარაიონო კომიტეტებმა საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებმა, ასევე საქართველოს მიწსახკომმა, პროფესიონალურმა და თავისუფალმა ორგანიზაციებმა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მთელმა სისტემამ და სას.-სამეურნეო უმაღლესმა სასწავლებლებმა დაუყოვნებლივ უნდა ჩაატარონ მოსამზადებელი მუშაობა, დასახონ კონკრეტული გეგმა შემდგომი მუშაობისათვის იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილ იქნას კურსის გავლა 1934 წლის მარტის მეორე ნახევრამდე.

აგროტექნიკური სწავლის ქსელთან ერთად უნდა გაიშალოს აგრეთვე მასიური აგროტექნიკური პროპაგანდის სხვა ფორმებიც.

ამხ. ლ ე ნ ი ნ ი დიდ ყურადღებას აქცევდა კინო-ფილმებს, ფოტო-სურათებს, გრამოფონის ფირფიტებს, გამოფენებს, ექსკურსიებს, დიაგრამებს, კარტოგრამებს, პლაკატებს და სხვ. როგორც მასიური საწარმოო პროპაგანდის საშუალებებს.

ერთ ახალ ფორმათაგანს წარმოადგენს აგროტექნიკური დღე; ეს უკანასკნელი პარტიული დღის მსგავსად უნდა მოეწყოს.

აგროტექნიკური დღის მიზანია: ფართო პოპულიარიზაცია გაუკეთოს და დაამუშაოს როგორც პარტიისა და მთავრობის დადგენილებები სოფლის მეურნეობის დარგში, ისე აგრეთვე სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის და აგროტექნიკის საკითხები.

აგროტექნიკური დღე შეიძლება ჩატარებულ იქნას როგორც მთელი მეურნეობის მასშტაბით, ისე ცალკე ბრიგადაშიც.

* * *

ყველა იმ ღონისძიებათა კომპლექსში, რომელნიც აგროტექნიკურ ცოდნას ნერგავენ კოლმეურნეთა ფართო მასებსა, საბჭოთა მეურნეობებისა, სამანქანო-

სატრაქტორო სადგურების მუშებსა და ერთპიროვნულ მეურნეთა შორის, ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს აგროტექნიკურ წიგნს. ბრძოლა აგროტექნიკურ ლიტერატურის ხარისხისათვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს, ვინაიდან წიგნი არა მარტო გადამტანია აგროტექნიკური ცოდნისა მასებში, არამედ იგი მისი ორგანიზატორიცაა აგროტექნიკის დაუფლებისათვის ბრძოლაში. საკ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილებაში, რომელიც წიგნის ხასიათსა და შინაარსს შეეხება, ნათქვამია: „წიგნის ხასიათი და შინაარსი მთლიანად უნდა უპასუხებდეს სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანებს: წიგნი უნდა იყოს მებრძოლი და აქტუალურად პოლიტიკური, მან უნდა შეაიარაღოს სოციალიზმის მშენებელთა უფართოესი მასები მარქსისტულ-ლენინური თეორიით და ტექნიკურ-საწარმოო ცოდნით. წიგნი უნდა წარმოადგენდეს მასების აღზრდის მობილიზაციის და მათი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გარშემო ორგანიზაციის მძლავრ საშუალებას"... „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფართო კოლმეურნე მასებისათვის სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოცემას, განსაკუთრებით კი ისეთი ლიტერატურის გამოცემას, რომელიც სოციალისტური გარდაქმნის გამოცდილებას გადასცემს და რომელიც საბჭოთა და კოლმეურნეობათა აქტივს აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური ცოდნით აიარაღებს".

როგორია საქმის ვითარება პოპულიარული სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოცემის მხრივ საქართველოში?

უეჭველია, რომ მუშაობის ამ უბანზე ჩვენ ზოგიერთი მიღწევა გვაქვს. უკანასკნელი 2—3 წლის განმავლობაში გამოცემულია ბროშურათა მთელი სერია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებისა და კულტურების მიხედვით მაგრამ როცა ამ ბროშურებს ვიხილავთ, საჭიროა დავადასტუროთ, რომ მათი დიდი უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი დღის მოთხოვნილებებს, ნაკლებად პოპულიარულია, ვერაა შედგენილი მკითხველთა იმ წრის შესაბამისად, რომლისთვისაც იგია ნავარაუდევი, შეიცავს აგრონომიულ შეცდომებს და დეფექტებს, პოლიტიკურ შეცდომებს და იგი გამოუსადეგარია აგროტექნიკური სწავლების ქსელისათვის. ეს ბროშურები ვერ გადმოგვცემენ გამოცდილებას და იმ მდიდარ მასალას, რომელიც მოწინავე საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მოიპოება და რომელსაც შეუძლია მაგალითი იყოს დანარჩენი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის.

ამაში დარწმუნება მკითხველს ადვილად შეუძლია, თუ გადააათვალიერებთ თუნდაც ნაწილს 1932-33 წლებში გამოცემული პოპულიარული სასოფლო-სამეურნეო ბროშურებიდან.

აი ფაქტები:

პროფ. პოტაპოვის ბროშურა „სარეველა მცენარეულობა და ბრძოლა მასთან ახალგაზრდა ჩაის პლანტაციებში" გამოცემულია 1933 წელს. ბროშურა პრეტენზიას აცხადებს პოპულიარობაზე, თუმცა იგი დაწერილია მკაცრი მეცნიერული ენით და ნაკლებად გასაგებია მკითხველთა ფართო მასებისათვის. პროფ. პოტაპოვი აუხსნელად ხმარობს შემდეგ სიტყვებს: „გაცვლითი მჟავა",

„ჰიდრომეტიული მჟავა", „PH" და სხვ. ბროშურა დატვირთულია ცხრილებით, რომელნიც ზოგჯერ მთელ გვერდებს იკავებენ.

ამას გარდა პროფ. პოტაპოვის ბროშურა აგროტექნიკურ და პოლიტიკურ შეცდომებსაც შეიცავს.

მე-25 გვერდზე იგი აკეთებს შემდეგ დასკვნებს: „თანაცხოვრება გვიმრისა ჩაისთან არასაზიანოა ორივე მხარესთვის... რასაც ჩვენ სინამდვილეში ვხედავთ". შემდეგ ის შენიშნავს, რომ „ჩვენ ვლაპარაკობთ იმ სახეთა ურთიერთ დამოკიდებულებაზე, რომელნიც გაერთიანებული არიან ერთ ასოციაციაში და არა იმ ცალკე ინდივიდუუმების ურთიერთ დამოკიდებულებაზე, რომელთა შორისაც გამორიცხული არაა ბრძოლა ფართობისათვის, კვებისათვის და ზრდის სხვა ფაქტორებისათვის ერთი და იმავე ასოციაციის შიგნით. ამ შემთხვევაში ხდება ჩაის პლანტაციების მცენარეული მოსახლეობას შორის მხოლოდ სოციალური (ხაზი ჩემს მიერაა გასმული. მ. ს.) ბრძოლის შესწავლა".

როგორ მოვიქცეთ შემდეგ? ვებრძოლოთ ჩაის პლანტაციებზე გვიმრას? ამ საკითხზე მკითხველი ვერ ღებულობს პასუხს, თავი რომ დავანებოთ ბოდვას მცენარეთა სოციალური ბრძოლის შესახებ პროფ. პოტაპოვის ბროშურიდან.

პოპულიარული მასიური ლიტერატურის სრულიად უვარგის ნიმუშს წარმოადგენს ფ. ატაევის ბროშურა „ნუ შევანელებთ ტემპებს ბამბის დამუშავების სფეროში". ბროშურა გამოცემულია 1932 წელს ბამბის ა/კ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ. ის ძლიერ წვრილი შრიფტითაა დაბეჭდილი. მთელი 8 გვერდი შევსებულია ნაკლებად დამუშავებული ციფრობრივი მასალით, ისეთი მასალით, რომელიც მეტად გაუგებარია მკითხველთა ფართო მასისათვის. მაგალითად: „1 კვ. მეტ-ზე გვაქვს 20,75 მცენარე", „ივლისის დასაწყისს R კვ. მეტ-ზე გვაქვს 7,7 მცენარე, აქედან მავნე—5,83" და სხვ. მიუხედავად ამისა ბროშურა პოპულიაროზის პრეტენზიას აყენებს.

შეიძლებოდა მთელი რიგი ასეთი ფაქტების მოყვანა, მაგრამ დასახელებულიც საკმარისია იმისთვის, რომ პოპულიარული ლიტერატურის გამომცემლებმა, ხოლო პირველ რიგში კი სახელგამმა სათანადო დასკვნები გააკეთონ აქედან და მეტი სიფხიზლით მოეკიდონ პოპულიარულ ბროშურათა სერიის გამოცემის საქმეს.

მრავალ შემთხვევას აქვს ადგილი, როცა სარეკომენდაციო ხასიათის პოპულიარულ ბროშურებში მოცემული ღონისძიებანი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან.

აგრონომი ბობოხიძე თავის ბროშურაში „ჩაის კულტურის აგროტექნიკა" გვირჩევს გაპოხიერების დადებითი საშუალების სახით გოგირდ-მჟავა ამონიუმს. ის ამბობს: „აუცილებლად აღსანიშნავია, რომ აზოტიურ სასუქთაგან გოგირდ-მჟავა ამონიუმი უნდა ვაღიაროთ უფრო შესაფერ ფორმად ნოტიო ტროპიკული ნიადაგისათვის".

პროფ. პოტაპოვი თავის ბროშურაში—„გაპოხიერების საფუძვლები"—გოგირდ-მჟავა ამონიუმს გვირჩევს როგორც არარაციონალურ ღონისძიებას. „სასუქის სახით შემოღება გოგირდ-მჟავა ამონიუმისა, გოგირდ-მჟავა და ქლო-

რიული კალიუმისა, რომელნიც იწვევენ იონების H,Ae, Ke მხოლოდ გამოძევების პროცესს და მათ დაკავშირებას, როგორც ღონისძიება მჟავე ჩაის ნიადაგისათვის, ა რ ა რ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ა (ხაზგასმულია ჩემ მიერ. მ. ს.).

ამას გარდა პროფ. პ ო ტ ა პ ო ვ ი ს ბროშურა ავსებულია მეცნიერული ტერმინებით, როგორც ბობოხიძე, ისე პ ო ტ ა პ ო ვ ი ც ვერ უშვებიან პოპულიარიზაციას გაპოხიერების საქმეს კოლმეურნეთა ფართე მასებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს შორის, ვერ ამახვილებენ ყურადღებას გადამჭრელ ბრძოლაზე კულაკურ აგიტაციის წინააღმდეგ.

ხშირად იცემა გაუპიროვნებული ფურცლები და პლაკატები, რაც საშუალებას არ აძლევს მკითხველთა ფართო მასას მიმართოს კონსულტაციისათვის გამომცემელ ორგანიზაციებს.

ასეთ გამოცემებს ეკუთვნის: „ტრაქტორის დეფექტები, რაც მისი ამუშავების დროს გვხვდება“, „უმარტივესი ღონისძიებანი ტრაქტორის მომსახურეობის ვადის გაგრძელებისათვის“. ორივე ეს გამოცემა ეკუთვნის მექანიზაციის ა/კ. ინსტიტუტს.

გარდა გაუპიროვნებისა ხშირად ბროშურები იცემა სათანადო ილუსტრაციების გარეშე ან და ილუსტრაციები მოცემულია ყოველივე ახსნა-განმარტების გარეშე: ფურცლები იბეჭდება წვრილი შრიფტით, ბნელ ქაღალდზე არათვალსაჩინოთ, უსისტემოთ და სხვ.

ყველაფერი ეს ხდება იმიტომ, რომ მეცნიერული მუშაკებიდან თითოეული თავისი მეცნიერული ცდებისა და გამოკვლევათა შედეგებს, პრაქტიკაზე შეუმოწმებელ ფაქტებს და ცალკე კითხვების გარშემო წარმოებულ დავას პოპულიარული ლიტერატურის სახელწოდებით სცემს და ეგრედწოდებულ „პოპულიარულ“ ბროშურებისადმი გამომცემლობანი და გამომცემი ორგანიზაციები იჩენენ დამპალ ლიბერალურ დამოკიდებულებას.

სამეურნეო გაერთიანებანი თითქმის არ ინტერესდებიან პოპულიარული ლიტერატურის გამოცემაში თავიანთი სისტემის ხაზით.

სხვაფრივ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ასე დიდი რაოდენობით გამოცემულ სხვადასხვა ბროშურებში სამეურნეო ორგანიზაციებს არ შეეძლოთ გამოემჟღავნებიათ აგროტექნიკური და პოლიტიკური შეცდომები.

ამ საქმეს არ აქცევენ ყურადღებას აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლები და კვლევითი ინსტიტუტები, გარდა სასოფ.-სამეურნეო მეცნიერებათა ლენინის სახ. საკავშირო აკადემიის ა/კ. განყოფილებისა, რომელმაც უკანასკნელ დროს გამოცემული პოპულიარული ბროშურების ნაწილი გააკრიტიკა.

წიგნის მნიშვნელობის შეუფასებლობას საჭიროა ბოლო მოეღოს. საქართველოს სახელგამმა, სამეურნეო გაერთიანებებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა და კვლევითი ინსტიტუტებმა აუცილებლად უნდა გააათკეცონ თავიანთი ყურადღება სას.-სამ. ლიტერატურის გამომცემლობის მიმართ და გაამახვილონ კლასობრივი სიფხიზლე.

ნ. ვოზნესენსკი.

პროლეტარიატის დიქტატურა და სოციალიზმის ეკონომიკა

პირველი სტატია

პროლეტარიატის დიქტატურამ საფუძველი დაუდო განვითარების ახალ საზოგადოებრივ კანონებს. ადამიანთა საზოგადოების მთელი ისტორიის განმავლობაში პირველადაა, რომ ადამიანები (დღეს მუშათა კლასია, ხოლო ხვალ კი უკლასო სოციალისტური საზოგადოების ყველა მუშაკები) შეგნებულად ქმნიან თავიანთ ისტორიას. მუშათა კლასი გახდა ბატონ-პატრონი საზოგადოებრივ ურთიერთობათა, ხოლო ამის გამო იგი, იმდენად, რამდენადაც საწარმოო ძალები ვითარდებიან, ბუნების ბატონიც ხდება.

ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში იყო ისეთი პერიოდი, როდესაც არ ასებობდა კლასები და არც კერძო საკუთრება საწარმოო საშუალებებზე. არ არსებობდა იმ დროს არც სახელმწიფო. საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების აღმოცენებასა და საზოგადოების კლასებად გათიშვასთან ერთად სახელმწიფო აუცილებლობად იქცა. მონათმფლობელური, ფეოდალურ-ბატონყმური და სასაქონლო-კაპიტალისტური საზოგადოების ისტორია წარმოადგენს კლასთა იმ ბრძოლის ისტორიას, რომელშიც სახელმწიფო გაბატონებული კლასის, უმრავლესობის გამყვლეფელი უმცირესობის, საქმეთა კომიტეტის როლს ასრულებდა.

„სახელმწიფო წარმოიშვა კლასობრივ წინააღმდეგობათა ლაგამის ამოდების მოთხოვნილებიდან; მაგრამ რადგან ამასთანავე იგი კლასების შეტაკებაში წარმოიშვა, ჩვეულებრივ იმ უძლიერესი, ეკონომიურად გაბატონებული კლასის სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელიც მისი შემწეობით აგრეთვე პოლიტიკურადაც გაბატონებული კლასი ხდება და, ამრიგად, ახალ საშუალებას იძენს დაჩაგრული კლასების მოსადრეკად და საექსპლოატაციოდ“ (ფ. ენგელსი, „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“, გვ. 202, ქართული გამოცემა 1932 წ. გვ. 206).

პირველადაა, რომ ამ საერთო წესიდან გამონაკლისის სახით მოგვევლინა და არსებობს პროლეტარული სახელმწიფო, რომლის არსებობაც კლასებისა და ყოველ სახის ექსპლოატაციის მოსპობაში მდგომარეობს.

ადამიანთა პირველყოფილ თემში არ არსებობდა კერძო საკუთრება საწარმოო საშუალებებზე, საკუთრება, რომელიც ქმნის კონკურენციის საზოგადოებას და საზოგადოებრივი სტიქიის ბატონობას. მაგრამ საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონე იწვევდა ამ პირველყოფილი თემების დამოკიდებულებას ბუნების სტიქიურ ძალებზე. მაგრამ ამ თემის მიერ მისივე საზოგადოებრივი

განვითარების კანონზომიერებათა შეგნებული და თავისუფალი განსაზღვრის შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა.

ადამიანთა საზოგადოების დამოკიდებულება ბუნების სტიქიურ ძალებზე მონათმფლობელურ და ფეოდალურ-ბატონყმურ საზოგადოებაში დაკავშირებულია არა მარტო საწარმოო ძალთა განვითარების ჯერ კიდევ დაბალ დონესთან, არამედ კლასობრივი ანტაგონიზმის ზრდასთანაც საზოგადოებაში. აქაც აგრეთვე არავითარ თავისუფლებაზე და არავითარ შეგნებულ ხელმძღვანელობაზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მიმართ ლაპარაკი არ შეიძლებოდა. ადამიანი საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონა იყო და იგი ბუნების მონადაც რჩებოდა.

კაპიტალისტური საზოგადოება კაცობრიობის ისტორიაში წინათ არნახულ ტექნიკურ გადატრიალებას ახდენს. დღის წესრიგში დასმულია ისეთი ტექნიკური ამოცანები, რომელთა განხორციელებაც დედამიწის სფეროს ხელახლა გამოსწორიდა და ქვეყნის რუკას შესცვლიდა. მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოებაშიც ადამიანი სტიქიურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონა რჩება. კაპიტალისტური საზოგადოება დამოკიდებული რჩება ბუნების სტიქიაზე, ვინაიდან იგი თავის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სტიქიას ემორჩილება.

პროლეტარიატის დიქტატურა კლასებს სპობს და ამით საფუძველს უყრის ადამიანთა განთავისუფლებას საზოგადოებრივი სტიქიის ბატონობისაგან. ამასთან ერთად შექმნილია საფუძველი საზოგადოების ნამდვილი განთავისუფლებისთვის ბუნების სტიქიიდანაც. პროლეტარული რევოლუცია სარბიელს შლის ბუნების ძალების გამოყენებისათვის სწორედ იმიტომ, რომ მუშათა კლასი თავის საზოგადოებრივ ურთიერთობათა პატრონი გახდა. „ადამიანები, რომელნიც, დაბოლოს, თავიანთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ბატონები გახდენ, ამის გამო ბუნებისა და თვით თავიანთი თავის ბატონებიც ხდებიან, ე. ი. თავისუფლებას აღწევენ“ (ენგელსი, „უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“, გვ. 76).

I

პროლეტარიატის დიქტატურის მნიშვნელობა ეკონომიკაში

მუშათა კლასი, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის სახითაა ორგანიზებული, პროლეტარული რევოლუციის ეპოქის დროს გადატრიალებას ახდენს წარმოების წესში, სცვლის რა საზოგადოებრივი განვითარების კანონებს. ამ მოძრაობის კანონები წარმოადგენენ მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის კანონებს, კლასების მოსპობის კანონებს.

გარდამავალი პერიოდის მოძრაობის კანონები განსხვავდებიან კაპიტალისტური საზოგადოების მოძრაობის კანონებიდან, თუმცა ისინი მომავალი კომუნისტური საზოგადოების კანონებიდანაც განსხვავდებიან.

საკითხს გარდამავალ პერიოდში არსებული მოძრაობის კანონების შესახებ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. შეუძლებელია ეკონომიკის და სოციალისტური მშენებლობის სწორი ხელმძღვანელობა რევოლუციის მოძრაობის კა-

ნონების უცოდნელად, კლასობრივი ბრძოლისა და კლასების მოსპობის კანონების ცოდნის გარეშე.

„იმისათვის, რომ პარტია წარმოადგენდეს ნამდვილად მოწინავე რაზმს, იგი შეიარაღებული უნდა იყოს რევოლუციური თეორიით, მოძრაობის კანონების ცოდნით, რევოლუციის კანონების ცოდნით“ (სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 65, ქართული გამოცემა, გვ. 76).

კომუნიზმის პარტია იმიტომ იმარჯვებს, რომ იგი შეიარაღებულია რევოლუციური თეორიით, მოძრაობის კანონების ცოდნით, კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარული რევოლუციის კანონების ცოდნით.

მოძრაობის კანონები თავისებური კანონებია გარდამავალი პერიოდის სხვადასხვა ეტაპებზე, რაც დაკავშირებულია სოციალიზმისა და კლასობრივ ძალთა თანაფარდობის მატერიალურ ბაზისის შეცვლასთან. გარდამავალი პერიოდის არსი, რომელიც მოძრაობის ყველა ფორმას, კლასობრივი ბრძოლის ყველა ფორმას ზოლივით გასდევს, მხოლოდ ერთია: ესაა კომუნიზმის ბრძოლა კაპიტალიზმთან კომუნიზმის გამარჯვებისათვის, კაპიტალიზმის მოსპობისათვის. მაშასადამე, მოძრაობის დედაზრი იმაში მდგომარეობს, რომ გაბატონებული კლასი სპობს განკითარების იმ კაპიტალისტურ ტენდენციებს, რომელთაც კიდევ ადგილი აქვთ გარდამავალ პერიოდში, და იბრძვის მოძრაობის ახალი, სოციალისტური კანონების გამარჯვებისათვის.

ყოველ საზოგადოებაში მოძრაობის კანონი—ეს ობიექტურად არსებული სინამდვილეა. გარდამავალ პერიოდში განვითარების გაბატონებული კანონების საფუძველს იძლევა პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც წარმოადგენს გარდამავალი დროის ობიექტური საწარმოო ძალისა და კაპიტალიზმის კომუნიზმად რევოლუციური გარდაქმნის სუბიექტური მამოძრავებელი ძალის თავისებურ ერთიანობას.

მარქსი და ენგელსი, ლენინი და სტალინი არა ერთხელ უსვამდენ ხაზს პროლეტარიატის დიქტატურის როლს, დიქტატურის, რომელიც მოძრაობის ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალ პერიოდში.

მარქსი ჯერ კიდევ 1852 წელს სწერდა, რომ „კლასობრივ ბრძოლას აუცილებლად მივყევართ პროლეტარიატის დიქტატურამდე; რომ ეს დიქტატურა თვით წარმოადგენს მხოლოდ გადასვლას ყოველი კლასების მოსპობაზე და ისეთი საზოგადოებრივი წყობილების დამყარებაზე, რომელშიც ადგილი არ ექნება კლასებად დაყოფას“ (წერილი ვეიდემეიერისადმი, 5/III 1852 წ.).

ლენინი მიგვითითებდა ორ უბრალო, მაგრამ ამასთანავე გენიალურ ჭეშმარიტებაზე. ჯერ-ჯერთი, მარქსისტია მხოლოდ ის, ვისაც კლასობრივი ბრძოლის გაგება პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებამდე დაყავსო; მეორე, მარქსისტია ის, ვისაც პროლეტარიატის დიქტატურის გაგება კლასების მოსპობის ამოცანამდე დაყავსო; არ კმარა კლასობრივი ბრძოლის გაგების დაყვანა პროლეტარიატის დიქტატურამდე. აუცილებელია პროლეტარიატის დიქტატურის მნიშვნელობის გაგება კლასების მოსპობის საქმეში.

ლ ე ნ ი ნ ი სპეციალურად ამხელდა „მემარცხენეთ“, ხოლო საქმით კი წვრილბურჟუაზიულ „კომუნისტებს“ რომელნიც ყურადღებას არ აქცევდენ პროლეტარიატის დიქტატურის ეკონომიურ როლსა, ამ დიქტატურის მნიშვნელობას ეკონომიკაში. „მემარცხენე“ კომუნისტების თეზისების შესახებ ლენინი სწერდა:

„უაღრესად დამახასიათებელია, რომ თეზისების ავტორები კრინტსაც კი არ ძრავენ პროლეტარიატის დ ი ქ ტ ა ტ უ რ ი ს მნიშვნელობის შესახებ ცხოვრების ე კ ო ნ ო მ ი ურ დარგში. ისინი ლაპარაკობენ მხოლოდ „ორგანიზირებაზე“ ან სხვ. მაგრამ ამას აღიარებს წვრილი ბურჟუაც, რომელიც გაურბის სწორედ მუშების დ ი ქ ტ ა ტ უ რ ას ეკონომიურ ურთიერთობებში. პროლეტარულ რევოლუციონერს არასდროს არ შეეძლო ასეთ მომენტში „დაევიწყებია“ ეს „დედაარსი“ პროლეტარული რევოლუციისა, რომელიც მიმართულია კაპიტალიზმის სამეურნეო საფუძვლების წინააღმდეგ“ (ლ ე ნ ი ნ ი, ტომი XXII, გვ. 526, ხაზი ჩემია.—ნ. ვ.).

ლ ე ნ ი ნ ი აქ სპეციალურად ხაზს უსვამს პროლეტარიატის დიქტატურის მნიშვნელობას ეკონომიკაში. ცოტაა ლაპარაკი საბჭოთა ეკონომიკის „ორგანიზირებაზე“, „ორგანიზაციულობაზე“, „გეგმიანობაზე“, აუცილებელია დავინახოთ ეკონომიური მნიშვნელობა პროლეტარიატის დიქტატურისა, რომელიც ქმნის ეკონომიკაში ორგანიზირობასაც და გეგმიანობასაც.

ს ტ ა ლ ი ნ ი საუცხოოდ ანვითარებს მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა ამ დებულებებს. იგი აცხობს. რომ „პროლეტარული დიქტატურის საკითხი, უწინარეს ყოვლისა, პროლეტარული რევოლუციის ძირითადი შინაარსის საკითხია. პროლეტარული რევოლუცია, მისი მოძრაობა, მისი გაჭანება და მისი მიღწევები სისხლს, და ხორც ისხმს მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით“ („ლენინიზმის საკითხები“, გვ. 28, ქართ. გამოც. გვ. 32).

პროლეტარიატის დიქტატურა—ეს გაბატონებულ კლასად ორგანიზებული პროლეტარიატია. პროლეტარიატის დიქტატურა კლასობრივი ბრძოლის უმაღლესი ფორმაა, რომელსაც პირდაპირ და უშუალოდ მოვყევართ კლასების მოსპობამდე. მას მივყევართ კლასების არსებობის ეკონომიური ფესვების მოსპობამდე. ამაშია ჩამარხული იმ მოძრაობის დედაზრი, რომელსაც ადგილი აქვს კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალ პერიოდში. ამ მოძრაობის კანონები განისაზღვრებიან პროლეტარიატის დიქტატურით, ხოლო ვინც ამ არსებითს მხედველობიდან უშვებს, იგი ეთიშება ლენინიზმს.

II

პროლეტარიატის დიქტატურა შედეგია საწარმოო ძალთა მთელი წინასწარი განვითარებისა, შედეგი კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა აფეთქებისა პროლეტარული რევოლუციის მსვლელობაში. ამიტომ პროლეტარიატის დიქტატურა პროლეტარული რევოლუციის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

ლ ე ნ ი ნ მ ა შექმნა მოძღვრება იმპერიალიზმზე როგორც სოციალიზმის სრულ მატერიალურ მომზადებაზე. იმპერიალიზმი სოციალისტური რევოლუციის წინადღეს წარმოადგენს. „სახელმწიფოებრივი—მონოპოლისტური კაპიტალიზმი

სოციალიზმის სრული მატერიალური მომზადებაა, მისი წინაკარია" (ტომი XXI, გვ. 187).

რას ნიშნავს სოციალიზმის მატერიალური მომზადება, რომელსაც სახელმწიფოებრივი-მონოპოლისტური კაპიტალიზმი ქმნის? ეს ნიშნავს იმას, რომ კაპიტალიზმმა განაზოგადოვა შრომა, განაზოგადოვა საწარმოო ძალები, განაზოგადოვა მიმოქცევის სფერო, მეცნიერება და განავითარა სიმდიდრე ისეთ დონემდე, როდესაც ეს სიმდიდრე, იმყოფება რა წინააღმდეგობაში კერძო მითვისებასთან, აქტუალურად და აუცილებლად ხდის საზოგადოების უმთავრესი საწარმოო ძალის—მუშათა კლასის ძლევამოსილ აჯანყებას და პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებას.

გიგანტურად გაიზარდა სიმდიდრის კონცენტრაცია ერთი მუჭა მილიონერების ხელში. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1929 წელს მესაკუთრეთა 1 პროცენტმა თავის ხელში მოაგროვა მთელი ნაციონალური სიმდიდრის 59 პროცენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ საკმაოა ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდეს ამ მესაკუთრეთა საწარმოო საშუალებების ნაციონალიზაცია, რათა პროლეტარიატის დიქტატურის საფუძველზე უკვე შეიქმნას სოციალიზმის ეკონომიური ბაზისი. მაგრამ ამისთვის აუცილებელია პროლეტარული რევოლუცია. ფორდი აწარმოებს ავტომობილებს ათეულ საწარმოებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. იმ 60 ქარხნიდან ამერიკაში, რომელნიც ფორდს ეკუთვნიან, 24 აწარმოებს ავტომობილის ნაწილებს, ხოლო 36—მის აწყობას. მთელ მსოფლიოში ფორდს აქვს 88 ქარხანა, რომელნიც ასრულებენ ავტომობილების დეტალების წარმოებას და მათ აწყობას. ეს ნიშნავს იმას, რომ ავტომობილს აკეთებს კოლექტიური მუშა, რომლის შრომაც განზოგადოებულია უკვე მ ს ო ფ ლ ი ო კაპიტალისტური წარმოების ფარგლებში. იმავე დროს კი ამ განზოგადოებული შრომის შედეგების მითვისება რჩება კერძო.

შრომის განზოგადოებამ ისეთ მაღალ დონეს მიაღწია, როდესაც მზა პროდუქტი მართლაც გ ა ნ ზ ო გ ა დ ო ე ბ უ ლ ი წარმოების შედეგს წარმოადგენს. მაგრამ კაპიტალიზმს არ შესწევს ძალა თავი გაართოს ამ საწარმოო ძალას; მას არ შეუძლია მოსპოს ეკონომიური კრიზისები, რომელნიც ანადგურებენ საწარმოო ძალებს.

ინჟენერმა ჰ ე რ მ ა ნ ზ ე რ გ ე ლ მ ა დაამუშავა ჰიბრალტარის სრუტეში დენათა გამოყენების პროექტი. ამ პროექტის თანახმად ჰიბრალტარის სრუტეში ეწყობა საგუბარი 29 კლ-ის. სიგრძით. ხმელთა შუა ზღვის დონის სათანადო დაწევის პირობებში (ამჟამად კი მისი დონე არაბუნებრივადაა აწეული წინანდელთან შედარებით, რაც გეოლოგიურ გადატრიალებათა შედეგია) უზრუნველყოფილია ატლანტიურ ოკეანედან წყლის მძლავრი გადავარდნა. ამ გადავარდნილი წყლის ენერგიის გამოსაყენებლად შენდება ელექტრონის სადგური 160 მილ. ცხ. ძალის სიმძლავრით ეს არა მარტო ენერგიის ზღაპრული წყაროა, არამედ იგი დედამიწის ნაწილის ძირფესვიანად გარდაქმნის წყაროა, ვინაიდან ხმელთაშუა ზღვის დონის დაწევის მეოხებით იტალიის ტერიტორია გაორკეცდება თავისი მოცულობით, შეიქმნება ახალი მიწები, მორწყული იქნება ჩრდილოეთ აფრიკის სანაპირო ადგილები. მაგრამ ამ გადატრიალების განხორციელება არ ძა-

ლუძს თანამედროვე კაპიტალიზმს, მისი შესრულება შეუძლია მხოლოდ გამარჯვებულ მუშათა კლასს.

გ ი უ ტ ნ ე რ ი, რომელიც თავის წიგნში ამ პროექტის შესახებ მოგვითხრობს, იძულებულია აღიაროს, რომ „აუცილებელია გადაჭრით მოეღოს ბოლო ევროპის ძველ დანაწილებას მრავალ ცალკე ნაციებად და ასევე მის დანაწილებას სხვადასხვა, ერთი-მეორის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებად, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გენიალური პროექტი, მიუხედავად მისი ტექნიკურად განხორციელების შესაძლებლობისა, უტოპიად დარჩება“ (გ ი უ ტ ნ ე რ ი, „მომავლის ენერგეტიკა“, გვ. 14).

გიუტნერს არ ესმის, რომ კაპიტალიზმის პირობებში შეუძლებელია ევროპის ძველი დაყოფის ლიკვიდაცია, ისე როგორც შეუძლებელია კერძო საკუთრების ღობის მოსპობა. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ კაცობრიობას არ შეუძლია ამ პროექტის განხორციელება მისი გრანდიოზულობისა და შრომის იმ უდიდესი ხარჯების გამო, რომელსაც იგი მოითხოვს. პროექტის განსახორციელებლად აუცილებელია 8 მილიარდი დოლარის დაბანდება. ეს ძლიერ ბევრია. მაგრამ გავიხსენოთ, რომ მარტო იმპერიალისტური ომი 1914—1918 წლებში კაცობრიობას დაუჯდა არა 8 მილიარდი დოლარი, არამედ—100 მილიარდ დოლარამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ კომუნისტურ საზოგადოებას სავსებით შეუძლია ამ პროექტის განხორციელება.

ბ ე რ ნ ა რ დ დ ი უ ბ ო მ დაამუშავა ჩრდილოეთ აფრიკის ჰაეროვანი ნაკადების ენერგიის გამოყენების პროექტი. ამ პროექტის თანახმად ეწყობა გიგანტური მილი, რომლის ერთი ბოლო იმყოფება მთის კალთაზე, ხოლო მეორე ბოლო კი—მის მწვერვალზე. საჰარის უდაბნოს ცხელი ჰაერი ადის მაღლა მილით, რომელიც თანდათან ვიწროვდება ძაბრისებურად და რომელიც დაფარულია სითბოს არგამტარი შრეთი. საჰარის ცხელი ჰაერი მილში მოდის გრიგალისებურ მოძრაობაში და იწევს მაღლა, სადაც ჰაერს უფრო დაბალი ტემპერატურა აქვს და სადაც იგი უფრო გათხელებულია. ამრიგად იქმნება ხელოვნური ჰაეროვანი ციკლონი, რომელიც 180—200 კლმ-ის სიჩქარით მოძრაობს საათში. ეს ციკლონი ეხეთქება მძლავრი ჰაეროვანი ტურბინის ფრთებს, სადაც იგი მილს მიყავს. ტურბინი უერთდება გენერატორს, რომელიც ელექტრონის დენს იძლევა: გრიგალისებური ენერგია იქცევა ელექტრონად, რომელიც მიემართება უკანვე ხეობაში სასარგებლო გამოყენებისათვის. დ ი უ ბ ო წინადადებას იძლევა შევუერთოთ ე ლ ე ქ ტ რ ო გ ა დ ა ც ე მ ა თ ა ქ ს ე ლ ი თ ასეთი ელექტრონადგმულობანი ევროპის ელექტროსადგურებს. დღისით ენერგია წავა ელექტრომომარაგების ევროპის ქსელში მისი სათბობი და ჰიდროსადგურების დასახმარებლად. ღამით კი, პირიქით, ევროპის განთავისუფლებული ენერგია შეიძლება გაგზავნილ იქნას აფრიკის იმ დადგმულობათა ქსელში, რომელნიც ქარის ძალაზე ემყარებიან და რომელთა მანქანებიც ღამის განმავლობაში შეიძლება გაჩერებულ იქნან. სრულიად ნათელია, რომ ამ გენიალური პროექტის განხორციელება კაპიტალიზმის მოსპობას მოითხოვს. კაპიტალიზმს, რომელიც დაყოფილია სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური და კერძო-მესაკუთრეობრივი ტიხრებით, არ შეუძლია შექმნას ელექტროგადაცემათა ერთიანი ქსელი.

გიუტნერი, მას შემდეგ რაც მან აღნიშნული პროექტი გადმოგვცა, შენიშნავს, რომ „მომავლის ტექნიკისათვის, რომელიც სამყაროს ნაწილებს წარმოუდგენიათ, პოლიტიკურ საზღვრებს მნიშვნელობა არა აქვთ“ (გვ. 41). მაგრამ გიუტნერს არ ესმის, რომ ამ საზღვრების გადალახვა შეუძლებელია კაპიტალიზმის დროს. კერძო საკუთრების და აგრეთვე სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური საკუთრების საზღვრების გადალახვა შეუძლია მხოლოდ გამარჯვებულ პროლეტარიატს.

კაპიტალიზმის საწარმოო ძალები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მხედრდებიან, დამოუკიდებლად იმისაგან, ხდება ეს ამხედრება კოლონიალური მონების, თუ ფაშისტური გერმანიის პროლეტარების მოძრაობის ფორმაში. კაპიტალიზმს არ შეუძლია თავი გაართვას თავის საწარმოო ძალებს არც პოლიტიკურად და არც ეკონომიურად. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ არა მარტო კრიზისის, არამედ კრიზისის წინა პერიოდის მანძილზე ჩვენ გვაქვს კაპიტალისტურ საწარმოთა საწარმოო აპარატის უაღრესად არა სრული დატვირთვა. გერმანიაში 1929 წელს, როდესაც კრიზისი ჯერ კიდევ იწყებოდა, მრეწველობა დატვირთული იყო მხოლოდ 67,4 პროცენტით, ხოლო 1932 წელს იმავე მრეწველობის დატვირთვა მისი საწარმოო სიმძლავრის 35,7 პროცენტს შეადგენდა. 1929 წელს ნაწილობრივ ანდა სრულიად უმუშევარი იყო მუშების 20,7%-ი, ხოლო 1932 წელს კი—66,4 პროცენტი.

საზოგადოებრივი და ბუნებრივი საწარმოო ძალების განადგურება—აი ასეთია დღეს კაპიტალიზმის „დანიშნულება“. დანგრევა ბრძოლებისა და ჭარხნებისა, გაჩერება მაღაროებისა, ამოწვა დათესილი ყანებისა, მოსპობა „ზედმეტი“ პირუტყვისა—აი ასეთია კაპიტალისტური სინამდვილე. კაპიტალიზმს არ შეუძლია რაციონალურად გამოიყენოს ბუნების ძალები, იგი ღუპავს საწარმოო ძალებს, არ ზრუნავს რა მომავალზე.

„რა ესაქმებოდათ ისპანეთის პლანტატორებს კუბაზე, როდესაც ისინი სწვავდენ ტყეებს მთების კალთებზე და ხანძრისაგან მიღებულ ნაცარში იღებდენ სასუქს, რომელიც საკმაო იყო მეტად შემოსავლიანი საყავე ხეების ერთი მოდგმისათვის,—რა ესაქმებოდათ მათ იმასთან, რომ ტროპიკული ნიაღვარი წალეკავდა ხოლმე შემდგომ ნიადაგის უმფარველო ზედა ფენებს, სტოვებდა რა თავის შემდეგ გაშიშვლებულ კლდეებს!“ (ენგელსი—„შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში“, გვ. 15).

ამრიგად, „კაპიტალიზმის ტექნიკა ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო წინუსწრებს ზრდაში იმ საზოგადოებრივ პირობებს, რომელთა მიერაც მშრომელთ დაჭირავებული მონობა აქვთ მისჯილი“ (ლენინი, ტ. XVI, გვ. 369).

როდესაც ამბობენ, რომ საწარმოო ძალები კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობათა წინააღმდეგ მხედრდებიანო, ეს იმას ნიშნავს, რომ მუშათა კლასი მხედრდება იმ საწარმოო ურთიერთობათა წინააღმდეგ, რომელთა ერთ მხარეთაგანს თვითონვე წარმოადგენს. ამაში მჟღავნდება საწარმოო ძალების, როგორც საზოგადოების განვითარების საფუძვლის, როლი. მუშათა კლასი, რომელიც თავის სახელმწიფოდაა ორგანიზებული, სარბიელს უხსნის თავის საკუთარ განვი-

თარებას და ამასთან ერთად მთელ მშრომელ კაცობრიობას, შებორკვილს კაპიტალიზმის მიერ.

პროლეტარიატის დიქტატურა იმიტომ განსაზღვრავს საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, რომ იგი წარმოადგენს იმ უდიდეს მატერიალურ ძალას, რომელიც გამოწვეულია მთელი წინამორბედი განვითარების მიერ.

III

პროლეტარიატის დიქტატურის—როგორც გარდამავალი პერიოდის უდიდესი საწარმოო ძალის—მნიშვნელობა ყველაზე ნათლად სჩანს, თუ შევადარებთ პროლეტარული და ბურჟუაზიული სახელმწიფოს როლს ეკონომიკაში. ბურჟუაზიის დიქტატურა იმ დროს ჩნდება, როცა უკვე არსებობს ბევრად თუ ცოტად ჩამოყალიბებული კაპიტალისტური წყობა ეკონომიკაში. პროლეტარიატის დიქტატურა კი ჩნდება მაშინ, როდესაც არ არსებობს და არც შეიძლება ჯერ არსებობდეს სოციალისტური ეკონომიკა. ბურჟუაზიული სახელმწიფო იცავს და ამაგრებს წარმოების სტიქიურად ჩამოყალიბებულ ბურჟუაზიულ წესს. პროლეტარული სახელმწიფო აშენებს წარმოების ახალ წესს, ახალ საზოგადოებრივ წყობილებას. პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე და უმისოდ სოციალისტური ეკონომიკა ვერ აღმოცენდება, მაშინ როდესაც კაპიტალისტური ეკონომიკა ჯერ კიდევ ბურჟუაზიული სახელმწიფოს წარმოშობამდე ჩნდება.

ბურჟუაზიული სახელმწიფოს ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო, ხელისუფლება, პოლიტიკა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი უკვე არსებულ, სტიქიურად შექმნილ ბურჟუაზიულ ეკონომიკასთან. პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ აშენდეს ახალი, სოციალისტური ეკონომიკა. ბურჟუაზიული სახელმწიფო ბურჟუაზიულ რევოლუციას ამთავრებს. პროლეტარული სახელმწიფო მხოლოდ საფუძველს უყრის პროლეტარულ რევოლუციას, ამასთანავე ხელისუფლება გამოიყენება როგორც ბერკეტი ძველი ეკონომიკის გარდასაქმნელად და ახალის შესაქმნელად.

ბურჟუაზიული სახელმწიფო ჩვეულებრივად არ წარმოადგენს ძირითად საწარმოო საშუალებათა მესაკუთრეს. პროლეტარული სახელმწიფო ძირითად საწარმოო საშუალებათა მესაკუთრეა და ამიტომ იგი თვით უდიდეს ეკონომიურ ძალას წარმოადგენს. პროლეტარული სახელმწიფო არაა მარტო პოლიტიკური ხელნაშენი, რომელიც სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობათა ბატონობას გამოხატავს. პროლეტარიატის დიქტატურა შეიცავს საწარმოო საშუალებებზე სოციალისტური საკუთრების ურთიერთობას, ვინაიდან ძირითად საწარმოო საშუალებათა მესაკუთრეს წარმოადგენს სწორედ პროლეტარიატი, რომელიც ორგანიზებულია თავის სახელმწიფოდ. ბურჟუაზია, რომელიც გაბატონებული კლასის სახითაა სახელმწიფოდ ორგანიზებული, არ წარმოადგენს საწარმოო ძალას, იგი პარაზიტია საზოგადოების საწარმოო ძალთა სხეულზე. პირიქით, პროლეტარიატი, რომელიც ორგანიზებულია გაბატონებულ კლასად, თავის პროლეტარულ სახელმწიფოდ, ჩვენი დროის უდიდეს საწარმოო ძალას წარმოადგენს.

„კაპიტალისტებისაგ ანექსპროპრიირებულ საწარმოო საშუალებათა განზოგადოების დაწყების ეპოქაში სახელმწიფო ძალაუფლება სწყვეტს საწარმოო პროცესის მიმართ ზემდგომ პარაზიტულ აპარატად ყოფნას; იგი იწყებს ისეთ ორგანიზაციად გადაქცევას, რომელიც უშუალოდ ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის მმართველობის ფუნქციას“ (რ. კ. პ. (ბ) პროგრამა).

ბურჟუაზიული სახელმწიფოს პოლიტიკა ამაგრებს პოლიციით, სასამართლოთი, საპყრობილეთი ზედმეტი ღირებულების წარმოების სტიქიურ პროცესს. გამარჯვებული პროლეტარიატის ეკონომიური პოლიტიკა კი თვით წარმოადგენს ძალას, რომელიც ეკონომიკის განვითარებას განსაზღვრავს.

მარქსს და ლენინს არა ერთხელ გაუსვამთ ხაზი იმ გარემოებისათვის, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო პარაზიტული ხასიათისაა, ხოლო პროლეტარიატის დიქტატურა უდიდეს საწარმოო ძალას წარმოადგენს: „საშინელი ორგანიზმი—პარაზიტი“—ასე ახასიათებდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მარქსი „ლუი ბონაპარტის 18 ბრიუმერში“. „ეს სახელმწიფოებრივი ძალაუფლება მხოლოდ პარაზიტული ხორცმეტი იყო ნაციის სხეულზე“. „ეს პარაზიტული ხორცმეტი „სახელმწიფო“ იკვებება საზოგადოების ხარჯზე და აფერხებს მის თავისუფალ მოძრაობას“ (მარქსი, „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“).

„პროლეტარული სახელმწიფო, ე. ი. გაბატონებულ კლასად ორგანიზებული პროლეტარიატი“ (ლენინის კრებ. XIV, გვ. 281 და 283), არა მარტო არ აფერხებს საწარმოო ძალთა განვითარებას, არამედ პირველად ისტორიაში, უხსნის ამ საწარმოო ძალების ზრდას არნახულ სარბიელს.

მარქსი ამბობდა პარიზის კომუნის შესახებ, რომ „იგი წარმოადგენდა პოლიტიკურ ფორმას, რომლის დროსაც შესაძლებელი იყო შრომის ეკონომიური განთავისუფლების მოხდენა“ („სამოქალაქო ომი საფრანგეთში“). „კომუნისტურ მანიფესტში“ მარქსი და ენგელსი სწერდენ, რომ პროლეტარიატი „გაბატონებული კლასის სახით ნაძალადევად სპობს ძველ საწარმოო ურთიერთობებს“. იბრძვის რა ნაძალადევად წარმოების წესში, იგი სპობს წარმოების კაპიტალისტურ წესს და ქმნის სოციალისტურს; ამასთან ერთად იგი იწვევს სასიცოცხლოდ და ამ აზრით აწესებს ეკონომიური განვითარების ახალ კანონებს და ყველა მის განკარგულებაში მყოფი ძალებით უზრუნველყოფს მოძრაობის ამ ახალი, სოციალისტური კანონების გამარჯვებას. საამისო ძალებიც გაბატონებულ პროლეტარიატს სრულიად საკმაოდ მოეპოება: შეიარაღებული მუშათა კლასი ეკონომიური მებრძანებელი მწვერვალები, კულტურული რევოლუცია, რომელიც მასებს მაღლა სწევს წარმოებისა და საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილების საერთო სახალხო კონტროლამდე.

ამრიგად, პროლეტარიატის დიქტატურა იმიტომ განსაზღვრავს მოძრაობის კანონებს გარდამავალ პერიოდში, რომ იგი ჩვენი დროის უდიდეს საწარმოო ძალას წარმოადგენს.

IV

მუშათა კლასი, ორგანიზებული პროლეტარულ სახელმწიფოდ, სცელის ეკონომიური განვითარების კანონებს, კლასობრივი ბრძოლის კანონებს მხოლოდ

მიღწეულ მატერიალურ წინამძღვარებსა და კლასობრივ ძალთა თანაფარდობასთან შეზომილად. ეკონომიური განვითარების კანონები იცვლებიან პროლეტარული რევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე იმისდამიხედვით, თუ როგორია კლასების თანაფარდობა და საწარმოო ძალთა განვითარების დონე, რომელსაც პროლეტარული სახელმწიფო აღწევს.

ყოველ მოცემულ მომენტში სინამდვილეში არსებული საწარმოო ძალები და კლასობრივ ძალთა შორის მიღწეული თანაფარდობა გამოსავალ წერტილს წარმოადგენენ შემდგომი მოძრაობის წინსვლისათვის. საწარმოო ძალთა არსებული დონე და საბჭოთა ეკონომიკის განვითარების საფეხური წარმოადგენენ იმ მატერიალურ ბაზას, რომელზეც შენდება პარტიისა და მუშათა კლასის ეკონომიური პოლიტიკა. მაგრამ პროლეტარული სახელმწიფო არ კმაყოფილდება განვითარების მიღწეული საფეხურით. იგი ანხორციელებს კლასობრივ ბრძოლაში შემდგომ მოძრაობას, ქმნის რა საწარმოო ძალთა ახალ დონეს, აფართოებს რა სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობათა ბატონობას, სცვლის რა კლასობრივ ძალთა თანაფარდობას და სპობს რა კლასებს. მაგრამ თუ ყველა იზიარებს იმას, რომ სწორედ პროლეტარული სახელმწიფო, და არა სტიქიური თვითდინება ქმნის ახალ საწარმოო ძალებს და აფართოებს სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობათა ბატონობას, მაშინ არ შეიძლება არავითარი დაეჭვება იმაში, რომ სწორედ პროლეტარიატის დიქტატურა განსაზღვრავს გარდამავალ პერიოდში განვითარების კანონებს.

მოძრაობის კანონებისა და ეკონომიკის გეგმიანი ხელმძღვანელობის შესახებ გარდამავალ პერიოდში ჟურნალ „კომაკადემიის მოამბეში“ შემდეგს ვკითხულობთ:

„როგორიღა წესით ანხორციელებს პროლეტარული დიქტატურა ამ ხელმძღვანელობას? იგი მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემწეობით წინასწარ შეიცნობს გარდამავალი ეკონომიკის სხვადასხვა ერთმანეთს შორის მებრძოლ ტენდენციებს, სათვალავში იღებს ობიექტურ შესაძლებლობათ, მეურნეობის საბჭოთა სისტემის უპირატესობათ, სუბიექტური ფაქტორების როლს და ამასთან შეფარდებით სახავს თავისი ეკონომიური პოლიტიკის ძირითად ხაზებს, მოძრაობაში მოყავს სხვადასხვა ისტორიული ფაქტორები და აიძულებს მათ „იმუშაონ“ სოციალიზმის სასარგებლოდ“. [1]

ხელმძღვანელობის ასეთი გაგება არ შეიძლება ჩაითვალოს სწორად. პროლეტარიატის დიქტატურა, ჯერ-ერთი, კლასების ლიკვიდაციის მსვლელობაში სპობს ზოგიერთ (კაპიტალისტურ) ტენდენციას და „ფაქტორებს“; მეორე, იწვევს სასიცოცხლოდ ახალ (სოციალისტურ) „ფაქტორებს“, ახალ კანონებს; მესამე, იბრძვის ამ ახალი (სოციალისტური) „ფაქტორების“ და კანონების გამარჯვებისათვის. ესაა კლასობრივი ბრძოლა კაპიტალისტურ და სოციალისტურ ტენდენციებს შორის, და არა შეცნობა და გამოყენება ერთისაც და მეორისაც სოციალიზმის საქმისათვის. საკითხის ზემოაღნიშნული წესით დასმა, ე. ი.

[1] „Вестник Комакадемии“, № 4, 1933 წ. Ст. к вопросу об изучении закономерности советской экономики, გვ. 22.

იმ სახით, როგორც ის „კომაკადემიის მოამბეშია“ მოცემული, წარმოადგენს დათმობას თვითდინების თეორიის მიმართ, საბჭოთა ეკონომიკის განვითარებაში სტიქიურობის თეორიის მიმართ.

მოძრაობის კანონები, რომელთაც პროლეტარიატის დიქტატურა საზღვრავს, ობიექტურად ჭეშმარიტ კანონებს წარმოადგენენ. რატომაა, რომ ეს კანონები ობიექტურად ნამდვილი, ობიექტურად მნიშვნელოვანნი არიან ამ სიტყვის ფილოსოფიური აზრით? იმიტომ რომ ისინი ემყარებიან სოციალიზმის გამარჯვებისა და კლასების მოსპობის „ობიექტურ“ შესაძლებლობათ. როგორია ეს „ობიექტური“ შესაძლებლობანი?

პროლეტარიატის დიქტატურის ბატონობა—ეს სოციალიზმის გამარჯვების პირველი „ობიექტური“ შესაძლებლობაა. შემდეგ, მილიონი მუშები, რომელნიც რევოლუციის ისტორიას ქმნიან და რომელნიც პროლეტარული დიქტატურის რეჟიმს მხარს უჭერენ; შემდეგ, პარტია კომუნიზმისა—ეს მოტორი ისტორიისა, იარაღი პროლეტარიატის დიქტატურისა. იგიც აგრეთვე სოციალიზმის აშენების „ობიექტური“ შესაძლებლობაა. საბჭოთა ეკონომიკის მთელი სისტემა, რომელიც კრიზისებს გამორიცხავს, რომელიც უზრუნველყოფს მეურნეობის გეგმიანი წარმართვის შესაძლებლობას,—ესიც აგრეთვე „ობიექტური“ შესაძლებლობაა. დაბოლოს, ის ბუნებრივი საწარმოო ძალებიც, რომელნიც ქვეყნის განკარგულებაში მოიპოვებიან კომუნიზმის გამარჯვებისა და კლასების მოსპობისათვის.

განვითარების კანონები, რომელთაც გაბატონებული მუშათა კლასი და მისი პარტია განსაზღვრავს, იმიტომ არიან რეალური, ობიექტურად მნიშვნელოვანნი და ჭეშმარიტნი, რომ ისინი ემყარებიან მათი განხორციელების იმ პირობებსა და შესაძლებლობათ, რომელნიც სინამდვილეში არსებობენ, რომ ისინი გამოდიან კომუნიზმის აშენების აუცილებლობისა და შესაძლებლობიდან.

ეს არაა ობიექტური კანონები სტრუვიანული გაგებით, მაგრამ ესაა სინამდვილეში არსებული შესაძლებლობანი სოციალიზმის ასაშენებლად. მოძრაობის კანონები, რომელთაც გაბატონებული პროლეტარიატი და მისი პარტია აწესებს, სწორედ იმიტომ არიან ობიექტურად ჭეშმარიტნი, რომ ისინი ამ შესაძლებლობას და აუცილებლობას ემყარებიან. „მაშასადამე, თავისუფლება მდგომარეობს თავისი თავისა და გარეშე ბუნების მიმართ ბატონობაში, რომელიც დამყარებულია ბუნებრივი აუცილებლობის შემეცნებაზე; ამრიგად, იგი ისტორიული განვითარების აუცილებელ პროდუქტს წარმოადგენს“ (ენგელსი, Сочинения, ტ. XIV, გვ. 114).

V

პარტიის ეკონომიური პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ისეთ ბერკეტებს ემყარება, როგორიცაა სოციალისტური სექტორება ძირითად საწარმოო საშუალებებზე, მიწისა და ბანკების ნაციონალიზაცია, მიმოქცევის სფეროს განზოგადოება, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. პარტიის ეკონომიური პოლიტიკა წარმოადგენს ამის გამო იმ მატერიალურ ძალას, რომელიც ეკონომიკის განვითარებას განსაზღვრავს. ამაში გამოიხატება პოლიტიკის ის

პირველობა ეკონომიკასთან შედარებით, რომელზედაც ლენინი ლაპარაკობდა.

პარტიის პოლიტიკა მზარდი სოციალისტური ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულებაა. ეკონომიკის განვითარების მიღწეული საფეხური მატერიალური ბაზაა, რომელზეც პარტიის პოლიტიკა შენდება. მაგრამ იგი განსაზღვრელ როლს ასრულებს შემდგომ გაფართოებულ სოციალისტურ რეპროდუქციაში. პარტიის პოლიტიკა იმიტომ განსაზღვრავს საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, რომ იგი გამოდის სოციალისტური საზოგადოების აშენების „ობიექტური“ შესაძლებლობისა და აუცილებლობიდან.

რას წარმოადგენს პროლეტარული სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკა? ესაა კლასთა შეფარდება, ესაა გარდაქმნა ერთი კლასისა, ლიკვიდაცია მეორისა. მაგრამ კლასების მოსპობა წარმოადგენს სწორედ მთელი მოძრაობის დედაარსს არდამავალ პერიოდში, რევოლუციის განვითარების კანონს. ამიტომ პროლეტარული სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის შესწავლა გარდამავალი ეკონომიკის სხვადასხვა საფეხურზე ნიშნავს ამასთანავე ერთად განვითარების გაბატონებული კანონების შესწავლასაც, კლასობრივი ბრძოლის იმ ფორმების შესწავლას, რომელთაც გაბატონებული პროლეტარიატი იყენებს სოციალიზმის გამარჯვებისათვის. პარტიის ეკონომიური პოლიტიკა წარმოადგენს საბჭოთა მეურნეობის თეორიის ანუ გარდამავალი პერიოდისა და სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის შინაარსს.

კომუნისტების პარტიის გარეშე შეუძლებელია ძლევამოსილი პროლეტარული დიქტატურის არსებობა. პარტია—ეს პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა, პარტია—ეს პროლეტარიატის დიქტატურის იარაღია, რომელსაც მუშათა კლასი იყენებს ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად, პროლეტარული სახელმწიფოს განსამტკიცებლად, სოციალიზმის ეკონომიური ფუნდამენტის შესაქმნელად, კლასების მოსასპობად. ამიტომ პარტია, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურას ხელმძღვანელობს, უდიდეს საწარმოო როლს ასრულებს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკაში.

ოპორტუნისტებს არ ესმით პარტიის ხელმძღვანელი როლი პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში. ჯერ კიდევ რ. ს. დ. მ. პ-ის II ყრილობაზე ტროცკი იცხადებდა: „დიქტატურა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა სოციალ-დემოკრატიული პარტია და მუშათა კლასი გაიგივებასთან დაახლოებულნი იქნებიან“ (რ. ს. დ. მ. პარტიის II ყრილობის ოქმები, პარტგამომცემლობა, 1932 წ. გვ. 137). სწორედ ეს ნიშნავს პარტიის როლის გაუგებრობას, პარტიის, როგორც მუშათა კლასის ავანგარდისა, როგორც ხელმძღვანელი ძალისა პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში.

პარტიის გენერალური ხაზი განსაზღვრავს პროლეტარული სახელმწიფოს ეკონომიურ პოლიტიკას, და ამასთან ერთად ჩვენი მოძრაობის კანონზომიერებასაც. პარტიის პოლიტიკა, გამოხატული სტალინის ექვს ისტორიულ პირობაში, წარმოადგენს ეკონომიური განვითარების რეალურ კანონზომიერებას, შეგნებულად განსაზღვრულს პარტიის მიერ, რომელიც სათვალავში იღებს ამ კანონზომიერების გამარჯვების უზრუნველმყოფელ „ობიექტურ“ შესაძლებლობათ.

პარტიის ეკონომიურ პოლიტიკას ტროცკისტი სმილგა იმ სამეურნეო პოლიტიკას უწოდებს, რომელიც შენდება ისეთ „არაპირდაპირ ღონისძიებათა სისტემის სახით, რომელნიც ეკონომიური განვითარების ობიექტურად (სტიქიურად) ჩამოყალიბებულ ტენდენციათა აღრიცხვიდან გამომდინარეობენ“. სმილგას არ სურს აღიაროს ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ პარტიის ეკონომიური პოლიტიკა მიმართულია ეკონომიური განვითარების სტიქიურად ჩამოყალიბებულ ტენდენციათა მოსასპობად, რომ ამ ტენდენციებს არ ძალუძთ პარტიის პოლიტიკის განსაზღვრა.

გარდამავალი პერიოდის თანამედროვე ეტაპის უაღრესად მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს პარტიული ორგანიზაციის აგება საწარმოო პრინციპის მიხედვით, და ასევე პარტიული და საბჭოთა აპარატების განსაზღვრული მოქნილი შეერთება (სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებანი, პოლიტგანყოფილებანი ტრანსპორტზე). ამაში იჩენს თავს აგრეთვე პარტიის საწარმოო როლი ეკონომიკაში. ლ ე ნ ი ნ ი, აყენებდა რა ც. საკ-კ.—მ. გ. ინსპექციის სახით პარტიული და საბჭოთა აპარატების შეერთების ამოცანას, შემდეგ საკითხს სვამდა: როგორ შეიძლება პარტიული დაწესებულებების საბჭოთა დაწესებულებებთან შეერთება და არის რამე აქ დაუშვებელი თუ არა?

„ნუთუ საბჭოთა დაწესებულების პარტიულთან ეს მოქნილი შეერთება“,— სწერდა ლ ე ნ ი ნ ი, „არ წარმოადგენს არაჩვეულებრივი ძალის წყაროს ჩვენს პოლიტიკაში? მე ვფიქრობ, რომ ის, რამაც თავისი თავი გაამართლა, რაც განმტკიცდა ჩვენს საგარეო პოლიტიკაში და უკვე ჩვეულებაში შევიდა ისე, რომ არავითარ დაეჭვებას აღარ იწვევს ამ დარგში,—სულ მცირე რომ ვთქვათ, ისევე მოხდენილი იქნება (მე კი ვფიქრობ, რომ ბევრად უფრო მოხდენილი იქნება) მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატის მიმართაც“ (ტ. XXVII, გვ.413).

პოლიტგანყოფილებების მოწყობა სოფლის მეურნეობაში და ტრანსპორტზე ამ ლენინური ხაზის გაგრძელებას წარმოადგენს. ამაში მჟღავნდება პარტიის უდიდესი როლი სოციალისტურ რეპროდუქციაში, პოლიტიკის როლი და მნიშვნელობა ეკონომიკაში. როგორც ორგანიზატორი წარმოებისა და ხელმძღვანელი კლასობრივი ბრძოლისა, პარტია უდიდეს რევოლუციურ ძალას წარმოადგენს.

პარტიის ეკონომიურ პოლიტიკას, რომელიც სინამდვილეთ იქცევა პროლეტარიატის დიქტატურაზე დაყრდნობილი მილიონი მუშებისა და კოლმეურნეების პრაქტიკით, ეკონომიური განვითარების კანონის უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე კაპიტალისტური საზოგადოების მოძრაობის რომელიმე სტიქიურ კანონს.

ამიტომ შემთხვევით როდი ვსწავლობთ ჩვენ გარდამავალი პერიოდისა და სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიაში პარტიის ეკონომიურ პოლიტიკას, პარტიის ბრძოლას თავისი გენერალური ხაზის სისწორისათვის. ბრძოლა ოპორტუნიზმთან და შემარიგებლობასთან—ოპორტუნიზმის ამ მშიშარა ფორმასთან—იმ ბრძოლის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მოძრაობის სოციალისტური კანონების გამარჯვებისათვის სწარმოებს გარდამავალ პერიოდში.

მემარჯვენე ოპორტუნისტები საზოგადოებრივი განვითარების კანონებს გარდამავალ პერიოდში ისე განიხილავენ, როგორც პროლეტარიატის დიქტატურისათვის გარედან იძულებით თავმოხვეულ, მისგან დამოუკიდებელ, ე. ი. ობიექტურ კანონებს სტრუვიანული და არა ლენინური გაგებით. ასეთია შრომითი დანახარჯის „კანონი“ ბუხარინისა, თეორია თვითდინებისა, თეორია ეკონომიურ წყობათა წონასწორობისა. პროლეტარიატისა და პარტიის დიქტატურის აქტიური როლი ეკონომიკაში მემარჯვენე უკლონისტებს არ ესმით, „ამტკიცებენ“ რა ისინი საზოგადოებრივი განვითარების მარადიული და უცვლელი კანონების არსებობას. მემარჯვენე გადახრა სწორედ იმიტომ წარმოადგენს მთავარ საშიშროებას ამჟამად, რომ იგი გამოხატავს კერძო კაპიტალისტური და წვრილ მესაკუთრული სტიქიის წინააღმდეგობას განვითარების ახალი, სოციალისტური კანონების მიმართ.

მემარჯვენე ოპორტუნისტებისათვის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს საზოგადოების ისეთი გაგება, როგორც წონასწორობის სისტემისა, ხოლო სახელმწიფოსი კი—როგორც ამ წონასწორობის დამატებითი პირობისა.[1] არავითარ კლასობრივ ბრძოლაზე კაპიტალისტური ტენდენციების მოსპობისა და განვითარების სოციალისტური კანონების გამარჯვებისათვის აქ ლაპარაკი არ შეიძლება. თუ სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, როგორც ამას ბუხარინი სწერს, შეხამებულ უნდა იქნას ეკონომიურ ორგანიზაციასთან“ (გვ. 169), მაშინ ლაპარაკიც შეუძლებელია პროლეტარული სახელმწიფოს აქტიური როლის შესახებ კაპიტალისტური ეკონომიკის ნაშთების მოსპობისა და ახალი, სოციალისტური ეკონომიკის შექმნის საქმეში. განვითარების იმ კანონების გამარჯვება, რომელთაც მემარჯვენე უკლონისტები ქადაგებდენ, კაპიტალიზმის ზეიმამდე მიგვიყვანდა. პარტიამ, რევოლუციურმა მუშათა კლასმა არამც თუ არ დაუშვებს განვითარების კაპიტალისტურ ტენდენციათა გამარჯვება, არამედ ისინი მათ უკვე ძირითადად მოსპეს.

„მემარცხენე“ გადახრას, რომლის იდეურ მამასაც კონტრრევოლუციური ტროცკიზმი წარმოადგენს, არ ესმის გარდამავალი პერიოდის ეტაპების ისტორიული კავშირი, მოძრაობის იმ კანონების ისტორიული და მატერიალური განსაზღვრულობა, რომელთაც პროლეტარიატის დიქტატურა საზღვრავს, არ ესმის რევოლუციის დაუმთავრებელ ეტაპებზე გადახტომის დაუშვებლობა და კლასობრივი ბრძოლის ფორმა. ამაში მდგომარეობს სამეურნეო ანგარიშის, სოციალიზმის მშენებლობაში ფულის როლის, საბჭოთა ვაჭრობის მნიშვნელობის და სასოფლო-სამეურნეო არტელის—როგორც მოცემულ ეტაპზე საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითადი ფორმის—„მომემარცხენო“ შეუფასებლობის მთელი შინაარსი.

ტროცკიზმი ეკლექტიურად აერთებს საბჭოთა ეკონომიკაში ღირებულების კანონის და მსოფლიო კაპიტალისტური ბაზრის კანონების ბატონობის აღიარებას (როგორც ამას ჩადიან სოციალ-ფაშისტები და მავნებლები—გრომანი, ბაზაროვი) მოძრაობის კანონების ვოლუნტარისტულ, ე. ი. იდეალისტურ გაგებას-

[1] იხ. ბუხარინი, Теория исторического материализма. 1923 წ. გვ. 168.

თან, რომელსაც მივყევართ ავანტურიზმსა და ლიკვიდატორობამდე როგორც თავის შედეგამდე.

ტროცკისტების კონტრრევოლუციური იდეალიზმი რევოლუციის სიძნელეთა წინაშე კაპიტულიაციის მეორე მხარეს წარმოადგენს. გაბრაზებულ წვრილ ბურჟუას სურს ერთბაშად, გარდამავალი პერიოდის გვერდის ავლით, მოახდინოს თავბრუდამხვევი ნახტომი სოციალისტურ „სამოთხეში“. მაგრამ ასეთი ნახტომი შეუძლებელია, ვინაიდან პროლეტარიატის დიქტატურა მოძრაობის კანონებს განსაზღვრავს, გამოდის რა საწარმოო ძალების განვითარების მიღწეული საფეხურიდან და კლასების თანაფარდობიდან. აქ არაა თვითნებობა და არც შეიძლება მას ადგილი ჰქონდეს; საჭიროა ხანგრძლივი კლასობრივი ბრძოლა მოძრაობის ძველი კანონების მოსასპობად და ახალი კანონების გასამარჯვებლად. მაგრამ წვრილ ბურჟუას არ სურს და არც შეუძლია იბრძოლოს, იგი ქედს იხრის კაპიტალიზმის წინაშე.

ტროცკისტების „თეორეტიულ“ ვარჯიშობათა გამოსავალ „ბაზისს“ წარმოადგენს მათ მიერ პარტიისა და პროლეტარიატის დიქტატურის საწარმოო ძალის უარყოფა, მტკიცება პროლეტარული სახელმწიფოს ბიუროკრატიულსა და ბურჟუაზიულ გადაგვარებაზე. ტროცკი ჯერ კიდევ 1926 წელს (ც. კ. ც. საკ. კ-ის პლენუმი 14—23 ივლისი, 1926 წ.) „ამტკიცებდა“, რომ საბჭოთა სახელმწიფო—„სრულიადაც არაა პროლეტარული სახელმწიფო, რომ იგი მოძრაობს კულაკის მიმართულებით. ეს მტკიცედ დაკავშირებულია ტროცკიზმის „მოძღვრებასთან“ საბჭოთა კავშირში განვითარების სოციალისტური კანონების გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ, საბჭოთა ეკონომიკაში მსოფლიო კაპიტალისტური ბაზრის სტიქიური კანონების ბატონობის შესახებ, გლეხობის განვითარების კაპიტალისტურ ტენდენციათა ბატონობის შესახებ.

რატომ ღა გაიმარჯვეს განვითარების სოციალისტურმა კანონებმა, რომელნიც განსაზღვრული იყვენ ლენინური პარტიის მიერ, და არა იმ კანონებმა, რომელთა თავზე მოხვევასაც მემარჯვენე უკლონისტები და ტროცკისტები ცდილობდენ, თუმცა მოძრაობის იმ კანონებს, რომლებსაც ისინი ჰადაგებდენ, განსაზღვრული კლასობრივი ნიადაგი ჰქონდათ ჩვენს ქვეყანაში?

მათ გაიმარჯვეს მუშათა კლასის იმ პარტიის მხრივ წარმოებული წინააღმდეგობის მეოხებით, რომელმაც დაამსხვრია ოპორტუნიზმი, გაიმარჯვეს იმ მუშათა კლასის წინააღმდეგობის შემწეობით, რომელმაც დაამსხვრია კაპიტალისტური ელემენტები და ძირითადად გადალახა წვრილბურჟუაზიული სტიქიის წინააღმდეგობა, მიმართული სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ. ამაში კვლავ მჟღავნდება პარტიის უდიდესი როლი სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში.

VI

პროლეტარიატის და პარტიის დიქტატურის მნიშვნელობა უფრო ნათლად მოსჩანს ეკონომიკაში, საბჭოთა კავშირში სოციალიზმის ეკონომიური ფუნდამენტის აშენებაში, გარდამავალი პერიოდის მთელ რიგ წინააღმდეგობათა მოსპობაში და საზოგადოებრივი შრომის განაწილების ახალი ტიპის შექმნაში.

პროლეტარიატის დიქტატურამ მიგვიყვანა სოციალიზმის ეკონომიური ფუნდამენტის შექმნამდე, ე. ი. საბჭოთა კავშირში წარმოების გაბატონებული და აბსოლუტურად გადაჭარბებული სოციალისტური წესის შექმნამდე. სოციალიზმის ეკონომიური ფუნდამენტის შექმნა, გათვალისწინებული პარტიისა და სახელმწიფოდ ორგანიზებული პროლეტარიატის მიერ, რომელიც შეგნებულად მიმართავს რევოლუციის ყველა ძალებს სოციალიზმის ამ ეკონომიური ფუნდამენტის გამარჯვებისაკენ,—ნათლად მოწმობს იმას, რომ სწორედ პროლეტარიატის დიქტატურა ქმნის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ახალ წყობილებას და, მაშასადამე, საზოგადოებრივი განვითარების კანონებსაც განსაზღვრავს.

ავიღოთ ისეთი სტიქიური კანონზომიერება, რომელსაც ადგილი აქვს გარდამავალ პერიოდში და როგორიცაა გლეხების სასაქონლო-კაპიტალისტური ტენდენცია. არავის არ შეუძლია უარყოს, რომ ამ სასაქონლო-კაპიტალისტური ტენდენციის ფესვები უკვე ამოგდებულია, რომ ძირითადად მოსპობილია გლეხობის დიფერენციაცია კულაკებად და ღარიბებად, შეძლებულ და შეუძლებელ ელემენტებად. აშენებულია საბჭოთა მეურნეობანი, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, კოლმეურნეობანი, რომელნიც ანხორციელებენ გაფართოებულ რეპროდუქციას განვითარების სოციალისტური კანონების საფუძველზე. ეს კი ნიშნავს, რომ მუშათა კლასი, ორგანიზებული თავის საკუთარ პროლეტარულ სახელმწიფოდ, აწესებს განვითარების სოციალისტურ კანონებს და სპობს სასაქონლო-კაპიტალისტურ ტენდენციებს.

პროლეტარიატის დიქტატურა გარდამავალი პერიოდის კლასობრივ წინააღმდეგობებს იმით სწყვეტს, რომ ამ წინააღმდეგობათ სპობს კლასების მოსპობასთან ერთად. კაპიტალისტური საზოგადოების მოძრაობის კანონები მხოლოდ მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ფ ო რ მ ა ს აძლევენ კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს. პროლეტარიატის დიქტატურა გარდამავალი პერიოდის წინააღმდეგობათ იმით სწყვეტს, რომ ს პ ო ბ ს მათ თვით მოძრაობის ფორმის მოსპობასთან ერთად. ამრიგად, მუშათა კლასი სწყვეტს სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ანტაგონიზმს საბჭოთა კავშირში იმით, რომ ლიკვიდაციას უშვებს კაპიტალისტურ კლასებს და წვრილ საქონელმწარმოებლებს სოციალისტურ მუშაკებად გარდაქმნის.

შეუძლია თუ არა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მოსპოს გაფართოებული კაპიტალისტური რეპროდუქციის წინააღმდეგობანი? რასაკვირველია, არა. იგი თვით განიცდის აფეთქებას ამ სტიქიურ წინააღმდეგობათა ზეგავლენით, წინააღმდეგობათა, რომელნიც დაკავშირებული არიან კაპიტალიზმის განვითარების სპეციფიურ კანონებთან (ზედმეტი ღირებულება, კაპიტალისტური დაგროვების საერთო კანონი, კრიზისები).

შეუძლია თუ არა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შესცვალოს შრომის საზოგადოებრივი განაწილება, დამახასიათებელი კაპიტალისტური რეპროდუქციისათვის? რამოდენიმედ არსებითად მას არ შეუძლია შესცვალოს სტიქიურად და იძულებით ჩამოყალიბებული პროპორციები. პირიქით, პროლეტარიატის დიქტა-

ტურამ, უზრუნველყო რა სოციალიზმის ეკონომიური ფუნდამენტის შექმნა, ძირფესვიანად შესცვალა შრომის საზოგადოებრივი განაწილების პროპორციები.

კაპიტალიზმის არსებობის პირობებში შრომის განაწილების პროპორციებს აწესებს წარმოების ფასის სტიქიური კანონი, მოგების საშუალო ნორმის კანონი. გარდამავალ პერიოდში პროლეტარული სახელმწიფო კლასობრივი ბრძოლის მსვლელობაში შეგნებულად და გეგმაშეწონილად თავისი ეკონომიური პოლიტიკით საზოგადოებრივი შრომის განაწილების ახალ, სოციალისტურ პროპორციებს აწესებს.

საბჭოთა კავშირის მრეწველობაში მანქანათმშენებლობის ხვედრითი წონა 1913 წელს მხოლოდ 6,6 პროცენტს შეადგენდა. ყოფილი რუსეთი რომ კაპიტალისტურ ქვეყნად დარჩენილიყო, იგი იძულებული იქნებოდა დამორჩილებოდა მსოფლიო კაპიტალიზმის კანონებს, რომელთაც რუსეთი მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ნედლეულის დანამატის როლის შესრულებისაკენ მიყავდათ. მოძრაობის კანონები საბჭოთა კავშირში პროლეტარიატის დიქტატურის ბატონობის მეოხებით ძირფესვიანად შეიცვალა. და ჩვენ ვხედავთ უდიდეს ისტორიულ შედეგს: ჩვენი ქვეყნის მრეწველობაში მანქანათმშენებლობის ხვედრითი წონა 1928 წელს უკვე 9,3 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 1932 წელს იგი 21 პროცენტსაც კი უდრიდა. ჩვენ უკვე გაუსწარით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, ვინაიდან ამერიკაში 1929 წელს მანქანათმშენებლობა მთელი პროდუქციიდან მხოლოდ 17,2 პროცენტს შეადგენდა, გერმანიაში 1927/28 წელს—10,8 პროცენტს, ხოლო ინგლისში 1930 წელს—13,8 პროცენტს.

ამრიგად, დამარცხებული აღმოჩნდა მავნებლების ცდა, რომელიც იქითკენ იყო მიმართული, რომ საზოგადოებრივი შრომის განაწილების სოციალისტური პროპორციები შრომის მსოფლიო კაპიტალისტური დანაწილების კანონებისათვის დაემორჩილებია. მავნებელ ბაზაროვს სურდა დაემტკიცებია, რომ „შრომის საერთაშორისო დანაწილების იდეა, იდეა საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა რაციონალური დარაიონებისა მსოფლიო მასშტაბით, არა ნაკლებად სავალდებულოა გენერალური გეგმისათვის, ვიდრე საბჭოთა კავშირის რაციონალური დარაიონების პრინციპები", „პლანოვოე ხოზიაისტვო", № 7, 1926 წ. გვ. 15). ბაზაროვის კონტრრევოლუციური „ოცნება" არ განხორციელდა: საბჭოთა ქვეყანა გახდა პირველხარისხოვანი ინდუსტრიალური და მასთან დამოუკიდებელი სოციალისტური ქვეყანა.

დამარცხებული აღმოჩნდა მავნებლებისა და ოპორტუნისტების ცდა აეფეთქებიათ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია გლეხობასთან დაკავშირებისათვის ბრძოლის დროშის ქვეშ (მავნებლები, მემარჯვენე უკლონისტები), ხოლო საქმით კი კულაკის საერთაშორისო ბურჟუაზიასთან დაკავშირებისათვის. დამარცხებული აღმოჩნდა ტროცკისტების ცდაც შეეცვალათ საგარეო ვაჭრობის პროლეტარული მონოპოლია ვითომდა სოციალისტური, მაგრამ საქმით კი ბურჟუაზიული მრეტექციონიზმის პოლიტიკით. პროლეტარული სახელმწიფო იცავს თავის ბრძანებელ მწვერვალებს, ვინაიდან საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის მოსპობა — ეს ნაბიჯის გადადგმა იქნებოდა იქითკენ, რომ საბჭოთა ეკონომიკა მსოფლიო კაპიტალისტური ბაზრის კანონებს დამორჩილებოდა.

VII

კლასობრივი ბრძოლის ერთ ფორმათაგანს და იმავე დროს პროლეტარიატის დიქტატურის ერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეტთაგანს წარმოადგენს სოციალისტური გეგმა. გეგმა—ეს მილიონი მუშების შეგნებული რევოლუციური პრაქტიკაა, მიმართული გარდამავალ პერიოდში კლასების მოსპობისა და სოციალისტური საზოგადოების აშენებისაკენ. ეს არა კერძო, არამედ სახელმწიფოებრივი—სამეურნეო შეგნება და პრაქტიკული მოქმედება მუშათა კლასისა (იხ. ლენინი, ტ. XXIII, გვ. 10).

გეგმიანი დასაწყისის ბატონობა არ წარმოადგენს გარდამავალი პერიოდის ძირითად დამახასიათებელ თვისებას. გარდამავალ პერიოდში ძირითადია პროლეტარიატის დიქტატურის ბატონობა. მაგრამ უკვე გარდამავალ პერიოდში, და არა მარტო კომუნისტურ საზოგადოებაში, სოციალისტური გეგმა იძენს იმ საზოგადოებრივი განვითარების კანონის ძალას, რომელსაც გარდამავალი პერიოდის ყველა დამახასიათებელი თვისება აქვს.

გეგმა გარდამავალ პერიოდში კლასობრივი ბრძოლის ფორმაა. ჩვენ გვაქვს გეგმა კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისა და კლასების მოსპობისა საზოგადოდ—გეგმა პირველი და მეორე ხუთწლედისა. მაგრამ მუშათა კლასი სოციალისტურ გეგმებს ანხორციელებს კლასობრივი ბრძოლის გაშლის წესით და არა იმ წესით, რომ, ვთქვათ, სალიკვიდაციო კულაკობის მიმართ გეგმიან იდეათა პროპაგანდა გასწიოს.

სოციალისტური გეგმების განხორციელების მეთოდები სხვადასხვანაირია იმისდამიხედვით, ვლაპარაკობთ ჩვენ სოციალისტურ საწარმოზე, თუ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობაზე. ეს მეთოდები სხვადასხვანაირია აგრეთვე გარდამავალი ეკონომიკის სხვადასხვა ეტაპების მიმართ გამოყენების მხრივაც.

ეკონომისტებს, რომელნიც უარყოფენ გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის გეგმის წამყვან მნიშვნელობას გარდამავალი ეკონომიკის პირველ ეტაპებზე, ჩვეულებრივად გეგმა სახელმწიფო საგეგმო კომისიის დოკუმენტებამდე, საკონტროლო ციფრებამდე დაყავთ. მათ არ ესმით, რომ საკონტროლო ციფრების შედგენამდეც უკვე არსებობდა სოციალისტური გეგმა. საკმაოა გავიხსენოთ გოელროს გეგმა, რომელიც ნავარაუდევი იყო იმ ანგარიშით, რომ ყოფილ რუსეთში შექმნილიყო კომუნიზმის მშენებლობის მატერიალური ბაზა. მათ ავიწყდებათ ის, რაც სტალინმა სთქვა სწორედ მათი მისამართით.

„უაზრობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ საწარმოო გეგმა ციფრებისა და დავალებათა ჩამოთვლაში გამოიხატება. სინამდვილეში საწარმოო გეგმა მილიონი ხალხის ცოცხალი და პრაქტიკული საქმიანობაა“ („ლენინიზმის საკითხები“, რუს. გამოც., გვ. 603).

სოციალისტური გეგმის როლის შეუფასებლობა განსაკუთრებით დაუშვებელია თანამედროვე ეტაპზე, როდესაც პროლეტარული სახელმწიფოს გეგმიან ზემოქმედებისადმი უკვე ძირითადად მთელი სახალხო მეურნეობა დაქვემდებარებულია.

იმაზე მეტი უაზრობა არ არსებობს, ვიდრე გეგმის და პროლეტარიატის დიქტატურის დაპირდაპირებაა. პროლეტარიატის დიქტატურა განსაზღვრავს საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, სრულიად ისე როგორც კომუნიზმის დროს ამას იზამს შეკავშირებული მწარმოებელთა საზოგადოება. გეგმა—ეს პროლეტარიატის დიქტატურის ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეთაგანია და ამ დიქტატურის გარეშე შეუძლებელია რამე გეგმაშეწონილი მოძრაობა გარდამავალ პერიოდში.

უკანასკნელ დროს მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში პროფესორები და ბირჟაზე მოსაქმენი ცდილობენ „დაგეგმონ“ კაპიტალისტური წარმოება და მიმოქცევა. დაგეგმვა კაპიტალისტურ ქვეყნებში მოდაში შემოსულ საქმედ იქცა. რეპროდუქციის დაგეგმვა იმგვარად ესმის კაპიტალისტური მონოპოლისტების სახელმწიფოს ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატებში, რომ მთავრობა მრეწველების დარგობრივ მონოპოლისტურ გაერთიანებებთან ერთად ეგრეთწოდებული „მართებული“ კონკურენციის სტანდარტულ ნორმებს აწესებს. ლაპარაკია პროდუქციის გამოშვების ნორმებზე, შრომისა და ხელფასის პირობებზე. ის სარეწაონი, რომელნიც ამ ნორმებს ასრულებენ, ლიცენზიებს ღებულობენ, ხოლო ისინი კი, რომელნიც ამ ნორმებს არ ასრულებენ, კარგავენ ლიცენზიებს და, მაშასადამე, უფლებასაც წარმოების გასაგრძელებლად. ამრიგად, ბურჟუაზიული სახელმწიფოს როლი ძლიერდება ეკონომიკაში კაპიტალიზმის ზოგადი კრიზისის პერიოდში. მაგრამ შეუძლია თუ არა ამ „დაგეგმვას“ შესცვალოს კაპიტალიზმის განვითარების კანონები? ცხადია, არა.

ამერიკული კაპიტალიზმის „დაგეგმვის“ პროექტები სხვას არაფერს არ აღნიშნავენ, გარდა კაპიტალის კონცენტრაციის იმ სტიქიური კანონის აღიარებისა და გაძლიერებისა, რომელიც მარქსმა გამოამჟღავნა, ხოლო ლენინმა კი მას ხაზი გაუსვა განსაკუთრებით იმპერიალიზმის ეპოქისათვის. ესაა იმ წვრილი და საშუალო კაპიტალისტების განადგურების გაძლიერება, რომელთაც კიდევ შეინარჩუნეს არსებობა მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქაში. კაპიტალიზმის მოძრაობის კანონები, აღმოჩენილნი მარქსისა და ლენინის მიერ, აღიარებას პოულობენ ბურჟუაზიული სახელმწიფოების მხრივ, რომელნიც ცდილობენ ამ კანონების მხოლოდ მოქმედება დააჩქარონ.

კანონი „ნაციონალური აღორძინების“ შესახებ, გამოცემული ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიშნავს მონოპოლიის ბატონობის აღიარებას თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში, ე. ი. ნიშნავს ლენინის მიერ გამომჟღავნებული იმ სტიქიური კანონის აღიარებას, რომელიც წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციიდან აღმოცენდება. რუზველტის კანონები „ნაციონალური აღორძინების“ შესახებ არსებითად აუქმებენ ძველ, რეაქციონურ კანონს ტრესტების წინააღმდეგ და აჩქარებენ წარმოების და მიმოქცევის კაპიტალისტურ მონოპოლიზაციას.

ამერიკული კაპიტალიზმის ცდები ეკონომიკაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების გასაძლიერებლად მოასწავებენ მუშათა კლასის გაღატაკების კაპიტალისტური კანონის გამწვავებას; შრომისა და ხელფასის ის ნორმები, რომელნიც გათვალისწინებული არიან „მართებული“ კონკურენციის კოდექსში, ჩრდ.

ამ. შეერთ. შტატების მუშათა ხელფასის სამშიერო მინიმუმის ნორმას წარმოადგენენ.

მონოპოლისტური კაპიტალიზმი ცდილობს ობივატელების ილუზიებზე კაპიტალიზმის "მ'ვიდობიანი", „გეგმაშეწონილი" განვითარების შესახებ თავისი სისხლიანი საქმეები მოაგვაროს. მაგრამ წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია ანვითარებს ისეთ წინააღმდეგობათ, მასების ისეთ სიღატაკეს, რომ კაპიტალიზმის კრიზისს კიდევ უფრო გამწვავებულად ხდის. ამიტომ, „ნაციონალური აღორძინების" „გეგმები" კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავებას იწვევენ და პროლეტარიატის დიქტატურის მოახლოებას აუცილებლად ხდიან. მართალი იყო ს. ჩ ე ი ზ ი, რომელმაც განაცხადა, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში „ფინანსიური სტრუქტურა გონივრულ რეგულირებას ემორჩილება დაახლოებით იმავე ზომით, როგორც მექსიკის ყურეში სექტემბრის გრიგალი" („ამერიკის აყვავება—ფაქტია ან მითი". 1930 წ. გვ. 11).

მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას, რომელიც ისეთი ბერკეტებით სარგებლობს, როგორიცაა სოციალისტური გეგმა, შეუწევს ძალა მოსპოს განვითარების კაპიტალისტური კანონები, კრიზისების კანონები. ცნობილია, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში კრიზისებს ადგილი აქვს კაპიტალიზმის განვითარების მომენტიდანვე. კრიზისებს კაპიტალისტურ ქვეყნებში, ყოველშემთხვევაში XIX საუკუნეში, წინუსწრებდა აღმავლობის ფაზები, რომელნიც ბიძგს ღებულობდენ ჩვეულებრივად ძირითადი კაპიტალის სახით მასიურ დაბანდებათაგან, ძირითადი კაპიტალის ხელახალი მოწყობისაგან. აღმავალი პერიოდის დასასრულს, როცა ძირითადი კაპიტალის განახლება სრულდებოდა, ხოლო ახალი ძირითადი კაპიტალი ექსპლოატაციაში შედიოდა,—მასების სიღატაკის პირობებში, კერძო მითვისების ბატონობის პირობებში, საზოგადოებრივი რეპროდუქცია მკვეთრად სწყდებოდა და გამანადგურებელი კრიზისი მოღვენდებოდა. ასეთია კაპიტალიზმის მოძრაობის კანონი.

მოძრაობის ეს კანონი პროლეტარულმა სახელმწიფომ მოსპო, მიუხედავად დაღუპვის გზაზე შემდგარი კლასების, მავნებლების, მემარჯვენე ოპორტუნისტების და ტროცკისტების წინააღმდეგობისა.

1933 წლის 1 იანვრისათვის ძირითადი ფონდები საბჭოთა კავშირში განახლებული იყო 60 პროცენტზე მეტი რაოდენობით; პირველი ხუთწლედის განმავლობაში ექსპლოატაციაში შესულია ძირითადი ფონდები 40,5 მილიარდი მანეთის რაოდენობით, რაც ჩვენი ქვეყნის ძირითადი ფონდების გაორკეცებას ნიშნავს. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ძირითადი კაპიტალის რამოდენიმედ მასიური ზრდა მკვეთრი კრიზისის მომასწავებელი იქნებოდა, ვინაიდან მუშათა კლასის გაღატაკების პირობებში არ შეიძლებოდა რეალიზებული ყოფილიყო ახალ საწარმოთა პროდუქციის გადიდებული მასა.

საბჭოთა კავშირი დარწმუნებით მიდის გამარჯვებიდან გამარჯვებამდე, არ ეშინია კრიზისების, ვინაიდან იმავდროულად ძირითადი ფონდების განახლებასთან ერთად პარტია მეორე ხუთწლედში სულადი მოხმარების გაორმაგებას სახავს. ეს გვიჩვენებს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა, სარგებლობს რა გეგ-

მიანი ზემოქმედებით სახალხო მეურნეობაზე, სპობს მოძრაობის ძველ, კაპიტალისტურ კანონებს და საზღვრავს ახალ, სოციალისტურ კანონებს.

პროლეტარიატის დიქტატურა, ანხორციელებს რა გეგმაშეწონილ სოციალისტურ მშენებლობას, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა დარგში იჭრება. იგი ამსხვრევს საზოგადოებრივი ყოფაცხოვრების ძველ წყობას.

ისეთი დიადი მშენებლობა, როგორიც ბელომორსკი-ბალტიის არხია, ამსხვრევს საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ ჩვეულებებს და კანონებს, რომელნიც საუკუნოებით არიან განმტკიცებული. ხალხის ახალი მილიონები პოლიტიკამდე, კულტურამდე მაღლდებიან.

ახდენს რა ადამიანთა ურთიერთობებში გადატრიალებას, უფრო მნიშვნელოვანს, ვიდრე დღემდე რომელიმე გადატრიალება ყოფილა, ისეთ გადატრიალებას, რომელსაც შეიძლება შეედაროს მხოლოდ გადასვლა მაიმუნიდან ადამიანზე,—პროლეტარიატის დიქტატურა სცვლის, როგორც სჩანს, ბუნების კონონებსაც: ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას. მამაკაცის სიცოცხლის ხანგრძლივობა მეფურ რუსეთში 1907—1910 წლებში საშუალოდ შეადგენდა 31,9 წელს, ხოლო საბჭოთა კავშირში კი ეს ხანგრძლივობა უკვე 1926—27 წლებში 41,9 წელს უდრიდა. დედაკაცის სიცოცხლის ხანგრძლივობა უდრიდა 1907—1910 წლებში 33,9 წელს, ხოლო 1926—27 წლებში კი—46,8 წელს.

გარდამავალი პერიოდი ნიშნავს ნახტომს სტიქიური კანონების სამეფოდან იმ კანონების სამეფომდე, რომელნიც შეგნებულად და მიღწეულ მატერიალურ პირობებთან თანაშეზომილად თვით ადამიანების მიერ განისაზღვრებიან, ამჟამად განისაზღვრებიან ისინი მუშათა კლასის, კომუნისტური პარტიის მიერ, ხოლო მომავალში კი მათ კომუნისტური საზოგადოების ყველა მუშაკები განსაზღვრავენ.

ენგელსი—პროლეტარიატის გაღატაკების შესახებ კაპიტალიზმის დროს [1]

ენგელსის ბროშურა ჯამს უკეთებს მრავალი წლის პოლემიკას, წარმოშობილს იმ ბრალდების ირგვლივ, რომელიც ბრენტანოს მიერ იყო წამოყენებული მარქსის მიმართ გერმანელ მრეწველთა კავშირის „კონკორდია"-ს ორგანოში მოთავსებულ ანონიმურ წერილში. ბრენტანო ბრალს სდებს მარქსს იმაში, თითქოს მას „კაპიტალის" პირველ ტომში არასწორად მოეყვანოს ციტატის სახით გლადსტონის სიტყვა პალატაში, თითქოს მას „შეეთხზას" შემდეგი ფრაზა: „სიმდიდრისა და ძლიერების ეს განსაცვიფრებელი ზრდა მთლიანად განისაზღვრება შეძლებული კლასებით".

„ბრენტანოს ამ ანონიმურ გამოლაშქრებასთან დაკავშირებით გაჩაღებულ პოლემიკაში მარქსისა და ენგელსის მიერ დაურღვეველად იქნა დამტკიცებული, რომ აღნიშნული ფრაზა ნამდვილად წარმოთქმული იყო გლადსტონის მიერ. ამრიგად გერმანიის ბურჟუაზიული მეცნიერების ეს მომავალი მნათობი, კათედერ-სოციალიზმის მშვენიერება და სიამაყე, ახალი ისტორიული სკოლის მეთაური ლუი ბრენტანო, რომელმაც თავისი კარიერა მარქსის წინააღმდეგ ბინძური ანონიმური და გერმანელ ფაბრიკანტების კავშირის მიერ მოსყიდული გამოსვლებით დაიწყო, საჯაროდ იქნა სიცრუეში დაჭერილი. ამ პოლემიკის ყველა პერიპეტიათა შესახებ მნიშვნელოვან დეტალებს მკითხველი იპოვის ენგელსის წინასიტყვაობაში „კაპიტალის" I ტომის მეოთხე გამოცემისადმი. ენგელსის ბროშურა, რომელიც ბრენტანოს საპასუხოდ იყო დაწერილი, ამ ხანგრძლივი პოლემიკის მთელი ისტორიის დაწერილებით გადმოცემას წარმოადგენს. ბროშურის დანართის სახით მოცემულია ყველა დოკუმენტი, რომელიც კი ამ პოლემიკას შეეხება.

ა. ლეონტიევი.

დასასრულ, შევჩერდეთ კიდევ მოკლედ იმაზე, რაც გლადსტონმა სთქვა 1863 წელს თავისი საბიუჯეტო სიტყვის იმ ადგილას, რომელიც მართლაც ბრენტანოს წყალობით გახდა „ცნობილი", და იმაზე, რაც მარქსმა მისი

---

[1] ეს სტატია წარმოადგენს ენგელსის ბროშურის—„ბრენტანო contra მარქსი"—დასკვნით თავს და ამოღებულია მარქს-ენგელსის არქივის ეკონომიური—II (VII) ტომიდან.

ჩვენ საჭიროთ ვცანით პატარა განმარტების სახით მოგვეცა ამბ. ლეონტიევის მიერ ამ ტომისადმი მიძღვნილი წინასიტყვაობიდან ნაწილი, რომელიც მკითხველს ზოგად წარმოდგენას მისცემს ბროშურის წარმომშობი მიზეზებისა და შინაარსის შესახებ.

რედ.

ნათქვამიდან ციტატის სახით მოიყვანა, რაც მან „შეთხზა“ ან „დამალა“. რათა შეძლებისამებრ ბატონ ბრენტანოს სურვილს გავუყვეთ, საფუძვლად ავიღოთ შეუბღალავი „Hansard“-ი და მასთანვე ავიღოთ იგი მისივე საკუთარი თარგმანის მიხედვით.

„ათი წლის განმავლობაში—1842 წლიდან 1852 წლამდე, უკანასკნელის ჩათვლით, ქვეყნის დასაბეგრავი შემოსავალი,—რამდენადაც ამის გამორკვევა ჩვენ ზედმიწევნით შეგვეძლო,—6%-ით გაიზარდა, ხოლო რვა წლის განმავლობაში, 1853 წლიდან 1861 წლამდე, ქვეყნის შემოსავალი დასაწყის სიდიდესთან შედარებით კვლავ 20%-ით გაიზარდა. ეს იმდენად არაჩვეულებრივი და განსაცვიფრებელი ფაქტია, რომ იგი თითქმის დაუჯერებლად გვეჩვენება“.

ამ ფრაზის წინააღმდეგ, რომელიც მარქსის მიერ ციტატის სახითაა მოყვანილი, თვით ბრენტანო არაფერს არ ამბობს, გარდა მხოლოდ იმისა, თითქოს ეს ფრაზა აღებული იყოს „Theory ofthe Exchanges“-დან. მაგრამ ბრენტანოს ციტატის შესახებ აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ბრენტანოც „ნამდვილი საბიუჯეტო სიტყვის“ ციტატის სახით მოყვანისაგან ძლიერ დაშორებულია. იგი თავიდან იცილებს გლადსტონის შემდგომ ექსკურსს ამ განსაცვიფრებელი ზრდის მიზეზების საკითხის შესახებ და მრავალწერტილითაც კი არ აღნიშნავს გამოტოვებულ ადგილებს. შემდეგ ნათქვამია:

„ასეთია, ბატონო თავმჯდომარე, საქმის ვითარება, რამდენადაც ლაპარაკია დაგროვების საერთო ზრდაზე. რაც შემეხება მე, უნდა ვთქვა, რომ ამ არაჩვეულებრივ და თითქმის თავბრუდამხვევ ზრდას გულისტკივილით და დიდი შიშით შევხედავდი, თუ ვიფიქრებდი, რომ ეს ზრდა განისაზღვრება ადამიანთა იმ კლასით, რომელიც შეიძლება დახასიათებულ იქნას როგორც კეთილდღეობით მოსარგებლე კლასი. ციფრები, რომელნიც მე მოვიყვანე, სრულიად არ ასახავენ—ანდა ასახავენ ძლიერ სუსტად—იმათ მდგომარეობას, რომელნიც საშემოსავლო გადასახადს არ იხდიან, ანუ სხვა სიტყვებით: თუმცა საქმის ნამდვილი მდგომარეობის გამოსარკვევად ეს ციფრები საერთოდ სრულიად საკმარისია, მაგრამ ისინი სრულიადაც არ ასახავენ მუშათა მოსახლეობის საკუთრებას და მის შემოსავალთა ზრდას“.

ამას მოყვება შემდეგ, ბრენტანოს მიხედვით, ფრაზა, მარქსის მიერ „შეთხზული“, მაგრამ უეჭველად გლადსტონის მიერ თქმული, როგორც ამას 17 აპრილის დილის ყველა რვა გაზეთი მოწმობს.

„ზრდა, რომელიც მე ავწერე და რომელიც, ვფიქრობ, დამყარებულია უტყუარ ცნობებზე, წარმოადგენს ისეთ ზრდას, რომელიც მთლიანად განისაზღვრება საკუთრების მფლობელი კლასებით“ („Times“, „Morning Star,“ „Morning Advertiser“, „Daily Telegraph“). „იგი მთლიანად გახისაზღვრება კაპიტალის გადიდებით“ („Morning Herald“, „Standard“, „Daily News“ „Morning Post“).

„Hansard“-ი სიტყვა „შემოსავალთა“ შემდეგ მაშინვე განაგრძობს: „არაპირდაპირ, სხვათა შორის, კაპიტალის თვით უბრალო გადიდებაც კი უაღრესად ხელსაყრელია მუშათა კლასისათვის, ვინაიდან ეს გადიდება აიაფებს იმ საქონელს, რომელიც წარმოების მთელ პროცესში უშუალოდ შედის შრომასთან კონკურენციაში“.

მიუხედავად იმისა, რომ „Hansard"-ს არ მოყავს „ცნობილი" ფრაზა, იგი ამ საკითხში სრულიად იმავეს ამბობს, რასაც სხვა გაზეთები ამბობენ: მეტად არასასიამოვნო იქნებოდა ორატორისათვის, რომ ეს განსაცვიფრებელი ზრდა განისაზღვრებოდეს classes in casyy circumstances-ით [შეძლებული კლასებით]. თუმცა იგი დიდათ ნანობს ამას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მის მიერ აწირილი ზრდა იმ ადამიანებით განისაზღვრება, რომელნიც არ ეკუთვნიან მუშათა კლასს და რომელნიც საკმაოდ მდიდარნი არიან იმისთვის, რომ საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ, ხოლო ეს კი სინამდვილეში „მხოლოდ კაპიტალის გადიდებაა".

აქ კი, დასასრულ, მჟღავნდება ბრენტანოს რისხვის საიდუმლოება. იგი ამ ფრაზას კითხულობს დამფუძნებელ მანიფესტში, იქ პოულობს საბედისწერო აღიარებას, ჰქმნის თავისთვის „Hansard"-ის ვერსიას, ვერ პოულობს იგი საბედისწერო ფრაზას და ისწრაფვის ამცნოს მთელ ქვეყანას, რომ მარქსმა ფორმალურად და არსებითად „შეთხზა" ეს ფრაზაო! მარქსი უჩვენებს მას ამ ფრაზას „Times"-ში, „Morning Star"-ში, „Morning Advertiser"-ში. ახლა, დაბოლოს, ბრენტანომ, თუნდა მარტო გარეგნობის გულისთვის, უნდა ხელი მიყოს „ტექსტთა დაწვრილებით შედარებას". და რას ნახულობს იგი? იმას, რომ „Times"-ი, „Morning Star"-ი და „Morning Advertiser"-ი არსებითად სრულიად თანაემთხვევიან „Hansard"-ს. სამწუხაროდ იგი მხედველობიდან უშვებს იმას, რომ ამ შემთხვევაში „შეთხზული" ფრაზაც არსებითად უნდა მთლიანად თანაემთხვეოდეს „Hansard"-ს და რომ აქედან, დასასრულ, უნდა გამომდინარეობდეს არსებითად „Hansard"-ის თანამთხვევაც დამფუძნებელ მანიფესტთან.

და მთელი ეს ხმაურობა ატეხილ იქნა მხოლოდ იმიტომ, რომ ბრენტანომ ხელიდან გაუშვა ტექსტთა ის დაწვრილებითი შედარება, რაც თითქოს სედლეი ტეილორის მიერ იქნა შესრულებული, და არსებითად ვერც კი გაიგო ის, რაც გლადსტონმა სთქვა „Hansard"-ის მიხედვით. მართალია, ეს მთლად ადვილი საქმე არ იყო, ვინაიდან, მიუხედავად ბრენტანოს მტკიცებისა, რომ ამ სიტყვამ „მთელი განათლებული ქვეყნის ყურადღება და გაკვირვება გამოიწვია... განსაკუთრებით... თავისი გარკვეულობის გამო", მკითხველებს შეეძლოთ დარწმუნებულიყვენ იმაში, რომ ეს სიტყვა, „Hansard"-ის მიხედვით, უაღრესად გაბერილად და არეული ენით იყო წარმოთქმული, რომ მას თანახლავს ბევრი სათუო პირობა და თავისავე საკუთარ განმეორებებში იხლართება. განსაკუთრებით წმინდა უაზრობაა ფრაზა იმის შესახებ, თითქოს კაპიტალის გადიდება უაღრეს უპირატესობას წარმოადგენდეს მუშებისათვის, იმიტომ რომ იგი აიაფებს იმ საქონელს, რომელიც წარმოების პროცესში უშუალოდ შედის შრომასთან კონკურენციაში. თუ რომელიმე საქონელი კონკურენციაში შედის შრომასთან და ეს საქონელი (მაგალითად, მანქანები) უფრო იაფი ხდება, მაშინ ამ მოვლენის პირველი და უახლოესი შედეგია შრომის ხელფასის დაცემა. და ეს კი, ბატონ გლადსტონის მიხედვით, უნდა ყოფილიყო „მეტად ხელსაყრელი მუშათა კლასისათვის"! როგორ ჰუმანიურად მოიქცა ლონდონის ზოგიერთი დილის გაზეთი, მა-

გალითად, „Morning Star"-ი, როდესაც თავის „უეჭველად ცუდ" ანგარიშებში ზემოაღნიშნულ გაუგებარ ფრაზას მიაწერა ის, რის თქმაც ალბად გლადსტონს სურდა, სახელდობრ მიაწერა ის, რომ კაპიტალის გადიდება სასარგებლოა მუშებისათვის მოხმარების მთავარი საგნების გაიაფების გამო!

ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ, ჭონდა თუ არა გლადსტონს მხედველობაში, როდესაც ის ლაპარაკობდა, რომ გულისტკივილით და დიდი მოუსვენრობით შეხედავდა სიმდიდრის ამ განსაცვიფრებელ ზრდას იმ შემთხვევაში, თუ იგი იფიქრებდა, რომ ეს ზრდა განსაზღვრულია მხოლოდ შეძლებული კლასებით,—ჭონდა თუ არა მას მხედველობაში სიმდიდრის მეორე ზრდა, გარდა იმ ზრდისა, რომელზედაც იგი ახლახან ლაპარაკობდა, სახელდობრ, გარდა მისი აზრით მთელი ნაციის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მდგომარეობისა; დაივიწყა თუ არა გლადსტონმა მაშინვე ის, რასაც იგი ლაპარაკობდა საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი კლასების შემოსავალთა გადიდების შესახებ და არა სხვა რაიმეზე,—ამის შესახებ ჩვენ არაფერი არ შეგვიძლია ვიცოდეთ. მარქსს ბრალს სდებენ ფალსიფიკაციაში და აქ ლაპარაკია ტექსტზე და ამ ტექსტის გრამატიკულ აზრზე, იმაზე, რაც გლადსტონმა სთქვა, და არა იმაზე, რაც მას, შესაძლებელია, სურდა ეთქვა. ეს უკანასკნელი ბრენტანომაც არ იცის და თვით გლადსტონიც კი 27 წლის შემდეგ კომპეტენტურ პირს ამ მხრივ აღარ წარმოადგენს. და ჩვენც ეს, ყოველ შემთხვევაში, სრულიად არ გვეხება.

ამრიგად, ამ სიტყვების სრულიად ნათელი აზრი შემდეგში მდგომარეობს: დასაბეგრავი შემოსავალი განსაცვიფრებელი სახით გაიზარდა. ჩემთვის მეტად სამწუხარო იქნებოდა, რომ ეს ახლახან აწერილი ზრდა სიმდიდრისა მხოლოდ შეძლებული კლასებით განისაზღვრებოდეს, მაგრამ იგი განისაზღვრება ლოდ ამ კლასებით, ვინაიდან მუშებს არ გააჩნიათ დასაბეგრავი შემოსავალი; მაშასადამე, ესაა კაპიტალის უბრალო გადიდება! მაგრამ ეს გადიდებაც ხელსაყრელია მუშებისათვის, იმიტომ რომ იგი და ა. შ.

მოვიყვანოთ ახლა მარქსი: „სიმდიდრისა და ძლიერების განსაცვიფრებელი ზრდა... მთლიანად განისაზღვრება შეძლებული კლასებით". ასეა გადმოცემული ფრაზა იმ დამფუძნებელ მანიფესტში, რომელმაც მთელ ამ გაცხოველებულ კამათს საბაბი მისცა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბრენტანო უკვე ეღარ ბედავს იმის მტკიცებას, რომ მარქსმა ეს ფრაზა შეთხზა, ლაპარაკიც აღარაა დამფუძნებელ მანიფესტზე, და ყველა იერიში მიმართულია ამ ადგილის ციტატის სახით მოყვანის წინააღმდეგ „კაპიტალში". ასე, მარქსი კიდევ შემდეგ ფრაზას უმატებს: „მაგრამ...კაპიტალის ეს გადიდება არაპირდაპირი გზით შეიძლება წარმოადგენდეს სარგებლობას მუშათა მოსახლეობისათვის, იმიტომ რომ იგი აიაფებს საერთო მოხმარების საგნებს".

ამრიგად, მარქსის მიერ „საერთო კავშირიდან გამოგლეჯილი ფრაზებიდან თვითნებურად შედგენილი მოზაიკა" „არსებითად" და „მხოლოდ უფრო სხარტ ფორმაში" სწორედ იმავეს ლაპარაკობს, რასაც უმწიკვლო „Hansard"-ის სიტყვებით, გლადსტონი ლაპარაკობდა. ერთად-ერთი საყვედური, რომელიც შეიძლება მარქსის მიმართ ითქვას, იმაში მდგომა-

რეობს, რომ იგი, სარგებლობს რა „Morning Star"-ით, და არა „Hansard"-ით, აზრს აძლევს გლადსტონის იმ დასკვნითი ფრაზას, რომელიც ამ უკანასკნელის მიერ გამოთქმული სახით უაზრობას წარმოადგენდა.

შემდეგ „Hansard"-ის მიხედვით ნათქვამია: „მაგრამ გარდა ამისა შეიძლება დარწმუნებით იმის მტკიცება, რომ ხალხის მასებს წილად ხვდათ უფრო უშუალო და უფრო დიდი სარგებლობა. ღრმა და დაუფასებელ ნუგეშს იძლევა იმის შეგნება, რომ იმ დროს, როდესაც მდიდრები უფრო გამდიდრდენ, ღარიბები ნაკლებად ღარიბნი გახდენ. მე არ ვიღებ ჩემ თავზე გამბედაობას გაარკვიო, გაიზარდა თუ შემცირდა წინა დროსთან შედარებით ის დიდი უფსკრული, რომელიც სიმდიდრისა და სიღარიბის კიდურ პოლუსებს ყოფს".

მარქსს ნათქვამი აქვს: „იმ დროს, როდესაც მდიდრები უფრო გამდიდრდენ, ღარიბები, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად ღარიბნი გახდენ. მე ვერ ვბედავ ვთქვა შეიცვალა სიღარიბის კიდურები თუ არა".

მარქსი მხოლოდ მოკლედ გადმოგვცემს იმ ორ მჭლე დადებით მტკიცებას, რომელიც „Hansard"-ის მიერ უშინაარსო და წყალ-წყალა ფრაზების მთელი მასიდანაა შეზავებული. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ორთავე ეს მტკიცება ამით არაფერს არ კარგავს, არამედ, პირიქით, კიდევაც იგებს.

ბოლოს, „Hansard"-ის მიერ დასკვნის სახით ნათქვამია: „მაგრამ, თუ ჩვენ საშუალოდ ბრიტანელი მუშის მდგომარეობას განვიხილავთ, იქნება იგი გლეხი თუ სამთომადნო მუშა, ნასწავლი თუ უსწავლელი მუშა, მაშინ მრავალრიცხოვან და უეჭველ ჩვენებათაგან დავინახავთ, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ადგილი ქონდა მის საარსებო საშუალებათა ისეთ უდიდეს ზრდას, რომელიც ჩვენ სრული საფუძვლით შეგვიძლია ყოველი ქვეყნის ისტორიაში და ყოველი ისტორიული პერიოდის თითქმის უმაგალითო ზრდად ჩავთვალოთ".

ეს ფრაზა მოყვანილია დამფუძნებელ მანიფესტში რამოდენიმე სტრიქონით უწინ, ვიდრე ზემოაღნიშნული „ცნობილი" ფრაზა. იქ ნათქვამია: „ასეთია ოფიციალური ცნობები, გამოქვეყნებული პარლამენტის განკარგულებით 1864 წელს თავისუფალი ვაჭრობის ათასი წლის ბატონობის პერიოდში, იმ დროში, როდესაც ხაზინის კანცლერი ქვედა პალატაში შემდეგს ამბობდა: „ბრიტანელი მუშის მდგომარეობა საშუალოდ ისეთი ზომით გაუმჯობესდა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, არაჩვეულებრივი და უმაგალითოა ყველა ქვეყნისა და დროის ისტორიაში". ამრიგად, ყოველივე არსებითი აქ მოყვანილია. მაგრამ ბრენტანო თავის მკითხველებს, რომელთაც, რასაკვირველია არ ძალუძთ მას კონტროლი გაუწიონ, დაჟინებით უმალავს იმას, რომ ეს ნათქვამია დამფუძნებელ მანიფესტში. ჩვენ ხომ არ შეგვიძლია ყოველ მის მკითხველს თითო ეჯემპლიარი მივართვათ, როგორც ეს სედლეი ტეილორს ქონდა მიცემული.

Notabene: თავის მეორე პასუხში (დოკუმენტი № 6) მარქსს მხოლოდ დამფუძნებელი მანიფესტის დაცვა უხდებოდა, ვინაიდან მანამდე ბრენტანოს ჯერ კიდევ არ ქონდა შეტანილი თავის მომიზეზებათა წრეში აღნიშნული ადგილი „კაპიტალიდან". და შემდეგ ამის მომდევნო მეორე საწინააღმდეგო გამოსვლაშიც (დოკუმენტი № 7) ბრენტანოს იერიშები ჯერ

კიდევ მიმართულია დამფუძნებელი მანიფესტისა და მარქსის მიერ მისი დაცვის წინააღმდეგ.

მხოლოდ მარქსის სიკვდილის შემდეგ მიეცა საქმეს სხვა მიმართულება; თანაც ეს ჩაიდინა არა ბრენტანომ, არამედ მისმა კემბრიჯელმა თანამებრძოლმა. მხოლოდ ახლა იქნა აღმოჩენილი, რომ მარქსმა დამალა „კაპიტალში“ გლადსტონის დამაჯერებელი მტკიცებანი ბრიტანელი მუშების მდგომარეობის უმაგალითო გაუმჯობესების შესახებ და ამით სრულიად საწინააღმდეგო აზრი მისცა გლადსტონის სიტყვებს.

აქ ჩვენ უნდა დავადასტუროთ, რომ მარქსმა გაუშვა შემთხვევა ესარგებლა საუცხოო რიტორიკული სიტყვათა ბრუნვით. მთელ განყოფილებას, რომლის შესავალშიც გლადსტონის სიტყვა იყო ციტატის სახით მოყვანილი, მიზნათ აქვს მოიყვანოს იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ბრიტანეთის მუშათა კლასის დიდი უმრავლესობა სწორედ სიმდიდრის ამ განსაცვიფრებელი ზრდის დროს იმყოფებოდა შეკიწროებულ და დამცირებულ მდგომარეობაში. როგორი განსაცვიფრებელი კონტრასტის მიცემა შეეძლოთ მასათა სიღატაკის შესახებ პარლამენტის ოფიციალური ანგარიშებიდან ამოღებულ ამ ცნობებთან შედარებით გლადსტონის გაბერილ სიტყვებს ყველა ქვეყნისა და დროის ისტორიაში ბრიტანეთის მუშათა კლასის უმაგალითო და ბედნიერი მდგომარეობის შესახებ!

მაგრამ, თუ მარქსს არ სურდა ესარგებლა ამ რიტორიკული ეფექტით, მაშინ მას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა გლადსტონის ეს სიტყვები ციტატის სახით მოეყვანა; ჯერ ერთი, ეს სიტყვები არაფერს არ წარმოადგენენ, გარდა იმ საყოველთაოდ მიღებული ფრაზისა, რომლის განმეორებასაც ხაზინის ყოველი ბრიტანელი კანცლერი თავის მოვალეობად სთვლის კარგ ან თვით ასატან დროშიც კი; ამიტომ ამ სიტყვებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ. მეორე, გლადსტონმა ერთი წლის შემდეგ უარი სთქვა ამ სიტყვებზე, როცა იგი თავის შემდგომ საბიუჯეტო სიტყვაში 1864 წლის 7 აპრილს, კიდევ უფრო დიდი სამრეწველო აყვავების პერიოდში, ლაპარაკობდა მასებზე, რომელნიც „პაუპერიზმის ნაპირზე“ იმყოფებიან, და მრეწველობის იმ დარგებზე, „სადაც შრომის ხელფასს არ აუწევია“, და როცა მან განაცხადა— „Hansard“-ის გადმოცემით: „და კვლავ, რას წარმოადგენს საზოგადოდ უმრავლეს შემთხვევაში ადამიანის სიცოცხლე, თუ არა ბრძოლას არსებობისათვის?“ [1]

[1] მოგვყავს აქ ამ სიტყვის გაგრძელება „Hansard“-ის მიხედვით: ღატაკთა რიცხვი დაეცა 840.000-დე. „აქ შეტანილი არ არიან ისინი, რომელნიც დახმარებას ღებულობენ საქველმოქმედო დაწესებულებათაგან ან ამ დახმარებას იღებენ კერძო პირთა მოწყალების გზით... ყველა ამას გარდა მხედველობაში მიიღეთ ისინი, რომელნიც ამ სფეროს საზღვარზე იმყოფებიან და ამასთანავე (დაფიქრდით) რამდენი მუშა ვაჟკაცურად, მაგრამ დიდის გაჭირვებით ეწევა ბრძოლას, რათა შერჩეს იმ დონეს, რომელიც ღატაკთა მდგომარეობაზე ზევით იმყოფება“. ერთი ხუცესის სანრველოში, ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში, 13.000 სულიდან 1.200 მუდამ ნამდვილი სიღატაკის პირზე იმყოფება. ერთმა კარგად ცნობილმა ფილანტროპმა განაცხადა, რომ ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში არსებობს მთელი კვარტალები, სადაც ვერას დროს ვერ დაინახავთ ვერც ომნიბუსს და ვერც ეტლს, სადაც ვერასდროს ვერ გაიგონებთ ჭეშის მესიკას ანდა თვით მათხოვარსაც კი ვერ შეხვდებითო... რასაკვირველია, საშუალებანი, რომელნიც საჭიროა

მაგრამ გლადსტონის ეს საბიუჯეტო სიტყვა მარქსს მოყავს უშუალოდ 1863 წლის სიტყვის შემდეგ, და თუ თვით გლადსტონი 1864 წლის 7 აპრილს არარსებულად აცხადებდა იმ უმაგალითო კეთილდღეობას, რომლის არსებობისათვისაც მას 1863 წლის 16 აპრილს „მრავალრიცხოვანი და უეჭველი ჩვენებანი“ მოეპოებოდა, მაშინ მარქსისთვის ქრებოდა უკანასკნელი საბაბიც კი იმისათვის, რომ მას ციტატის სახით მოეყვანა ეს გაბედული, მაგრამ, სამწუხაროდ, გლადსტონისათვის ეფემერული მტკიცებანი. მას შეეძლო დაკმაყოფილებულიყო ორატორის განცხადებით, რომ, მაშინ როდესაც შემოსავალი 150 გირ. სტერლინგის რაოდენობით განსაცვიფრებელი სახით გაიზარდა, ღარიბებიც ყოველ შემთხვევაში თითქოს ნაკლებად ღარიბნი გახდენ, ხოლო უფსკრული კი უკიდურეს სიმდიდრესა და უკიდურეს სიღარიბეს შორის საეჭვოა რომ შემცირებულიყოს.

ჩვენ არ დავიწყებთ ლაპარაკს იმ მანერაზე, რაც ოფიციალურ გერმანელ ეკონომისტებს სჩვევიათ და რაც იმაში მდგომარეობს, რომ მათ მარქსიდან ციტატები მოყავთ საერთო კავშირიდან გამოგლეჯილი და ცალკე ფრაზების სახით. მარქსი რომ ყოველი ასეთი ციტატის შემდეგ ბატონი ბრენტანოს მანერის მსგავსად ალიაქოთს სტეხდეს, იგი ამას ვერასდროს ვერ მოუღებდა ბოლოს.

მაგრამ განვიხილოთ უფრო დაწვრილებით იმ საარსებო საშუალებათა უმაგალითო ზრდა, რომლითაც მაშინ ბრიტანეთის მუშა, გლეხი ან სამთომადნო კვალიფიციური ან არაკვალიფიციური მუშა სარგებლობდა.

გლეხი ინგლისში და უმეტეს ნაწილად შოტლანდიაში მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დაქირავებულ მუშას წარმოადგენს. 1861 წელს ირიცხებოდა სულ 1.098.261 გლეხი; აქედან ფერმაზე მცხოვრებ მოჯამაგირეთა რიცხვი 204.962 შეადგენდა[1]. 1849-დან 1859 წლამდე მათმა კვირეულმა ფულადმა შრომის ხელფასმა აიწია 1 შილინგით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში 2 შილინგით; მაგრამ საბოლოო ანგარიშით ხელფასის ეს აწევა უმეტეს ნაწილად მხოლოდ ნომინალური რჩებოდა. თუ როგორი იყო მათი მდგომარეობა 1863 წელს, თუ როგორ ჭეშმარიტად ძაღლურ პირობებში ცხოვრობდენ ისინი, ამას აგვიწერს დ-რი ხანტერი (Public Health Report, VII, 1764) [ანგარიში სახალხო ჯანმრთელობის შესახებ]). სოფლის მუშის შესანახავად იხარჯება ყველაზე მცირე თანხა, რომლითაც მხოლოდ არსებობა შეიძლება“. იმავე ანგარიშის მიხედვით მუშათა ოჯახების კვების საშუალებებით მომარაგება (განსაკუთრებით დასახელებულ რვა საგრაფოში) იმ მინიმუმზე დაბალია, რომელიც აბსოლუტურად აუცილებელია შიმშილისაგან გამოწვეულ ავადმყოფობათა თავიდან ასაცილებ-

არსებობისათვის ბრძოლის საწარმოებლად, რამოდენიმედ უკეთესია, ვიდრე უწინ“(!)... ბევრ ადგილას შრომის ხელფასმა აიწია. მაგრამ ბევრ სხვა ადგილას მას არ აუწევია და სხვ. და ეს იერემიადა იბეჭდება ერთი წლით ადრე „უმაგალითო“ კეთილდღეობის შესახებ გაზვიადებულ განცხადებათა შემდეგ!

[1] ციფრები აღებულია ნაწილობრივ 18 1 წლის აღწერიდან, ხოლო ნაწილობრივ Children's Employment Commission-ის 1863—1867 წლების ანგარიშიდან [კომისიები ბავშვის დაქირავებული შრომის გამოსარკვევად 1863—1867 წლებში].

ლად. ხოლო პროფ. ტოროლდ როდჯერსი, გლადსტონის პოლიტიკური მომხრე, აცხადებს 1866 წელს (History of Agrlculture and Prices) [სოფლის მეურნეობისა და ფასების ისტორია], რომ სოფლის მუშები კვლავ ყმები გახდენ და—როგორც ის ამომწურავი სახით ამტკიცებს—ისეთი ყმები, რომელთაც ცუდი კვება და ცუდი საცხოვრებელი ბინები აქვთ, რომელნიც გაცილებით უფრო ცუდათ ცხოვრობენ ვიდრე მათი წინაპრები ცხოვრობდენ არტურ იუნგის დროს (1770—1780 წ.წ.), ხოლო შეუდარებლად უფრო ცუდათ, ვიდრე დღიური მუშები XIV—XV საუკუნოებშიო.—„გლეხების“ მაგალითში, მაშასადამე, გლადსტონს სრულიად ბედი არ წყალობს.

როგორია საქმის ვითარება „სამთომადნო მუშების“ მიმართ? ამ საკითხზე ჩვენ მოგვეპოება პარლამენტის ანგარიში 1866 წლისათვის. 1861 წელს შეერთებულ სამეფოში მუშაობდა 565.875 სამთომადნო მუშა; აქედან ნახშირის მაღაროებში—246.613 მუშა. ამ მაღაროებში მამაკაცების ხელფასმა ცოტათი აიწია, თანაც მათ უმეტეს ნაწილად რვასაათიანი ცვლა აქვთ, მაშინ როდესაც მოზარდნი იძულებულნი არიან 14-დან 15 საათამდე იმუშაონ. სამთომადნო ინსპექცია—წმინდა ფარსია: 3217 მაღაროს სულ 12 ინსპექტორი ხვდება. ამის შედეგად სამთომადნო მუშების მთელი მასის სიცოცხლე მსხვერპლად ეწირება აფეთქებებს, რომელთა თავიდან აცილებაც უმრავლეს შემთხვევაში შეიძლებოდა. მაღაროების მფლობელნი შრომის ხელფასის მცირეოდენი გადიდებისათვის თავიანთ თავს ჩვეულებრივად იმით აჯილდოვებენ, რომ ზომაში და წონაში მოტყუილების გზით შრომის ხელფასიდან გამორიცხვას აწარმოებენ. რკინეულის სამადნეებში, Royal Commission-ის [სამეფო კომისიის] 1864 წლის ანგარიშის თანახმად, მდგომარეობა კიდევ უფრო ცუდია.

როგორი ღაა საქმის ვითარება „ნასწავლი“ მუშების მიმართ? ავიღოთ ლითონის დარგის მუშები; ყველა ისინი შეადგენენ 396.998. აქედან 70.000-დან 80.000-დე ზეინკალ-მექანიკოსებია, რომელნიც მართლაც კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდენ იმის გამო, რომ მათ ძველ, ძლიერ და მდიდარ პროფესიონალურ კავშირს წინააღმდეგობის უნარი შესწევდა. ასევე სხვა მელითონე მუშების მიმართაც, რამდენადაც მათ ფიზიკური ძალა და დახელოვნება უნდა ქონოდათ, ადგილი ქონდა არსებობის დონის განსაზღვრულ ამაღლებას, რაც ბუნებრივი იყო 1859 და 1860 წლებში საქმის მდგომარეობის ხელახალი გაუმჯობესების პერიოდში. პირიქით, ამავე წარმოებაში ჩაბმულ ქალთა და ბავშვთა მდგომარეობა (ჯერ მარტო ბირმინგამსა და მის მიდამოებში ითვლებოდა 10.000 ქალი და 30.000 მოზარდი 18 წლის ჰასაკზე ქვევით) საკმაოდ ბეჩავი იყო, ხოლო ლურსმანისა და ჯაჭვების მწარმოებელ მჭედელთა (26.130) მდგომარეობა კი—უაღრესად ბეჩავი.

საფეიქრო მრეწველობაში უმრავლესობას შეადგენდენ ბამბის მრთველები და ფეიქრები 456.646 რაოდენობით; ამას უნდა მიემატოს კიდევ 12.556 ჩითის დამჭითავი. ალბად ისინი ძლიერ განცვიფრებაში მოვიდოდენ, როდესაც გაიგონებდენ თავიანთი უმაგალითო ბედნიერების შესახებ 1863 წლის აპრილში, ე. ი. ამ ბამბის ძლიერი ნაკლებობისა და ამერიკის სამოქალაქო ომის დროს, იწორედ იმ დროს (1862 წლის ოქტომბერში), როდესაც თითის ტარების 60%-ი

და საქსოვ დაზგათა 58%-ი გაჩერებული იყო, ხოლო დანარჩენი ნაწილი მარტო 2—3 დღე მოქმედებდა კვირაში; სწორედ იმ დროს, როცა ბამბის მრეწველობის მუშები, როგორც მარტოხელი, ისე ოჯახიანი, 50.000 ის რაოდენობით დახმარებას ღებულობდენ საზოგადოებრივი ქველმოქმედებიდან ანუ დახმარების კომიტეტიდან, ხოლო (1863 წლის მარტში) 125.625 მუშა იმავე კომიტეტისაგან სამშიერო ხელფასის პირობებში ღებულობდა სამუშაოს საზოგადოებრივ სამუშაოებზე ან ჭრა-კერვის სკოლებში! Watts, The Facts of the Cotton Famine, 1866 წ. p. 211 [უოტსი, ფაქტები ბამბეულის შიმშილის შესახებ 1866 წელს, გვ. 211]. დანარჩენი საფეიქრო მუშებისათვის, განსაკუთრებით სამკერვალო და სელის წარმოების დარგებში, შედარებით მდგომარეობა არ იყო ცუდი, ბამბის ნაკლებობამ მათი მოსაქმეობის დონე ასწია.

Children's Employment Commission-ის ანგარიშები ყველაზე უტყუარ ცნობებს იძლევიან საქმის მდგომარეობის შესახებ მეურნეობის მთელ რიგ უფრო ნაკლებად მსხვილ დარგებში. წინდების წარმოებაში 120.000 მუშაა, რომელთაგანაც საფაბრიკო კანონმდებლობით დაცულია 4000 მუშა; დანარჩენთა რიცხვში ბევრია მცირეწლოვანი ბავშვები; ადგილი აქვს გადაჭარბებულ შრომას; არშიების ქსოვა და აპრეტურა უმთავრესად კუსტარული წარმოებაა; —150.000 მუშიდან მხოლოდ 10.000 სარგებლობს საფაბრიკო კონონმდებლობითი დაცვით, კოლოსალურია ბავშვების და ქალიშვილების ზედმეტი შრომა; ჩალის ქსოვისა და ჩალის ქუდების დამზადების საქმეში 4000 მუშაა; ესენი თითქმის მარტოოდენ ბავშვებია, რომლებსაც უსირცხვილოდ აიძულებენ მუშაობით; დაბოლოს, ტანსაცმელის და ფეხსაცმელის წარმოება, სადაც ჩაბმულია 380.218 მკერავი მამაკაცი და დედაკაცი, 380.716 თეთრეულის მკერავი ქალი და—მარტო ინგლისსა და უელსში—573.380 მამაკაცი—მუშა, საიდანაც 273.223 მეწაღეა და 146.042 მკერავი; აქედან $^1/_4$—$^1/_5$ 20 წლის ჰასაკზე უნცროსია. ამ $1^1/_4$ მილიონიდან სულ დიდი 30%-ი მამაკაცებისა, რომელნიც კერძო დამკვეთელთათვის მუშაობდენ, იმყოფებოდა ცოტად თუ ბევრად ასატან საარსებო პირობებში. დანარჩენი ნაწილი—ისე როგორც წარმოების ყველა აქ მოყვანილ დარგებში—ექსპლოატაციას განიცდიდა მოსაშუალეთა, ფაქტორთა და მესარეწეთა მხრივ, ამ ოფლის გამომწურავთა მიერ, როგორც მათ ინგლისში უწოდებდენ, და უკვე მარტო ეს გარემოება ახასიათებს მუშათა ამ ფენების მდგომარეობას, ე. ი. უზომოდ გადაჭარბებულ შრომას სამათხოვრო შრომის ხელფასის პირობებში.

არც იმ მუშების „უმაგალითო" ბედნიერების მიმართ იყო უკეთესად საქმე, რომელნიც მუშაობდენ ქაღალდის მრეწველობაში (100000 მუშა, რომელთაგანაც ნახევარს ქალები შეადგენდენ), თიხის ჭურჭლეულის წარმოებაში (29000), ქუდების დამზადებაში (მარტო ინგლისში ითვლებოდა 15000), შუშის მრეწველობაში (15000), ბეჭდვის წარმოებაში (35000), ხელოვნური ფერების წარმოებაში (11000) და სხვ. და სხვა.

ერთი სიტყვით. Children's Fmployment Commission ი მოითხოვდა საფაბრიკო კანონმდებლობის გავრცელებას მრეწველობაში ჩაბმულ ქალების, მოზარდების და ბავშვების არა ნაკლებ 1400 000 რიცხვზე, რათა ისინი დაცული ყოფილიყვენ ზედმეტი შრომის გამანადგურებელი მოქმედებისაგან.

დასასრულ, იმ ღატაკთა რიცხვი, რომელნიც ქველმოქმედების ხარჯზე ცხოვრობდენ, 1863 წელს 1079382 უდრიდა.

ყველა ამის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ დაახლოებით იმ მუშების რაოდენობა, რომელნიც 1863 წელს, ეჭვს გარეშეა, ძლიერ ცუდათ ცხოვრობდენ: სოფლის მუშების საშუალო რაოდენობა—1100 000, ბამბეულის მრეწველობის მუშები—496 000, მკერავი ქალები—751000, მკერავი მამაკაცები და მეწაღეები—30%-ის გამოკლებით—401000, არშიის მრეწველობის მუშები—150000, ქაღალდის მრეწველობის—100000, წინდების წარმოების—120000, Children's Employment Commission-ის მიერ გამოკვლეულ მრეწველობის წვრილი დარგების მუშები—189000, დასასრულ ღატაკები—1.079.000. სულ ვღებულობთ 4549000 მუშას, რომელთაც მთელ რიგ შემთხვევებში უნდა მიემატოს კიდევ მათი ოჯახების წევრები.

ამასთან, 1863 წელი ხომ ხელსაყრელი სამრეწველო წელი იყო. 1857 წლის კრიზისიდან მრეწველობა უკვე მთლიანად მოღონიერდა, მოთხოვნა სწრაფად იზრდებოდა, მრეწველობის თითქმის ყველა დარგები, გარდა ბამბეულის მრეწველობისა, სრული ტემპით მუშაობდენ. სადაა აქ კეთილდღეობის „უმაგალითო" ზრდა?

მეორმოცე წლების საფაბრიკო კანონმდებლობამ მნიშვნელოვნად ასწია მის მიერ მოცული მუშების მდგომარეობა. მაგრამ 1863 წელს ეს ეხებოდა მხოლოდ იმ მუშებს, რომელნიც შალის, ტილოსა და აბრეშუმის მრეწველობაში იყვენ ჩაბმულნი და რომელთა რიცხვიც მრგვალი ანგარიშით 270000 მუშას უდრიდა, მაშინ როდესაც ბამბეულის მრეწველობის მუშები შიმშილით იხოცებოდენ. სახამებელ და საღებავ წარმოებაში კანონმდებლობითი დაცვა მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. შემდეგ, მრეწველობის იმ დარგებში, სადაც აუცილებელია მამაკაცის სრული ძალა და ზოგჯერ დახელოვნებაც, პროფესიონალურ კავშირებში შეკავშირებული მუშების წინააღმდეგობამ ამავე მუშებს შესაძლებლობა მისცა მონაწილეობა მიეღოთ მრეწველობისათვის ხელსაყრელი სეზონის მიერ შექმნილ სარგებლობაში უფრო მაღალი შრომის ხელფასის სახით, და შეიძლება ითქვას, რომ საშუალოდ მრეწველობის ამ დარგებში, რომელნიც მამაკაცის მძიმე შრომის გამოყენებას მოითხოვენ, მუშათა არსებობის დონემ გარკვეულად აიწია, თუმცა ღა მაინც სასაცილოა ეს აწევა „უმაგალითო" აწევად დავასახოთ. მაგრამ იმ დროს, როდესაც ნაყოფიერი შრომის უდიდესი მასა გადატანილია მანქანებზე, რომელთაც მომსახურეობას უწევენ უფრო სუსტი მამაკაცები, დედაკაცები და უსუსური მუშაკები, პოლიტიკოსები მაინც კვლავ განაგრძობენ განიხილონ მძლავრი, მძიმე შრომის შემსრულებელი მამაკაცები ერთადერთ მუშებად და იმსჯელონ მათი მდგომარეობის მიხედვით მთელი მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ.

ამ ზემოაღნიშნულ $4^1/_2$ მილიონ მუშებსა და ღატაკებს, რომელნიც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, ჩვენ შეგვიძლია დაუპირდაპიროთ 270000 საფეიქრო მუშა შალის, სელის და აბრეშუმის მრეწველობაში. ჩვენ შეგვიძლია, შემდეგ, მივიღოთ, რომ ლითონის წარმოებაში ჩაბმული 376000 მუშიდან ერთი მესამედი ცხოვრობს კარგად, მეორე მესამედი—ასატან პირობებში და მხოლოდ უკა-

ნასკნელი მესამედი, რომელსაც ეკუთვნიან მელურსმენი, მჭედლები, ჯაჭვის მკეთებელნი და ქალები—ცუდათ. 566000 სამთომადნო მუშის მდგომარეობა შეიძლება საშუალოდ ასატანათ ჩავთვალოთ. კარგად შეიძლება ჩაითვალოს მშენებელ მუშათა მდგომარეობა, ბამბის რაიონების გამოკლებით. დურგლებიდან ავეჯეულობის წარმოებაში, სულ დიდი, 1/3იმყოფებოდა კარგ პირობებში, დანარჩენი მასა კი მუშაობდა მესარეწე—ექსპლოატატორთა (sIveaters [ოფლის გამომწურავთა]) სასარგებლოდ. რკინისგზელ მოსამსახურეთა შორის ჯერ კიდევ მაშინ იყო გაბატონებული დიდათ გადაჭარბებული შრომა, რომელმაც მხოლოდ უკანასკნელ 20 წელში გამოიწვია შეკავშირებული წინააღმდეგობა. ერთი სიტყვით, ჩვენ ბოლოს და ბოლოს ძლივს თუ მოვითვლით სულ ერთ მილიონ მუშას, რომელთა შესახებაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა მრეწველობისა და კაპიტალისტთა მოგების ზრდასთან დაკავშირებით; დანარჩენი მუშები იმყოფებიან საშუალო მდგომარეობაში, საერთოდ უმნიშვნელო სარგებლობას ღებულობენ მრეწველობის მდგომარეობის საერთო გაუმჯობესებიდან ანდა შესდგებიან სქესისა და ჰასაკის მიხედვით შერეულ მუშათა ძალებისაგან, ასე რომ მამაკაცის შრომის მდგომარეობის გაუმჯობესების კომპენსაცია ხდება ქალთა და მოზარდთა გადაჭარბებული შრომის მეოხებით.

თუ ეს კიდევ საკმარისი არაა, მაშინ შეიძლება შევადაროთ სახალხო ჯანმრთელობის (Public Health) შესახებ ანგარიშები, რომელნიც საჭირო გახდენ სწორედ იმიტომ, რომ მუშათა კლასის მდგომარეობის „უმაგალითო“ გაუმჯობესება უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში 1863 წლამდე გამოიხატა ტიფის, ხოლერის და სხვა ასეთ სანუკვარ ავადმყოფობათა გავრცელებაში, იმ ავადმყოფობათა გავრცელებაში, რომელნიც მუშათა კვარტალებიდან ქალაქთა არისტოკრატიულ კვარტალებშიც შეიჭრენ. ამ ანგარიშებში წარმოებულ იქნა ბრიტანეთის მუშების „საარსებო საშუალებათა“ უმაგალითო „ზრდის“ გამოკვლევა მათი საცხოვრებელი ბინებისა და კვების მხრივ და აღმოჩენილი, რომ უთვალავ შემთხვევებში მათი საცხოვრებელი ბინები ავადმყოფობათა კერას წარმოადგენენ, ხოლო მათი საჭმელი არასაკმარისია და ისეთ დონეზე ან თვით იმ დონეზე დაბლაც კი იმყოფება, რომლის არსებობის დროსაც აუცილებლად ვითარდებიან ისეთი სანეულებანი, რომელთაც შიმშილობა იწვევს.

ასეთი იყო, მაშასადამე, ბრიტანეთის მუშათა კლასის ნამდვილი მდგომარეობა 1863 წლის დასაწყისში. ასეთი სახე ქონდა მუშათა კლასის მდგომარეობის იმ „უმაგალითო“ გაუმჯობესებას, რომლითაც თავი მოაქვს გლადსტონს. და თუ შეიძლება რაიმე ვუსაყვედუროთ მარქსს, ესაა ის, რომ მან გაუშვა რა

ბატონ გლადსტონის აღნიშნული ტრაბახული გამოთქმა, მას დაუმსახურებელი სამსახური გაუწია.

——

დასკვნა: ჯერერთი, მარქსს არაფერი არ „შეუთხზავს". მეორე, მას არაფერი ისეთი არ „დაუმალავს", რაზედაც გლადსტონს საყვედურის განცხადების უფლება ჰქონოდეს.

და, მესამე, ის გარემოება, რომ მრავალი ათასი ციტატიდან მარქსის ნაწარმოებებში ბრენტანო და კ—ია წურბელის მსგავსად ამ ერთადერთ ციტატს ჩაეჭიდენ, ამტკიცებს იმას, რომ მათ მშვენივრად იციან, თუ „როგორ მოყავს მარქსს ციტატები"—სახელდობრ, იციან ის, რომ მარქსს ეს ციტატები სწორად მოყავს.

ლ. გ.

კლასების შესახებ საბჭოთა კავშირში

სოციალიზმი კლასების მოსპობაა. მაგრამ მშვიდობიანი განვითარების წესით, უბრძოლველად შეუძლებელია კლასების მოსპობა, უკლასო საზოგადოების აშენება.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში საზოგადოების კლასებად დაყოფა კიდევ განაგრძობს არსებობას.

ლენინი სწერდა:

„კლასები დარჩენ და დარჩებიან პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქის განმავლობაში... კლასები დარჩენ, მაგრამ თითოეულმა მათგანმა სახე იცვალა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში; შეიცვალა მათი ურთიერთდამოკიდებულებაც. პროლეტარიატის დიქტატურის არსებობის დროს კლასობრივი ბრძოლა არ ქრება, არამედ იგი მხოლოდ სხვა ფორმებს ღებულობს“ (ლენინი, ტ. XXIV, გვ. 513, მე-2 გამოც.).

პროლეტარიატის, მისი ლენინური პარტიის პოლიტიკა გარდამავალ პერიოდში მიმართულია პროლეტარული დიქტატურის საბოლოო მიზნის განხორციელებისაკენ, კლასების მოსპობისაკენ, თვით კლასების არსებობის საფუძვლების მოსპობისაკენ.

კლასების მოსპობისაკენ პროლეტარიატი მიიმართება კაპიტალიზმისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ უაღრესად შეუპოვარი, გააფთრებული ბრძოლის გზით.

„პროლეტარიატის დიქტატურა არაა კლასობრივი ბრძოლის დასრულება, არამედ იგი მისი გაგრძელებაა ახალ ფორმებში. პროლეტარიატის დიქტატურა კლასობრივი ბრძოლაა იმ პროლეტარიატისა, რომელმაც გაიმარჯვა და თავის ხელში აიღო პოლიტიკური ძალაუფლება დამარცხებული, მაგრამ არმოსპობილი, არგამქრალი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ბურჟუაზიის, რომელსაც არ შეუწყვეტია წინააღმდეგობის გაწევა, რომელმაც გააძლიერა თავისი წინააღმდეგობა“ (ლენინი, ტ. XXIV, გვ. 311).

პროლეტარიატის ამ კლასობრივ ბრძოლას, რომელიც ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ხორციელდება, განსხვავებული თვისებები აქვს სხვადასხვა ეტაპზე. ცხადია, რომ კლასების თანაფარდობა და კლასობრივი ბრძოლა საბჭოთა კავშირში, მაგალითად, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს საგრძნობლად განსხვავდებოდა კლასების თანაფარდობისა და კლასობრივი ბძო-

ლისაგან მიმდინარე 1933 წელს. პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქა სოციალისტური რევოლუციის ეპოქაა, კლასების თანაფარდობასა და კლასობრივ სტრუქტურაში რადიკალური რევოლუციური ძვრების ეპოქა, იმ რევოლუციური ძვრებისა, რომელსაც ახდენს პროლეტარული დიქტატურა თვით კლასების სრულ განადგურებამდე.

ამიტომ საბჭოთა კავშირში კლასების თანაფარდობის განსაზღვრის დროს საჭიროა გამოვიდეთ, ჯერ-ერთი, კლასობრივი სტრუქტურის ძირითადი ცვლილებიდან პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში შედარებით კაპიტალიზმის კლასობრივ სტრუქტურასთან და, მეორე, იქიდან, რომ კლასების თანაფარდობა პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში იცვლება სოციალისტური რევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე.

როგორი კლასები არსებობენ პროლეტარული დიქტატურის პირობებში? 1919 წელს დაწერილ წერილში „ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში“, ლენინი ჩამოთვლის შემდეგ „ძირითად ძალებს“ ანუ კლასებს, რომლებიც სოციალიზმში გარდამავალ პერიოდში არსებობენ: „ბურჟუაზია, წვრილი ბურჟუაზია (განსაკუთრებით გლეხობა), პროლეტარიატი“ (ლენინი, ტ. XXIV, გვ. 508, მე-2 გამოც.).

ასეთია ის სამი კლასი, რომლებიც გარდამავალ პერიოდში სხვადასხვანაირად გაივლიან კლასების მოსპობის გზას. ლენინის მიერ დასახელებული კლასებიდან პირველია კაპიტალისტთა კლასი, რომელიც საბჭოთა კავშირში პროლეტარული რევოლუციის ახლანდელ ეტაპზე საბოლოოდ ისპობა თავისი უკანასკნელი რაზმის—კალაკობის სახით. მეორეა—წვრილი გლეხობა, რომლის გარდაქმნაც ხდება სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის პირობებში პროლეტარიატის ხელმძღვანელობის მეოხებით. მესამეა—პროლეტარიატი, რომელიც, აშენებს რა სოციალისტურ უკლასო საზოგადოებას, ახდენს რა გლეხობის გარდაქმნას და ბურჟუაზიის ლიკვიდაციას, იმავე დროს ხელახლა აღზრდის თავის თავს.

გარდამავალი პერიოდის ამა თუ იმ ეტაპზე კლასების ანალიზის გამოსავალ წერტილად ჩვენ უნდა ავიღოთ გარდამავალ პერიოდში კლასების თანაფარდობის ლენინური ანალიზი, მოცემული მის მიერ 1919 წელს; თანაც თვალყური უნდა ვადევნოთ, თუ რა ცვლილებები შეიტანა სოციალისტური რევოლუციის შემდგომმა მსვლელობამ თვითეულ ამ კლასთაგანში და მათ ურთიერთობაში.

* *
*

1929 წელს საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განვითარებაში „უდიდესი ისტორიული გარდატეხა“ მოხდა.

პარტიის XVI ყრილობას 1931 წლის ზაფხულში უკვე შეეძლო აღენიშნა საბჭოთა კავშირის შესვლა სოციალიზმის პერიოდში. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის

და ცენტრ. საკონტროლო კომისიის 1933 წლის იანვრის პლენუმმა, შეაჯამა რა პირველი ხუთწლედის შედეგები, აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიალურ ქვეყნად, რომ სოციალისტური ეკონომიკის ფუნდამენტი უკვე აშენებულია, საკითხი „ვინ ვის“ ქალაქადაც და სოფლადაც გადაჭრილია, საკოლმეურნეო წყობილებამ საბოლოოდ გაიმარჯვა სოფლად, რომ კაპიტალისტური ელემენტები განდევნილნი არიან სახალხო მეურნეობიდანო.

რას ნიშნავს ეს იმ სამი კლასის დახასიათების მიმართ, რომელთა შესახებაც ლენინი ლაპარაკობდა 1919 წელს?

პროლეტარიატი, როგორც გაბატონებული კლასი, ხელმძღვანელობს მთელ სოციალისტურ მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში. იგი ქმნის მსოფლიოში ახალ, უკლასო საზოგადოებას. იგი ხელმძღვანელობს ბრძოლას კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისა და წვრილი გლეხური მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინისა და სტალინის დროშით აწარმოებს გაშლილ სოციალისტურ შეტევას. ქმნის რა პარტიის ხელმძღვანელობით კომუნისტურ საზოგადოებას, პროლეტარიატი იმავე დროს მთელი თავისი მასით თვითონაც დაუღალავად იწევს სულ უფრო და უფრო მაღლა პოლიტიკური და კულტურული ზრდის საფეხურებზე. პროლეტარიატის ახალი ჩამორჩენილი ფენების სოციალისტური ხელახალი აღზრდა—პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სამუშაო დღეების გამცდენებთან ბრძოლით, შრომის დისციპლინის განმტკიცებით, სოცშეჯიბრის და დამკვრელობის გაშლით—პროლეტარიატმა დიდ წარმატებებს მიაღწია შრომის სოციალისტური დისციპლინის დანერგვისათვის ბრძოლის მხრივ როგორც თავის წრეში, ისე მშრომელთა მთელ მასაში.

ჩამორჩენილი მრეწველობიდან ჩვენი მრეწველობის მძლავრ მოწინავე მრეწველობად გადაქცევის საფუძველზე პროლეტარიატი რიცხობრივად ერთი-ორად და სამად გაიზარდა, ხოლო სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობათა საფუძველზე იგი ხარისხობრივადაც შეიცვალა, დაეუფლა შრომის სოციალისტურ ფორმებს. სოციალისტური შეჯიბრი და დამკვრელობა მტკიცეთ შეიჭრა მისი შრომის გარემოში.

პროლეტარიატის კულტურული დონე სულ უფრო და უფრო იზრდება. პროლეტარიატი ერთი მეორეზე ეუფლება ბურჟუაზიული საზოგადოების კულტურული მემკვიდრეობის საუნჯეებს, სჭედს რა ახალს—ფორმით პროლეტარულს, ხოლო შინაარსით კი სოციალისტურ—კულტურას, თანაც იგი წარმოადგენს ჰეგემონს და უდიდესი კულტურული რევოლუციის მატარებელს საბჭოთა კავშირში.

რა ცვლილებები მოხდა სოფლად ამ წლების განმავლობაში? ოქტომბრის რევოლუციამდე გლეხთა მოსახლეობის აღნაკლები 60 პროცენტისა ღარიბებს ეკუთვნოდა. ოთხი წლის წინათ „სოფელში თითოეულ 100 კომლზე მოდიოდა 4-5 კულაკური კომლი, 8 ან 10—შეძლებული კომლი, 40-50—საშუალო კომლი და 35—ღარიბი კომლი“. (სტალინი, სიტყვა დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ ყრილობაზე, გვ. 20, პარტ. გამომც. 1933 წ.).

სოფლის სოციალისტურად გარდაქმნა საბჭოთა მეურნეობების შექმნის და განმტკიცების, საკოლმეურნეო მშენებლობის გაშლის საფუძველზე ნიშნავს ამ სიღარიბისათვის იმას, „რომ გლეხობის მოსახლეობიდან არა ნაკლები 20 მილიონისა, არა ნაკლები 20 მილიონი ღარიბისა გადავარჩინეთ სიღატაკეს და განადგურებას, გადავარჩინეთ კალაკურ კაბალას და კოლმეურნეობათა შემწეობით უზრუნველყოფილ ხალხად ვაქციეთ.“ მაგრამ ეს ჩვენი პირველი ნაბიჯია... იმისთვის რომ წინ წავიდეთ და საბოლოოდ განვამტკიცოთ კოლმეურნეობანი, ჩვენ მეორე ნაბიჯი უნდა გადავდგათ, რათა კიდევ უფრო ავამაღლოთ კოლმეურნეები,—ყოფილი ღარიბებიც და ყოფილი საშუალო გლეხებიც,—გადავაქციოთ ყველა კოლმეურნე შეძლებულად“ (სტალინი).

ამჟამად „ჩვენ უკვე დავამთავრეთ ძირითადად საბჭოთა კავშირის ძირითადი რაიონების კოლექტივიზაცია. გლეხთა დიდი უმრავლესობის შეგნებაში კოლმეურნეობანი გადაიქცენ მეურნეობის ყველაზე უფრო მისაღებ ფორმად. კოლმეურნეობანი განმტკიცდენ და საბოლოოდ დაიხშო გზა ძველი ერთპიროვნული მეურნეობისაკენ. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ განვამტკიცოთ კოლმეურნეობანი ორგანიზაციულად, გავაძეოთ იქიდან მავნებლური ელემენტები, შევარჩიოთ კოლმეურნეობებისათვის ნამდვილი შემოწმებული ბოლშევიკური კადრები და გადავაქციოთ კოლმეურნეობანი ნამდვილ ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად“ (სტალინი). ყველაფერი ეს ახლებურად ახასიათებს ამჟამად მშრომელი გლეხობის კლასს.

სანამ ამ ცვლილებათა დახასიათებაზე გადავიდოდეთ, მოკლედ შევჩერდეთ მშრომელი გლეხობის დახასიათებაზე ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში.

პროლეტარული დიქტატურის პირობებში მშრომელ გლეხობას კაპიტალისტთა კლასისაგან განსხვავებული მდგომარეობა უჭირავს. თუ „კულაკთა კლასი შეურიგებელ მტრულ განწყობილებაშია პროლეტარიატთან, თუ საბოლოო ანგარიშით ამ კლასის ლიკვიდაცია ხდება, მაშინ მშრომელი გლეხობა წარმოადგენს პროლეტარიატის მოკავშირეს, რომელთანაც მას საერთო ინტერესები აქვს. „ამ კლასის მიმართ, ან ამ საზოგადოებრივი ელემენტების მიმართ, პროლეტარიატის ამოცანას ის შეადგენს, რომ მან ხელმძღვანელობა გაუწიოს მას და ბრძოლა აწარმოოს მასზე გავლენისათვის“ (ლენინი). ამ ხელმძღვანელობის და კავშირის შედეგს წარმოადგენს მშრომელი გლეხობის სოციალისტური გარდაქმნა.

ლენინის და სტალინის ზემომოყვანილი დებულებანი აგრეთვე იმასაც ნიშნავენ, რომ იმ სხვადასხვა როლიდან, რომელსაც გარდამავალ პერიოდში, ერთის მხრივ, პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა, ხოლო, მეორეს მხრივ, კაპიტალისტები ასრულებენ, გამომდინარეობს, რომ პროლეტარიატი და მისი მოკავშირე—მშრომელი გლეხობა, ეკუთვნიან გარდამავალი პერიოდის ორ ძირითად კლასს. კაპიტალისტების მითვლა გარდამავალი საზოგადოების ძირითად კლასებზე იმას ნიშნავს, რომ ზედმეტად შევაფასოთ კაპიტალისტების შეზღუდული როლი, მხედველობიდან გაუშვათ პროლეტარიატის „მბრძანებელი მწვერვალების“ როლი, ვერ გავიგოთ პროლეტარიატის დიქტატურის რაობა.

ამხ. სტალინს არა ერთხელ გაუსვამს ხაზი იმ გარემოებისათვის, რომ „პროლეტარიატი და გლეხობა შეადგენენ ამჟამად ჩვენი საზოგადოების ორ ძირითად კლასს". გარდამავალი პერიოდის ორი ძირითადი კლასის—პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის—ეს კავშირი სოციალიზმის ასაშენებლად, კლასების მოსასპობად პროლეტარიატის დიქტატურის უაღრესად არსებით ნიშანს წარმოადგენს. პარტია გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის ურთიერთობისათვის გადამწყვეტს და ძირითადს წარმოადგენს დაკავშირების, კავშირის, ურთიერთობა, რომელშიაც ხელმძღვანელი როლი პროლეტარიატს ეკუთვნის.

„ჩვენ გვაქვს, პირველი, პროლეტარიატის და გლეხობის ინტერესების ერთიანობა ძირითად საკითხებში, ორივესი ერთად დაინტერესება სახალხო მეურნეობის განვითარების სოციალისტური გზის გამარჯვებაში. აქედან წარმოსდგება მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი. მეორე, ჩვენ ვხედავთ მუშათა კლასის და გლეხობის ინტერესების წინააღმდეგობას მიმდინარე საკითხებში. აქედან წარმოსდგება ბრძოლა ამ კავშირის შიგნით, ბრძოლა, რომელსაც ფარავს თავისი ხვედრითი წონით ინტერესების ერთიანობა და რომელიც უნდა გაქრეს მომავალში, როცა მუშები და გლეხები მიატოვებენ არსებობას როგორც კლასები, როცა ისინი გადაიქცევიან უკლასო საზოგადოების მუშაკებად" (სტალინი, „ლენინიზმის საკითხები", გვ. 158, ქართ. გამოც. გვ.183).

ამასთან პარტია მუდამ ამჩნევდა მშრომელი გლეხობის კლასის თავისებურებათ, რომლებიც იქიდან გამომდინარეობენ, რომ ეს კლასი შესდგებოდა ერთპიროვნული მეურნეებიდან.

„ორი ძირითადი კლასიდან, რომლებისაგანაც ჩვენი საზოგადოება შესდგება, გლეხობა წარმოადგენს იმ კლასს, რომლის მეურნეობა ეყრდნობა კერძო საკუთრებას და წვრილ-საქონლურ წარმოებას. იმიტომ, რომ გლეხობა, სანამ იგი რჩება ისეთ გლეხობად, რომელიც წვრილმესაქონლურ წარმოებას ეწევა, განუწყვეტლივ და მუდმივად გამოყოფს თავისი წრიდან კაპიტალისტებს და არც შეუძლია არ გამოყოს" (სტალინი, ხაზი ჩემია. ლ.გ.).

ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად პროლეტარიატის და გლეხობის ინტერესების ერთიანობისა, წვრილმესაქონლური გლეხური მეურნეობა თავის საფუძველით ისეთივე ტიპისაა როგორც კაპიტალისტური მეურნეობა, თუმცა ამ უკანასკნელისაგან იგი განსხვავდება.

თავის მოხსენებაში კომინტერნის III კონგრესზე ლენინი უწოდებს გლეხობას, წვრილ მწარმოებლებს, „უკანასკნელ კაპიტალისტურ კლასს" იმ აზრით, რომ ეს გლეხობა კაპიტალიზმის უღრმეს საფუძველს შეადგენს.

„საერთაშორისო თვალსაზრისით უდიდეს პროგრესს წარმოადგენს ის, რომ ჩვენ ვცდილობთ გამოვარკვიოთ დამოკიდებულება პროლეტარიატისა, რომელსაც ხელთუპყრია სახელმწიფოებრივი ძალაუფლება, უკანასკნელ კაპიტალისტურ კლასთან, კაპიტალიზმის უღრმეს საფუძველთან, წვრილ საკუთრებასთან, წვრილ მწარმოებელთან" (ლენინი, ტ. XXVI. გვ. 455).

„რა თქმა უნდა, გლეხის წვრილსასაქონლო მეურნეობა ჯერ კიდევ არ არის კაპიტალისტური მეურნეობა. მაგრამ იგი თავის საფუძვლით იმავე ტიპისაა, რო-

გორც კაპიტალისტური მეურნეობა, რადგან ის ემყარება წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებას. ლენინი ათასჯერ მართალია, როდესაც შენიშვნებში ბუხარინის წიგნაკის—„გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის“ შესახებ ლაპარაკობს „გლეხობის სასაქონლო-კაპიტალისტურ ტენდენციაზე“ წინააღმდეგ პროლეტარიატის სოციალისტური ტენდენციისა (ხაზი ლენინისაა, ი. სტალინი). სწორედ ამით აიხსნება ის, რომ „წვრილი წარმოება წარმოშობს კაპიტალიზმს და ბურჟუაზიას მუდმივად, ყოველწლიურად, ყოველ საათში სტიქიურად და მასიური მასშტაბით“ (ლენინი). მაშასადამე, შეიძლება თუ არა ითქვას, რომ გლეხის წვრილსასაქონლო მეურნეობა თავისი საფუძვლით იმავე ტიპისაა, როგორიც არის ქალაქის სოციალისტური წარმოება? ცხადია, არ შეიძლება ამის თქმა მარქსიზმთან კავშირის გაუწყვეტლად. ასე რომ არ იყოს, ლენინი არ იტყოდა, რომ „სანამ ჩვენ წვრილ-გლეხურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, კაპიტალიზმისათვის რუსეთში უფრო მკვიდრი ეკონომიური ბაზაა, ვიდრე კომუნიზმისათვის“ (სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 446, მე-9 გამოცემა. ქართ. გამოცემა გვ. 522,523).

მემარჯვენე ოპორტუნისტები უარყოფდენ განსაკუთრებული კლასის არსებობას გარდამავალ პერიოდში, უგულებელყოფდენ სოფლის დიფერენციაციას, გლეხობის სასაქონლო-კაპიტალისტურ ტენდენციას; მათთვის რჩება მხოლოდ ერთი უფერული ლაქა, რომელსაც სოფელი ეწოდება“ (სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 454, მე-9 გამოც.). მემარჯვენეებისათვის ამასთან დაკავშირებულია მათი თეორიაც სოციალიზმში კულაკის მშვიდობიანი შეზრდისა, გეზის აღება სოფლის განვითარების კაპიტალისტურ განვითარებაზე, კულაკის გადაქცევა საფრთხობელად და კლასობრივი ბრძოლის მინელების თეორია. აქედან წარმოსდგება მათი შემცდარი მიდგომაც გლეხობასთან კავშირისადმი. „ბუხარინის ჯგუფი მხარს უჭერს ყოველგვარ კავშირს გლეხობასთან... იგი ვერ ხედავს საშუალო გლეხის ორგვარ ბუნებას, საშუალო გლეხის ორგვარ მდგომარეობას მუშათა კლასსა და კაპიტალისტებს შორის („ლენინიზმის საკითხები“, გვ. 403). ამასთანაა დაკავშირებული თვითდინების მემარჯვენე ოპორტუნისტული თეორიაც.

პარტიამ გააცამტვერა მემარჯვენეთა ყველა ეს მიზანდასახულობა, ისე როგორც კონტრრევოლუციური ტროცკიზმის მიზანდასახულობანიც, რომელსაც არ სურდა დაენახა ძირითადი და პრინციპული განსხვავება სოფლის დიფერენციაციას შორის კაპიტალიზმის დროს და კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში, არ სურდა დაენახა განსხვავება სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებსა და საშუალო გლეხობას შორის. ტროცკისტები, ისე როგორც მემარჯვენენი, უარყოფენ საშუალო გლეხის ორმაგ ბუნებას; მაგრამ თუ მემარჯვენენი ვერ ამჩნევდენ საშუალო გლეხის იმ მხარეს, რომელიც მას კულაკთან აახლოებდა, სამაგიეროდ ტროცკისტები უარყოფდენ პროლეტარიატის კავშირს გლეხობასთან და ამჩნევდენ გლეხობის მხოლოდ საქონლურ კაპიტალისტურ ტენდენციას.

ლენინმა მოგვცა საშუალო გლეხის, როგორც წვრილი საქონელთმწარმოებლის, ორმაგი ბუნების ულრმესი ანალიზი, იმის ანალიზი, რომ „საშუალო გლეხი, ერთის მხრივ, მშრომელია, რაც მას აახლოებს მუშათა კლასთან, ხო-

ლო, მეორეს მხრივ, მესაკუთრეა, რაც მას აახლოვებს კულაკთან" (სტალინი, „ლენინიზმის საკითხები", გვ. 404. ქართ. გამოც. გვ. 473). პროლეტარიატი, ანსხვავებს რა მშრომელ გლეხს მესაკუთრე გლეხისაგან, აქტიურად ხელმძღვანელობს მშრომელ გლეხობას, ხელმძღვანელობს საშუალო გლეხობას იმგვარად, რომ ჩამოაშოროს იგი კულაკს, გადალახოს მისი ის მესაკუთრული ტენდენციები, რომელნიც მას კულაკთან აახლოვებდენ. პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის ძირითადი, არსებითი ინტერესების ერთიანობა მათ მოკავშირეებად ხდის. ეს მებრძოლი კავშირი თავისი მახვილით მიმართულია ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მისი მიზანია კლასების მოსპობა.

„პროლეტარიატი... ხელმძღვანელობას უწევს გლეხობას. რას ნიშნავს ეს—გლეხობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა? ეს ნიშნავს, პირველი, ისეთი ხაზის გატარებას, რომელიც მიმართულია კლასებისა და არა წვრილი მწარმოებლის მოსპობისაკენ" (ციტატი მომყავს სტალინის მიხედვით, „ლენინიზმის საკითხები", გვ. 404 ლ. გ.).

ამ ხაზის განხორციელებად,—ხაზისა, რომელიც მშრომელი გლეხობის ძირითად ინტერესებს თანემთხვევა,—მოგვევლინა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, რომელმაც თვით გლეხობის ხასიათში რადიკალური ცვლილებები შეიტანა.

გლეხთა კლასის ხასიათში მომხდარი ძირითადი ცვლილება ემყარება ძირითად ცვლილებას წარმოების საშუალებათა საკუთრების ფორმაში. კოლმეურნეობა წარმოადგენს (რასაკვირველია, ლაპარაკია არა ცრუკოლმეურნეობებზე, რომელნიც უმნიშვნელო პროცენტს შეადგენენ) მეურნეობის სოციალისტურ ფორმას, რადგანაც მასში სოციალისტურად განსაზოგადოებულია წარმოების ძირითადი იარაღები და თანაც კოლმეურნეობანი „მოქმედებენ იმ მიწაზე, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის, იმ ქვეყანაში, სადაც საწარმოო საშუალებანი სახელმწიფოს ეკუთვნიან" (სტალინი, „ლენინიზმის საკითხები", გვ. 454). პროლეტარიატი და მისი პარტია ანხორციელებენ კოლმეურნეობათა ყოველდღიურ ხელმძღვანელობას, მოქმედებენ რა ამჟამად ისეთი მძლავრი ბერკეტის შემწეობით, როგორიცაა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებანი.

ამრიგად, კოლმეურნე გლეხობა უკვე აღარ წარმოადგენს დაქსაქსულ წვრილ საქონელთმწარმოებელთა კლასს. ხოლო, მშრომელი გლეხობა კი პირველ ეტაპზე სწორედ ასეთ დაქსაქსულ წვრილ საქონელთმწარმოებელთა კლასს წარმოადგენდა.

ეს იმას ნიშნავს, რომ კლასობრივი ბრძოლის ხასიათი კოლმეურნეობის ბაზაზე ძირფესვიანად განსხვავდება იმ კლასობრივი ბრძოლის ხასიათიდან, რომელიც სოფლად სწარმოებდა მთლიან კოლექტივიზაციამდე.

კოლმეურნეობების შექმნამდე კლასობრივი ბრძოლა სოფლად ნიშნავდა ბრძოლას „კულაკთან, რომელიც ფლობს საწარმოო იარაღებს და საშუალებებს და რომელიც აკაბალებს ღარიბ გლეხებს ამ საწარმოო იარაღებით და საშუალებებით" (სტალინი). კლასობრივი ბრძოლა კოლმეურნეობათა ბაზაზე კი სწარმოებს ისეთ პირობებში, როცა „კულაკი დამარცხებულია, როცა მას

წართმეული აქვს საწარმოო იარაღები და საშუალებანი... როცა ღარიბები და საშუალო გლეხები გაერთიანებული არიან კოლმეურნეობებში ძირითად საწარმოო იარაღებისა და საშუალებათა განსაზოგადოების ბაზაზე" (ს ტ ა ლ ი ნ ი). ეს ბრძოლა სწარმოებს კოლმეურნეობებში შემძვრალ ან მის წინააღმდეგ გარედან მომქმედ მტერთან, რომელიც უკვე განდევნილია საკუთარი მეურნეობიდან. ეს ბრძოლა სწარმოებს, შემდეგ, კოლმეურნეობის წევრებს შორის კოლმეურნეობიდან „ინდივიდუალისტური და კულაკური ნაშთების გასაძევებლად. ეს ბრძოლა სწარმოებს გააფთრებული წინააღმდეგობის გამწევ კულაკურ ელემენტებთან, რომელნიც წვრილმესაკუთრულ განწყობილებათა ნაშთებს ემყარებიან.

ამრიგად, გლეხობის მდგომარეობა ახლანდელ პირობებში არსებითად განსხვავდება იმ მდგომარეობიდან, რომელიც მას ჰქონდა რევოლუციის პირველ წლებში. ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისში სოფლად გაბატონებული იყო წვრილმესაკუთრული გლეხური მეურნეობა, რომელიც ს ტ ი ქ ი უ რ ა დ წარმოშობდა კაპიტალიზმს და ამ უკანასკნელის ბაზას შეადგენდა. ამჟამად სოფლის ფენებად დაყოფა საბოლოოდ მოსპობილია და მ შ რ ო მ ე ლ ი გლეხობის დიდი უმრავლესობა გადაიქცა კოლმეურნეებად, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე დასაყრდენს წარმოადგენენ სოფლად. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება, სოფლად ფენებად დაყოფის საბოლოო მოსპობა ნიშნავს, რომ გადაჭრილია საკითხი „ვინ-ვის," როგორც ქალაქად, ისე სოფლად, და ცხადია, მ ო ი ს პ ო ი ს მ დ გ ო მ არეობა, როცა კაპიტალიზმისათვის საბჭოთა კავშირში უფრო მტკიცე ბაზა არსებობდა, ვიდრე სოციალიზმისათვის. სოციალისტური ეკონომიკის ფუნდამენტის აშენებით საბჭოთა კავშირში შეიქმნა მტკიცე ეკონომიური ბაზა კომუნიზმისათვის.

თანამედროვე ეტაპზე მშრომელი გლეხობის დიდი უმრავლესობა უკვე წარმოადგენს კოლმეურნეთა მასას, ხოლო მშრომელი ერთპიროვნული გლეხები კი ხვალინდელი კოლმეურნენი არიან. მშრომელ ერთპიროვნულ გლეხთა მდგომარეობაც საგრძნობლად განსხვავდება იმისაგან, რასაც ადგილი ჰქონდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ ეტაპზე, რამდენადაც მოსპობილია ფენებად დაყოფა, რამდენადაც საბოლოოდ გაიმარჯვა სოფლის განვითარების სოციალისტურმა გზამ, რამდენადაც საკითხი „ვინ—ვის" სოფლის მეურნეობაში, ისე როგორც მთელ სახალხო მეურნეობაში, უკვე გადაჭრილია.

თუ ლოზუნგი „გამდიდრდით!", მიმართული ერთპიროვნული მეურნეობისადმი, კულაკური ლოზუნგია, ლოზუნგი კულაკური საკუთრების განმტკიცებისა, კერძო—კაპიტალისტური დაგროვებისა, მაშინ კოლმეურნეთა შეძლებულებად გადაქცევის ლოზუნგი—სოციალისტური ლოზუნგია, ლოზუნგი სოციალისტური საკუთრების განმტკიცებისა, ლოზუნგი, რომელიც გამოხატავს კოლმეურნის დაინტერესებას სოციალისტური კოლექტიური მეურნეობის, როგორც მისი საკუთარი კეთილდღეობის ზრდის ძირითადი წყაროს, გაძლიერებაში.

მაგრამ ყველა ეს რადიკალური ცვლილება, რომელიც მოხდა გლეხთა კლასის ხასიათში, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ კოლმეურნეები შეადგენენ რალაც ახალ—ანგარიშით უკვე მეოთხე—კლასს, ანდა რომ ისინი უკვე არ წარმოად-

გენენ პროლეტარიატისაგან განსხვავებულ კლასს, უკვე არ შეადგენენ გლეხთა კლასს.

თუმცა კოლმეურნეები უკვე აღარ წარმოადგენენ დაქსაქსულ, წვრილ საქონელთმწარმოებელთა კლასს, მაგრამ ახლანდელ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ სრულიად არაა დამთავრებული გუშინდელი წვრილ საქონლის მწარმოებლის სოციალისტური გარდაქმნის პროცესი, იმ საქონელთმწარმოებლისა, რომელსაც ჯერ კიდევ საგრძნობლად შენარჩუნებული აქვს თავისი კერძომესაკუთრული ნაშთები, რის გამოც კოლმეურნეები ჯერ კიდევ გლეხურ, პროლეტარიატისაგან განსხვავებულ კლასს წარმოადგენენ. ამიტომ კოლმეურნეები წარმოადგენენ კოლმეურნე გლეხობას და სავსებით ძალაში რჩება მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის კავშირის ლოზუნგი, მთელ თავის გადამჭრელ მნიშვნელობას ინარჩუნებს მუშათა კლასის ხელმძღვანელობა მშრომელი გლეხობის მიმართ. ეს ხელმძღვანელობა თავისი მახვილით მიმართულია კულაკის წინააღმდეგ.

„რა არის კოლმეურნე გლეხობა? კოლმეურნე გლეხობა არის მუშათა კლასის მოკავშირე. ამ გლეხობის დიდი უმრავლესობა წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენს სოფლად. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ კოლმეურნეთა და კოლმეურნეობათა შორის არ შეიძლებოდეს ცალკე რაზმების არსებობა, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიდიან და მხარს უჭერენ მავნებლებს, მხარს უჭერენ პურის დამზადების საბოტაჟს“ [1].

ახლანდელი კოლმეურნე იმყოფება მშრომელი ერთპიროვნული გლეხიდან უკლასო საზოგადოების მუშაკად გადაქცევის მდგომარეობაში. ის ჯერ კიდევ გლეხია, მაგრამ ისეთი გლეხი, რომელიც უკვე დაადგა სოციალისტურ გზას; ხოლო რამდენადაც ახლანდელი კოლმეურნის—გუშინდელი ერთპიროვნული მეურნის გარდაქმნა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, იგი ჯერჯერობით მშრომელი გლეხობის კლასს ეკუთვნის.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესი არაა ახალი კლასის წარმოშობის პროცესი, არამედ იგი მშრომელი ერთპიროვნული მეურნის უკლასო საზოგადოების მუშაკად გარდაქმნის პროცესია.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი წინსვლა სოციალიზმისაკენ გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში ხდება, რომ მომაკვდავი კაპიტალისტური კლასების ნაშთები გააფთრებული წინააღმდეგობის გაწევას კვლავ განაგრძობენ. ისინი ცდილობენ შიგნიდან დაარღვიონ კოლმეურნეობანი, რისთვისაც იყენებენ კოლმეურნეთა ჩამორჩენილი ნაწილის წვრილმესაკუთრულ ინსტიქტებს. ეს განსაკუთრებულად აუცილებელს ხდის პროლეტარიატის ხელმძღვანელ ზემოქმედებას კოლმეურნე გლეხობაზე და კოლმეურნეობებში უმრავლესობის მოპოვებისათვის შეუპოვარ, ბოლშევიკურ ბრძოლას, რომელსაც უშუალოდ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებები ატარებენ.

---

[1] სტალინი, სიტყვა პოლიტბიუროსა და ც. საკ. კო—იის გაერთიანებულ სხდომაზე 1932 წლის 27 ნოემბერს. ციტატი მოყვანილია ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების მიხედვით, რომელიც გაკეთებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტისა და ც. ს. კომისიის იანვრის პლენუმზე პირველ სტრიქონში ხაზი ჩემია. ლ. გ.

კოლმეურნენი, როგორც კლასი, ჯერ კიდევ განსხვავდებიან მუშათა კლასისგან. საკოლმეურნეო წარმოებაში ამჟამად სახელმწიფო საკუთრება მცირე როლს როდი ასრულებს. ნაციონალიზირებული მიწის გარდა უდიდეს და სულ უფრო და უფრო მზარდ როლს ასრულებენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საწარმოო იარაღები, რომლებსაც კოლმეურნეობაში იყენებენ. მაგრამ ძირითად როლს ჯერ-ჯერობით ასრულებს საწარმოო საშუალებებზე კოლმეურნეობის კერძო საკუთრება. გარდა ამისა, ჯერ კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვანია კოლმეურნეთა ინდივიდუალური საკუთრების როლი. რამდენადაც დღევანდელი კოლმეურნენი გუშინდელი ერთპიროვნული მეურნენი არიან, მათ ჯერ კიდევ ძალიან ხშირად წვრილმესაკუთრული, ზოგიერთ მათგანს კი კულაკური ნაშთებიც ახასიათებს.

კოლმეურნენი ჯერ კიდევ იმიტომ წარმოადგენენ გლეხობას, რომ კიდევ არაა დაძლეული საშუალო გლეხობის „მეორე სულის“, კერძო მესაკუთრის ვაჭრული სულის, ნაშთები.

„პროლეტარიატმა უნდა გაარჩიოს, განასხვაოს მშრომელი გლეხი მესაკუთრე გლეხისაგან,—მუშა გლეხი ჩარჩი გლეხისაგან,—მშრომელი გლეხი სპეკულიანტი გლეხისაგან. ამ გამიჯვნაშია სოციალიზმის მთელი რაობა“ (ლენინი, ტ. XXIV, გვ. 512).

ამ ლენინურ ხაზს, რომელსაც პარტია ატარებს, შედეგად მოყვა, საკოლმეურნეო წყობილების ბრწყინვალე გამარჯვება, კულაკის განადგურება. მაგრამ ეს გამიჯვნა ინარჩუნებს სხვა ფორმაში და სხვა შინაარსით თავის ძალას კოლმეურნის მიმართაც.

კოლმეურნისათვის უკვე აღარ არის დამახასიათებელი საშუალო გლეხის ორმაგი ბუნება, რომლის შესახებაც ზემოდ იყო ლაპარაკი. საშუალო გლეხის ორმაგი ბუნება მისი მეურნეობის წვრილმესაკუთრულ ხასიათთან იყო განუყრელად დაკავშირებული. იგი იყო მშრომელი, მაგრამ მშრომელი—წვრილ საქონელთმწარმოებელი. კოლმეურნეც მშრომელია, მაგრამ უკვე არა წვრილი საქონელთმწარმოებელი.

კოლმეურნეს ორი მხარე აქვს—საზოგადოებრივი და კერძომესაკუთრული. „ის ფაქტი, რომ კოლმეურნე შევიდა კოლმეურნეობაში, იმას ნიშნავს, რომ მისი საზოგადოებრივი მხარე სჭარბობს მის წვრილმესაკუთრულ მხარეს. კოლმეურნეობის მართებული ორგანიზაციით და ქურდებთან და მავნებლებთან ბრძოლით ჩვენ ვანვითარებთ ამ საზოგადოებრივ მხარეს, ხოლო იმ მხარეს, რომელსაც კლასობრივი მტერი ებღაუჭება, ე. ი. წვრილმესაკუთრულ, წამგლეჯურ მხარეს,—ძირს ვუთხრით“ (კაგანოვიჩი, „ბოლშევიკი“ №1—2, გვ. 32).

კოლმეურნეთა შეგნება ჯერ კიდევ ჩამორჩება მათი, როგორც წარმოების კოლექტივისტების, ყოფიერებას.

ჯერ კიდევ „დიადი გარდატეხის წელში,“ 1929 წელს, აგრარნიკებისკონფერენციაზე ამხ. სტალინი ხაზგასმით აღნიშნავდა კოლმეურნეობის და კოლმეურნის ოპორტუნისტული გადაფასების, იდეალიზაციის საშიშროებას. „შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რაკი მოცემულია კოლმეურნეობანი, ამით მოცემულია ყველაფერი, რაც აუცილებელია სოციალიზმის ასაშენებლად. მით უფ-

რო შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ კოლმეურნეობათა წევრები უკვე სოციალისტებად გადაიქცენ. არა, ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ გარდავქმნათ კოლმეურნე გლეხი, გამოვასწოროთ მისი ინდივიდუალისტური ფსიქოლოგია და შევქმნათ მისგან სოციალისტური საზოგადოების ნამდვილი მშრომელი" (ს ტ ა ლ ი ნ ი, „ლენინიზმის საკითხები", გვ. 455, 456, ქართ. გამოცემა გვ. 533).

„კოლმეურნეობებში მოიპოვებიან ინდივიდუალისტური და თვით კულაკური ნაშთებიც, რომლებიც ჯერ კიდევ არ გამქრალან, მაგრამ რომლებიც აუცილებლად უნდა გაქრენ დროთა ვითარებაში, კოლმეურნეობათა განმტკიცებასთან ერთად, მათ მანქანიზაციასთან ერთად".

„ადამიანთა შეგნება თავის განვითარებაში ჩამორჩება მათ ფაქტიურ ყოფიერებას. კოლმეურნენი მდგომარეობით უკვე ერთპიროვნული მეურნენი აღარ არიან, არამედ კოლექტივისტები არიან, მაგრამ მათი შეგნება ჯერ კიდევ ძველი, კერძო-მესაკუთრულია" (ს ტ ა ლ ი ნ ი, მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ც. საკ. კ-ის იანვრის პლენუმზე).

„ბევრმა ჩვენმა ამხანაგმა გაზვიადებულად შეაფასა კოლმეურნეობანი, როგორც მეურნეობის ახალი ფორმა, გაზვიადებულად შეაფასა და ხატად აქცია ისინი... კოლმეურნეობანი... წარმოადგენენ ორგანიზაციის მარტოოდენ ფ ო რ მ ა ს, მართალია სოციალისტურს, მაგრამ მაინც ორგანიზაციის ფ ო რ მ ა ს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა შ ი ნ ა ა რ ს ი ჩაიდება ამ ფორმაში" (ს ტ ა ლ ი ნ ი, „სოფლად მუშაობის შესახებ", გვ. 39-40, პარტგამომცემლობა, 1933 წ.).

ცხადია, რომ საჭიროა შეუპოვარი ბრძოლა კოლმეურნის სოციალისტური გარდაქმნისათვის, კოლმეურნეობაში წვრილმესაკუთრული, ზოგჯერ კი პირდაპირი კულაკური ნაშთების დაძლევისათვის.

ცხადია, რომ კოლმეურნეთა სოციალისტური გარდაქმნა განუყრელად დაკავშირებულია კოლმეურნის კერძომესაკუთრულ ნაშთებზე დაყრდნობილი კლასობრივი მტრის, კულაკის, მოკულაკოს ყოველი ტიპის კულაკური აგენტურის დაუზოგავ დათრგუნვასა და მოსპობასთან.

კოლმეურნეს სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლა განსაკუთრებული ფორმაა კლასობრივი ბრძოლისა სოციალისტური საკუთრების დაცვისა, განმტკიცებისა, განვითარებისა და გამრავლებისათვის, მისდამი დამზოგავი დამოკიდებულებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა ზუსტი და უეჭველი შესრულებისათვის, შრომის მართებული, სოციალისტური ორგანიზაციისათვის, შრომის სოციალისტური დისციპლინისათვის, სამუშაოთა მაღალი ხარისხისათვის, კოლმეურნეობის და ამით თვით კოლმეურნის შემოსავლიანობის გადიდებისათვის.

კოლმეურნის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანა მოითხოვს კოლმეურნეთა მკვიდრი უმრავლესობის მიმხრობას, ამ ლოზუნგების გარშემო მათ სულ უფრო და უფრო შემჭიდროებას, მათ შეგნებაში იმის გაგების სულ უფრო მკვიდრად დანერგვას, რომ მათი კეთილდღეობის ამაღლება ეყრდნობა სწორედ სოციალისტური საკუთრების განმტკიცებას, სახელმწიფოს მიმართ ვალდებულე-

ბათა შესრულებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხის ამაღლებას.

კოლმეურნეობებში უმრავლესობის მიმხრობის გზა კლასობრივი ბრძოლის გზაა.

„კოლმეურნეობებში უმრავლესობის მიმხრობა შეიძლება მხოლოდ კოლმეურნეობის მოწინააღმდეგე ელემენტებთან, კულაკთა აგენტებთან ბრძოლაში. უპარტიოთა აქტივის შექმნა შეიძლება არა უბრალოდ ფორმალურად, გამგეობასთან მისი შეკრებით, არამედ იმით, რომ ყოველდღიურად, ყოველსაათობით შევამჟიდროვოთ იგი კოლმეურნეობათა აღმავლობისათვის, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საბრძოლო კონკრეტული ფაქტების ირგვლივ, შევამჟიდროვოთ კულაკის წინააღმდეგ, ქურდების წინააღმდეგ, დამტაცებელთა, ზარმაცების, წამგლეჯების და იმათ წინააღმდეგ კონკრეტულ საბრძოლველად, ვინც კოლმეურნეობის ინტერესებს და პროლეტარულ სახელმწიფოს ინტერესებს ერთმანეთს უპირდაპირებს“. [1]

ყველა ამ ამოცანის წარმატებით განხორციელება მოითხოვს სოფლის პარტორგანიზაციების მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნას. ეს გარდაქმნა და სოფლის პარტორგანიზაციების იმ შეცდომების და ნაკლის გამოსწორება, რომელთა შესახებაც ლაპარაკობდა ამხ. ს ტ ა ლ ი ნ ი თავის სიტყვაში სოფლად მუშაობის შესახებ, კიდევაც სწარმოებს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა ხელმძღვანელობით, რ ო მ ე ლ ნ ი ც კ ო ლ მ ე ურ ნ ე თ ა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ურ ი გ ა რ დ ა ქ მ ნ ი ს ა თ ვ ი ს პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს მ ძ ლ ა ვ რ ი ა რ ა ღ ს წარმოადგენენ.

„სოციალიზმი კლასების მოსპობაა. რათა კლასები მოვსპოთ, საჭიროა, ჯერ-ერთი, დავამხოთ მემამულეები და კაპიტალისტები. ამოცანის ეს ნაწილი ჩვენ უკვე შევასრულეთ, მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილია და ამასთან არც თუ ყველაზე ძნელი. რათა კლასები მოვსპოთ, საჭიროა, მეორე, მოვსპოთ განსხვავება მუშასა და გლეხს შორის, გადავაქციოთ ყ ო ვ ე ლ ა ნ ი მ უ შ ა ჯ ე ბ ა დ. ამას ერთბაშად ვერ შევძლებთ. ეს—შეუდარებლად უფრო ძნელი და, აუცილებლობის გამო, სახანგრძლივო ამოცანაა. ეს ისეთი ამოცანაა, რომელსაც ვერ გადავჭრით ერთი, რომელიც გნებავთ, კლასის დამხობით“ (ლ ე ნ ი ნ ი, ტ. XXIV, გვ. 511).

ეს განსხვავება მუშასა და გლეხს შორის მოისპობა არა გლეხის გადაქცევით მუშად, არა კოლმეურნეობათა საბჭოთა მეურნეობებად გადაქცევით, არა აგრო-ინდუსტრიალური კომბინატების მიერ კოლმეურნეობათა შთანთქმით. ეს განსხვავება მოისპობა კოლმეურნის გარდაქმნით უკლასო საზოგადოების მუშაკად კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საფუძველზე, სოციალისტური ინდუსტრიის ხელმძღვანელობით კოლმეურნეობათა სულ უფრო და უფრო მეტი მექანიზაციის, მაღალ-რენტაბელურ მეურნეობებად მათი გადაქცევის, კოლმეურნეობათა ბოლშევიკურ მეურნეობებად გადაქცევის საფუძველზე.

[1] კაგანოვიჩი, „Цели и задачи политических отделов МТС и совхозов,“ „Большевик“, № 1—2, გვ. 34, 1933 წ.

რა არის საჭირო მუშასა და გლეხს შორის განსხვავების მოსასპობად? რა არის საჭირო კოლმეურნეთა ისეთი სოციალისტური გარდაქმნისათვის, რომ მათ დაკარგონ განსაკუთრებული, პროლეტარიატისაგან განსხვავებული კლასის თვისებები და გადაიქცენ ისეთი საზოგადოების მუშაკებად, სადაც არ არსებობს კლასებად დაყოფა?

ამისათვის აუცილებელია შეიქმნას „პირობები ქალაქისა და სოფლის დაპირდაპირების სრულიად მოსპობისათვის“ (მე-17 პარტკონფერენცია). აუცილებელია სოფლის მეურნეობის სრული კოლექტივიზაცია, საბჭოთა მეურნეობების შემდგომი ზრდა. აუცილებელია მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის საფუძველზე „საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების შეიარაღება მოწინავე სამანქანო ტექნიკით, რომელიც სასოფლო-სამეურნეო შრომას ნამდვილად აქცევს ინდუსტრიალური შრომის ერთ სახედ, და აუცილებელია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობას შორის სატრანსპორტო კავშირის და საქონლის ბრუნვის საგრძნობლად განმტკიცება“ (XVII პარტკონფერენცია, ხაზი ჩემია. ლ. გ.)

ეს ტექნიკური შეიარაღება, საკოლმეურნეო წარმოების მექანიზაცია, რომელიც სამანქანო-სატრაქტორო სადგურების განვითარების და განმტკიცების საფუძველზე ხორციელდება, უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ სახელმწიფოებრივ საწარმოო საშუალებათა მზარდ როლთან, რომელთაც იყენებს კოლმეურნეობა და რაც უდიდეს როლს ასრულებს კოლმეურნის სოციალისტურ გარდაქმნაში.

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების პროცესი, პროცესი მათი ნამდვილ ბოლშევიკურ კოლმეურნეობად, ხოლო ყოველი კოლმეურნის კი შეძლებულ კოლმეურნედ გადაქცევისა, წარმოადგენს კოლმეურნეობაში განსაზოგადოებული მეურნეობის ხვედრითი წონის გაძლიერების პროცესს, სწორედ ამ განსაზოგადოებული მეურნეობის საფუძველზე კოლმეურნის მატერიალური და კულტურული დონის სწრაფად ზრდის და სპეკულატიური ტენდენციების აღმოფხვრის პროცესს. ყოველივე ეს კოლმეურნის იმ სოციალისტურ გარდაქმნის არსებითი ელემენტებია, რომელიც აუცილებელია მისი უკლასო საზოგადოების მუშაკად გადაქცევისათვის. ამის მიღწევა შეიძლება არა თვითდინებით, არამედ ბოლშევიკური ორგანიზებულობით, შეურიგებელი ბრძოლით პარტიის გენერალური ხაზიდან გადახვევების წინააღმდეგ, კლასობრივი მტრის წინააღმდეგობის მტკიცე დაძლევით. სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და მათი პოლიტგანყოფილებანი, რომელთაც ლენინური პარტია ხელმძღვანელობს,— აი კოლმეურნის სოციალისტური გარდაქმნის ძირითადი ბერკეტი.

სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის მსოფლიო ისტორიულ მიღწევათა საფუძველზე პარტია შეუდგა კაპიტალიზმის სრულ აღმოფხვრას; მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე ამოგდებულ იქნა კაპიტალიზმის ყველაზე ღრმა ფესვები.

კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვისა და განდევნის ლოზუნგიდან პარტია გადავიდა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგზე.

თუ ამჟამად საბჭოთა კავშირში მოიპოება კაპიტალისტთა გადაგურებული კლასის მხოლოდ ნაშთები, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში კაპიტალისტური ელემენტები,—თუმცა ისინი თავისი დაქვემდებარებული, პროლეტარული დიქტატურის მიერ ძლიერ შეზღუდული მდგომარეობის გამო, არ ეკუთვნოდენ ძირითად კლასთა რიცხვს,—მაინც წარმოადგენდენ კლასს. კაპიტალისტები რომ განსაკუთრებულ კლასს არ წარმოადგენდენ, მაშინ არც წამოიჭრებოდა პრობლემა „ვინ—ვის“. მხოლოდ პრობლემის „ვინ—ვის“ გადაჭრის შემდეგ კაპიტალისტური კლასი ნაცვლად ამჟამად მხოლოდ მისი ნაშთები ღა არსებობენ.

ლენინს და სტალინს ტერმინი „კლასი“ მრავალჯერ გამოუყენებიათ სოფლის კაპიტალისტური ელემენტების მიმართ. პარტია მუდამ მზედგელობაში იღებდა კაპიტალიზმის რესტავრაციის შესაძლებლობას, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, სადაც წვრილსაქონლური მეურნეობა სჭარბობს. ამიტომ პარტია, რომელმაც ახალი ეკონომიური პოლიტიკის აღდგენითი პერიოდის პირველ წლებში დაუშვა კულაკის და ქალაქის ბურჟუაზიის არსებობა და მათი ერთგვარი ზრდაც კი განსაზღვრულ ჩარჩოებში, არასდროს არ დასდგომია ვაპრობის განუსაზღვრელი თავისუფლების, კაპიტალისტური ელემენტების განვითარების თავისუფლების გზას და შეურიგებლად ებრძოდა კულაკური საფრთხის, კულაკის ზრდის საფრთხის შეუფასებლობას. პარტიამ ყველა ძალების მობილიზაცია მოახდინა საკითხის „ვინ—ვის“ გადასაწყვეტად.

რამდენად გიგანტურად განმტკიცდა სოციალიზმი საბჭოთა კავშირში და რამდენად დაეშვენ უფსკრულისაკენ კაპიტალიზმის ელემენტები, ეს სჩანს რევოლუციური კანონიერების ხასიათის ცვლილებიდან. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი პერიოდის რევოლუციური კანონიერება თავისი ხახვილით მიმართული იყო, უწინარეს ყოვლისა, „სამხედრო კომუნიზმის უკიდურესობათა წინააღმდეგ, „უკანონო“ კონფისკაციების და გადასახადების წინააღმდეგ. კერძო მეპატრონეს—ერთპიროვნულ მეურნეს, კაპიტალისტს იგი აძლევდა მათი ქონების შენარჩუნების გარანტიას მათ მიერ საბჭოთა კანონების უსასტიკესი დაცვის პირობებში“ (სტალინი, „ხუთწლედის შედეგები“, გვ. 43). ამას შეესაბამებოდა იმ წვრილსაქონლური მეურნეობის სიჭარბე ჩვენს ქვეყანაში, რომელიც აუცილებლად წარმოშობს კაპიტალიზმს, ამას შეესაბამებოდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ ეტაპზე კაპიტალისტური მეურნეობის დაშვება განსაზღვრულ ფარგლებში. ცხადია ამჟამად, როცა სოციალიზმი განმტკიცდა მთელს სახალხო მეურნეობაში, როცა ამ მეურნეობიდან განდევნილი არიან კაპიტალისტური ელემენტები, რევოლუციური კანონიერების საფუძვლად გადაიქცა საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრების დაცვა. ახლა რევოლუციური კანონიერება თავისი ხახვილით მიმართულია კლასობრივი მტრის და მისი აგენტურის წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობენ საზოგადოებრივი ქონების დატაცებას.

სახალხო მეურნეობიდან განდევნილი კლასობრივი მტერი, რომელსაც „იერიში მიაქვს კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის საკუთრებაზე, ცდილობს ძირი გამოუთხაროს სოციალისტურ წყობილებას. პურის, საკოლმეურნეო პი-

რუტყვის, თესლეულის და სხვ. მოპარვა—არ არის სისხლის სამართლის ჩვეულებრივი დანაშაული. ესაა კოლმეურნეობათა წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლის ფორმა, ესაა პოლიტიკური გამოსვლა საბჭოთა წყობილების საფუძვლების წინააღმდეგ (კაგანოვიჩი, „Большевик", № 1—2, გვ. 31—32. 1933 წ.).

ის ფაქტი, რომ „ქალაქის და სოფლის კაპიტალისტური ელემენტები დამარცხებული არიან, სოციალისტური ეკონომიკის ფუნდამენტი აშენებულია, სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში უზრუნველყოფილია" (იანვრის პლენუმის რეზოლუცია), არ ნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს კლასობრივი ბრძოლის მინელება.

„ზოგიერთმა ამხანაგმა თეზისი კლასების მოსპობის, უკლასო საზოგადოების შექმნის და სახელმწიფოს კვდომის შესახებ ისე გაიგო, როგორც ზარმაცობის და უდარდელობის გამართლება, როგორც კლასობრივი ბრძოლის მინელების და სახელმწიფო ხელისუფლების დასუსტების კონტრრევოლუციური თეორიის გამართლება. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთ ადამიანებს არ შეიძლება რაიმე საერთო ქონდეთ ჩვენს პარტიასთან. ესენი არიან გადაგვარებულნი ან თვალთმაქცნი, რომელნიც საჭიროა გავაძევოთ პარტიიდან. კლასების მოსპობა შეიძლება მიღწეულ იქნას არა კლასობრივი ბრძოლის მინელების, არამედ მისი გაძლიერების გზით" (ს ტ ა ლ ი ნ ი).

„პროლეტარიატის ძლიერი და მძლავრი დიქტატურა—აი რა გვჭირდება ჩვენ ახლა იმისთვის, რომ გავაკამტეეროთ მომაკვდავი კლასების უკანასკნელი ნაშთები და აღკვეთოთ მათი ქურდული მახინაციები" (ს ტ ა ლ ი ნ ი, „პირველი ხუთწლედის შედეგები").

კაპიტალისტთა კლასი დამარცხებულია, მაგრამ მისი ნაშთები ჯერ კიდევ არსებობენ და გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევენ. „კულაკები დამარცხებული არიან, მაგრამ არა სავსებით განადგურებულნი. კიდევ მეტი,—ისინი ჯერ კიდევ მალე არ იქნებიან განადგურებული, თუ კომუნისტები დაიწყებენ მთქნარებას და მიეცემიან უდარდელობას, იმ იმედით, რომ კულაკები თვით ჩაწვებიან საფლავში, ასე ვთქვათ, თავისი სტიქიური განვითარების წესით" (სტალინი, „სოფლად მუშაობის შესახებ", გვ. 13—14, პარტგამომცემლობა, 1933 წ.).

„კულაკს, როგორც კლასს, ლიკვიდაცია ეუყავით ჩვენ ძირითადად, მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ლიკვიდირებულია ყველა კულაკი, რომ კულაკური წინააღმდეგობა უკვე მოსპობილია, რომ ლიკვიდირებულია კლასობრივი ბრძოლა" (კაგანოვიჩი, მოხსენება იანვრის პლენუმზე, „ბოლშევიკი" № 1—2, 1933 წ. გვ. 20).

ამხ. კაგანოვიჩმა თავის მოხსენებაში იანვრის პლენუმზე დეტალურად გაანავითარა დებულება, რომ კულაკობა, რომელიც დამარცხებულია და ძირითადად ლიკვიდირებული, როგორც კლასი, ჯერ კიდევ არ არის სავსებით განადგურებულიო. კულაკობა ჯერ კიდევ ნაწილობრივ დარჩა სოფლად. ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ სავსებით არ არის ჩატარებული განკულაკება. შემდეგ, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში ნაწილობრივ დარჩენ გადაუსახლებელი კულაკები, ჯერ კიდევ შედარებით ბლომად მოიპოვებიან ისეთები, რომელნიც გამოქცეულნი არიან გადასახლებიდან და იმალებიან, მოიპოვებიან შეძლებული

გლეხები, მჭიდროდ დაკავშირებულნი კულაკურ ელემენტებთან. დაბოლოს, მოიპოვებიან ბურჟუაზიული, თეთრგვარდიული, პეტლიურული, ყაზახური, ესერული და სხვ. კონტრრევოლუციური ინტელიგენციის წარმომადგენელნი, სხვადასხვა „ყოფილი ადამიანები“, რომელნიც ყოველნაირად მხარს უჭერენ კულაკს. მაგრამ ყველა ამ კლასობრივი მტრის გარდა სათვალავში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ კულაკური იდეოლოგიის ნაშთები ცოცხლობს ზოგიერთი კოლმეურნის შეგნებაში, მის მოქმედებაში. კულაკობის ნაშთები ყოველნაირად ცდილობენ გახრწნან შიგნიდან კოლმეურნეობა, ცდილობენ გააღვივონ წვრილმესაკუთრული ფსიქოლოგია, კერძომეურნეობრივი დაგროვების წყურვილი, რომელიც კოლმეურნეებმა მემკვიდრეობით მიიღეს მესაკუთრეთა მრავალი თაობისაგან და რომელიც ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მათში. კულაკობის ნაშთები აწყობენ თესვის, მოსავლის აღების, პურის დამზადების საბოტაჟს, ეწევიან სამეურნეო მავნებლობას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აწყობენ იქ შრომის დისციპლინის ჩაშლას, აწყობენ კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის სოციალისტური საკუთრების დატაცებას. ასეთია კლასობრივი მტრის ახალი ტაქტიკა.

ამასთანავე ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ კლასობრივი ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში სწარმოებს საერთაშორისო კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში. ლ ე ნ ი ნ ს არაერთხელ გაუსვამს ხაზი იმ გარემოებისათვის, რომ ექსპლოატატორების—ბურჟუაზიისა და მემამულეების—დამხობის მიუხედავად, მათი წინააღმდეგობის ენერგია იზრდება სწორედ მათი ბევრი დამარცხების გამო.

„მათ ჯერ კიდევ დარჩათ საერთაშორისო ბაზა, საერთაშორისო „კაპიტალი, რომლის განკუთვნილებასაც ისინი წარმოადგენენ“ (ტ. XXIV, გვ. 514). ჩვენი ქვეყნის მომაკვდავი კლასების მიერ წინააღმდეგობის გაწევა სწარმოებს არა გარეშე ქვეყნისაგან იზოლირებულად, არამედ მას მხარს უჭერს მთელი კაპიტალისტური გარემოცვა“ (ს ტ ა ლ ი ნ ი. „ლენინიზმის საკითხები“, მე-4 გამოც., გვ. 675, ქართ. გამოცემა გვ. 616).

ძლევამოსილად ვანხორციელებთ რა სოციალისტურ შეტევას მთელი ფრონტით, ვთრგუნავთ რა კლასობრივი მტრის გააფთრებულ წინააღმდეგობას და მივდივართ რა კლასობრივი ბრძოლის გაძლიერების გზით კლასების მოსპობისაკენ, ჩვენ არ შეგვიძლია განვიხილოთ ეს ბრძოლა საბჭოთა კავშირის კაპიტალისტურ მსოფლიოსთან ურთიერთობის გარეშე. „კაპიტალისტური გარემოცვა უბრალო გეოგრაფიული ცნება როდია. კაპიტალისტური გარემოცვა—ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის გარშემო არიან მტრულად განწყობილი კლასობრივი ძალები, რომლებიც მზად არიან მხარი დაუჭირონ კლასობრივ მტრებს საბჭოთა კავშირის შიგნით მორალურადაც, მატერიალურადაც, ფინანსიური ბლოკადის გზითაც, და, თუ შემთხვევა იქნება, სამხედრო ინტერვენციის გზითაც. დამტკიცებულია, რომ ჩვენი სპეცების მავნებლობას, კულაკობის ანტისაბჭოთა გამოსვლებს, ჩვენ საწარმოთა და ნაგებობათათვის ცეცხლის წაკიდებას და მათ აფეთქებას სუბსიდიებით უზრუნველყოფენ და აქეზებენ გარედან. იმპერიალისტური მსოფლიო არ არის დაინტერესებული იმით, რომ საბჭოთა კავში-

რი ფეხზე დადგეს და მას შესაძლებლობა მიეცეს დაეწიოს და გაუსწროს მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. აქედან გამომდინარეობს მისი დახმარება ძველი ქვეყნის ძალებისადმი საბჭოთა კავშირში“ (ს ტ ა ლ ი ნ ი — „ლენინიზმის საკითხები,“ გვ. 675, ჭართ. გამოცემა გვ. 616).

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ ზედმეტად უსვამს ხაზს კლასობრივი ჰარმონიის იმ ტკბილად მომღერალთა ოპორტუნიზმის მთელ სიღრმეს, რომლებიც ლაპარაკობენ კლასობრივი ბრძოლის მინელების შესახებ თანამედროვე პირობებში. ძლევამოსილად აშენებს რა სოციალიზმს პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ანმტკიცებს საერთაშორისო რევოლუციის ციტადელს.

ამიტომ რა ფასი აქვთ ოპორტუნისტულ თეორიებს სახელმწიფოს კვდომის და სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში პროლეტარული დიქტატურის შესუსტების შესახებ. ასეთი „თეორიები წყალს უშვებენ ჩვენი კლასობრივი მტრების წისქვილზე. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, რომელიც სოციალიზმს აშენებს, გამანადგურებელ ლახვარს სცემს კლასობრივ მტერს და განადგურებული კაპიტალისტური ელემენტების ნაშთების გააფთრებულ ბრძოლას სძლევს,— ანმტკიცებს თავის დიქტატურის ძლიერებას, ღებულობს რა ყოველივე ზომას იმისათვის, რომ „მოეწყოს თავდაცვა კაპიტალისტური გარემოცვის წინააღმდეგ, რომელიც მთლიანად ჯერ კიდევ არ არის მოსპობილი და არც ისე ჩქარა იქნება მოსპობილი“ (ს ტ ა ლ ი ნ ი).

მომაკვდავი კლასების ნაშთები, რასაკვირველია, გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ სოციალისტურ მშენებლობას და მათთან შეუპოვარი, გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა სწარმოებს.

კაპიტალისტთა კლასის ნაშთები თავიანთ ძალღონეს სოციალისტური საკუთრების დატაცებისაკენ მიმართავენ. ასეთია კაპიტალისტური კლასის ნაშთების დამოკიდებულება საკოლმეურნეო სოფლისადმი, სოციალისტური საწარმოო საშუალებებისადმი. მასების მობილიზაცია სოციალისტური საკუთრების დასაცავად, ამ საკუთრებაზე კლასობრივი მტრის და მისი აგენტურის მიერ იერიშის მიტანის ცდის შეუბრალებლად დათრგუნვა წარმოადგენს კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ იმ გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ფორმებს, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს.

მაშასადამე, კაპიტალისტური ელემენტების ს ა ბ ო ლ ო ო ლიკვიდაციი სათვის საჭიროა არა მარტო მათი ნაშთების განდევნა იმ მცირერიცხოვან საკუთარი მეურნეობებიდან, სადაც ისინი ჯერ კიდევ არიან მოკალათებული, არამედ საჭიროა აგრეთვე მათი დმმარღვეველი მუშაობის აღმოფხვრა ჩვენს საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში.

ეს კლასობრივი ბრძოლა ხშირად სწარმოებს სოციალისტური საწარმოების შიგნით, ფაბრიკებსა და ქარხნებში, მაღაროებსა და დეპოებში, მაღაზიებში, ხოლო განსაკუთრებით კი კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში, სადაც შეძვრენ კაპიტალისტური ელემენტები, რომლებიც ცდილობენ იქ დამრღვეველი მუშაობა აწარმოონ. აქედან ცხა-

დია; რომ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დასაცავად, ბრძოლა ანტისახელმწიფოებრივი ტენდენციების წინააღმდეგ, ბრძოლა შრომის სოციალისტური დისციპლინისათვის, ბრძოლა სამუშაო დღეების გაცდენის წინააღმდეგ, ბრძოლა გაუპიროვნების წინააღმდეგ—წარმოადგენს კაპიტალისტთა მომაკვდავი კლასის წინააღმდეგ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ფორმებს.

ცხადია, რომ ბრძოლა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის, კოლმეურნეობათა გადასაქცევად ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად, ბრძოლა კოლმეურნეთა გადასაქცევად შეძლებულებად,—ეს ბრძოლა მიმართულია კლასობრივი მტრის დაშრღევი მუშაობის წინააღმდეგ და ამავე დროს მიმართულია კოლმეურნე-გლეხის იმ კერძომესაკუთრული ნაშთების აღმოსაფხვრელად, რომლებზეც დაყრდნობასაც კლასობრივი მტერი ცდილობს.

შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცება, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება განუყრელად დაკავშირებულია კაპიტალისტური კლასის და მისი ნაშთების სრული ლიკვიდაციის ამოცანასთან.

ბრძოლა შრომის სოციალისტური დისციპლინისათვის, სოციალისტური საკუთრებისათვის, ბრძოლა ზარმაცების, წამგლეჯელების, არამზადების, სამუშაო დღის გამცდენების, საბოტაჟნიკების და სპეკულიანტების წინააღმდეგ ჩვენს საწარმოებსა და კოლმეურნეობებში წარმოადგენს კლასების მოსპობის და, კერძოდ, კაპიტალისტური კლასის ნაშთების საბოლოო ლიკვიდაციის აუცილებელ პირობას. პროლეტარიატი, როგორც კლასი, „ხელაძღვანელობას უწევს მერყევ შუალედ ელემენტებს და კლასებს, იგი თრგუნავს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის გაზრდილ ენერგიას. ყოველივე ეს—კლასობრივი ბრძოლის გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ამოცანებია, რომლებსაც წინათ პროლეტარიატი არ ისახავდა და არც შეეძლო დაესახა“ (ლ ე ნ ი ნ ი“). ამ ბრძოლას აწარმოებს პროლეტარიატი, რომელიც ორგანიზებულია სახელმწიფო ხელისუფლებად, პროლეტარიატი, რომელიც ანხორციელებს კოლმეურნის სოციალისტურად გარდაქმნისა და კაპიტალისტური ელემენტების სრული ლიყვიდაციის ისტორიულ მისიას.

გ ა ს წ ო რ ე ბ ა

ჟურნალის № 9-ში, გვ. 60, ქვევიდან მე-9 სტრიქონში წ ე რ ი ა: ამავე დროს ისინი პირველ რიგში ასრულებენ სახელმწიფო ვალდებულებებს სამანქ.-სატრ. სადგურის წინაშე... უ ნ დ ა ი ყ ო ს: ამავე დროს ისინი პირველ რიგში ასრულებენ სახელმწიფო ვალდებულებებს, უხდიან ნატურგამოსაღებს სამანქ.-სატრაქტ. სადგურებს...

გვ. 63, ზევიდან მე-11 სტრიქონში წ ე რ ი ა: ... ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის 1932 წ. 2 აგვისტოს დადგენილებაში“, უ ნ დ ა ი ყ ო ს: ... 1933 წ. 2 აგვისტოს დადგენილებაში“...

გვ. 67, ქვევიდან პირველ სტრიქონში წ ე რ ი ა:... მისი ფაქტიური მუშაობის რაოდენობასა და ხარისხის მიხედვით... უ ნ დ ა ი ყ ო ს... მისი ფაქტიური სამუშაო დღეების მიხედვით...

სარედაქციო კოლეგია:
გ. არუთინოვი
ვ. ბაქრაძე
ე. ბელია
ნ. კიკნაძე
კ. ორაგველიძე
გ. სტურუა
მ. ტოროშელიძე
პ. შარია

ბ 838
1933

საქ. კ. პ. (ბ) ყველა რაიკომებს და უჯრედებს, პარტიის ყველა წევრ-კანდიდატებს

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის საკ. კომისიის დადგენილება პარტიის წმენდის შესახებ აღნიშნავდა, „რომ პარტიის წევრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო, პარტიის შემადგენლობაში აღმოჩნდა არამცირე რიცხვი, თუმცა საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად მზადმყოფი, ამხანაგებისა, მაგრამ არასაკმაოდ მტკიცე, რომლებსაც არ ესმოდათ პარტიული დისციპლინის არსი და მოთხოვნილებანი, ანდა პოლიტიკურად მცირე მცოდნენი, რომლებმაც არ იციან პარტიის პროგრამა და ძირითადი დადგენილებანი, რის გამოც არ შეუძლიათ აქტიურად გაატარონ პარტიის პოლიტიკა". ეს დადგენილება აშკარად მიუთითებს პარტიის წევრ-კანდიდატების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის უდიდეს ამოცანებზე ამ ამოცანების გადაწყვეტაში დიდი როლი ეკუთვნის ჟურნალ „ბოლშევიკს".

„ბოლშევიკი" არის საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. მებრძოლი პოლიტიკური ორგანო, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე სისტემატიურად აშუქებს სოციალისტური მშენებლობის საპირბოროტო თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს.

„ბოლშევიკი" იხილავს პარტიის გენერალური ხაზის საფუძველზე მიმდინარე სამეურნეო და პოლიტიკური მუშაობის რიგით და საპირბოროტო საკითხებს.

„ბოლშევიკი" აწარმოებს დაუნდობელ ბრძოლას პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარი გადახრებისა და მათთან შესარიგებლობის წინააღმდეგ.

„ბოლშევიკი" აშუქებს საერთაშორისო მუშათა რევოლუციონური მოძრაობის და კომინტერნის პოლიტიკის სადღეისო საკითხებს.

„ბოლშევიკი" იხილავს პარტიის ნაციონალური პოლიტიკის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს და ბოლშევიკურად ებრძვის როგორც ველიკორუსული შოვინიზმის, ასევე ადგილობრივი ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას.

„ბოლშევიკს" აქვს კონსულტაციის განყოფილება, სადაც იძლევა პასუხს სოციალისტური მშენებლობის და საერთაშორისო პოლიტიკის რიგით, სადღეისო თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე, აშუქებს ამ განსაკუთრებულ ყურადღებას პარტგანყოფილების კისლის დასამუშავებელ პრობლემებზე გამოქვეყნებას.

„ბოლშევიკი" ფართო პარტაქტივის მებრძოლი სახელმძღვანელო ორგანოა.

გაადიდეთ „ბოლშევიკის" მკითხველთა რიცხვი, დაიჩქარეთ კოლექტიური და ინდივიდუალური ხელისმოწერა 1934 წლისათვის!